ლიტერატურული გაზეთი

№23 (375) 6 - 19 დეკემბერი 2024 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

დიმიტრი წიკლაური

მშენებელი

1

დიდბინიან დიდიმს იმიტომ ეძახდნენ, ფართო, შუშაბანდებიან შენობაში ოთხი მომცრო, ნათელი ოთახი რომ ჰქონდა. თუმცა ოთხივეში მდგმური ეყენა და განმარტოებასა და სიმყუდროვეს ამაოდ ეძებდა. სახლი ვაგზალთან იმდენად ახლო მდებარეობდა, მატარებლის ჩავლისას კედლები ჭრიალებდნენ, მინებს კი ზრიალი გაჰქონდათ. ამ ხმაურს პატარაობიდან იყო შეჩვეული და სიჩუმედ აღიქვამდა. თუმცა საკმარისი იყო, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო, მაგრამ უცხო ბგერას გაეჟღერა, მაშინვე მწყობრიდან გამოსულიყო. ფანჯრები სამშენებლო ბაზრობას გადაჰყურებდა. მტვრიან დახლებთან მოყაყანე ბრბოს საუბარი ყალბი ზანზალაკების ჟღარუნივით ჩაესმოდა. გეგონება, რაც ერთისთვის უნდა ეთქვათ, მეორეს ეუბნებოდნენ და გაორება ცეცხლივით ტანჯავდათ, რომლის ძალუმი ციმციმი არასოდეს იქნებოდა ყოვლის მომცველი ნათება, როგორც ჩაქრობის პირას მისულ ალს აფერმკრთალებს უკიდურეს ნაპრალებში შეღწევა.

დიდბინიან დიდიმს მოსაწყენი ცხოვრება ჰქონდა, გორაკებიან შემაღლებას რომ წააგავდა და არც ერთი ბორცვის მოსწორება არ შეეძლო. არც მხილების მოყვარულებს სწყალობდა და ვერც მჩაგვრელებს ეპუებოდა. ასე ამბობდა, სიმართლე ნაკუწებად ქცეული ქაღალდი ხომ არ არის, აბეზარს სახეში შეაყარო, ძვირფასი ზარდახშაა, რჩეულს მუხლმოდრეკით რომ უნდა მიართვა. საზოგადოება პიროვნებასთან მიმართებაში ყოველთვის მკაცრი შემფასებელი იქნებოდა. მაგალითად, ტვირთს დანიშნულების ადგილამდე თუ ვერ მიიტანდა, აბუჩად აიგდებდნენ, თავის თავზე ზედმეტი აიღო და ეს იმიტომ დაემართაო. ხოლო თუკი მიიტანდა, იტყოდნენ, მეტიც შეეძლო, თავი რომ არ დაეზოგაო. ასე ერთ წრეზე ატრიალებდნენ, როგორც მორევში. თუმცა სადაც ტალღებია, გარიყვაც იქ ხდება.

დიდბინიანი დიდიმი — ამ ორ სიტყვას ისე წარმოთქვამდნენ, თითქოს სახელი და გვარი ყოფილიყო. ჩვენ კი რახან ცოტა უკვე გავუშინაურდით, მხოლოდ სახელით მოვიხსენოთ. ერთ დილას დიდიმის ერთ-ერთმა მდგმურმა ოთახი ხმაურით დაცალა. ჰაერი არ მყოფნისო, მოიმიზეზა, გეგონება, უფსკრულის ბინადრობას აიძულებდნენ. დიდიმს იმის ნაცვლად, რომ განეცადა, შვება დაეუფლა, ჩემთვის ხომ არ დამეტოვებინაო. იგი ტახტზე წამოწვა და ანჯამების ჭრიალს მიუგდო ყური, როგორც ჟღრიალა გიტარის სევდიან აკორდებს. გატრუნული იწვა და თვალები დაეხუჭა, სიმშვიდე უკეთ რომ შეეგრძნო. თითქოს მის გარდა კიდევ ვიღაც ყოფილიყო ოთახში, უხეში და ტლანქი სხეულით ყველაფერს რომ ედებოდა. ლამის შეეძახა, ვინ ხარო. ხმამაღალ ლაპარაკს ისედაც შეჩვეული იყო, გამომლაპარაკებელი რომ ჰყოლოდა. ეგონა, არავინ მისმენსო, თუმცა მისი ამბავი უკვე ყველამ იცოდა. უყვარს სულელთან ლაპარაკიო, დასცინოდნენ მეზობლები.

II-V

ქეთევან ნათელაძე

მშვიდობით იყავ

ქვიშის საათი ჩამომთავრდა — სიზმარი დილის,
ვარსკვლავთმრიცხველო,
ფანჯრებიდან რა მოჩანს შენთან,
თუთიყუშებით სავსე ეზო, შუადღის ჩრდილი,
მწვანე სოიას ფოთლებისგან დაწნული სევდა.

რას ვგავდით ნეტავ,
გაელვებას ფურცელზე რითმის,
აღმართი მორჩა,
დაღმართისთვის მცირე დროც გვყოფნის,
და სიყვარული,
სიყვარულზე ბევრი არც ითქმის —
მთების გადაღმა გაჩენილი ხანძარი სოფლის...

ვარსკვლავთმრიცხველო ოცნებების,
ღამეებს ათევ,
ზღვა ცოცხალია,
მაგრამ ზოგჯერ მკვდარ თევზებს რიყავს,
ზარებს ტაძარშიც გამუდმებით
არ რეკავს მნათე,
არ დაელოდო აღარაფერს, მშვიდობით იყავ.

ძველი ვენდეტა გაიხსენე, დამწვარი გემი,
დამწვარი პორტი, ერთი, მაგრამ უიღბლო ომი,
მზის ცხელ ჩანჩქერში მონავარდე
ცხენების რემა,
და საყვარელი ქალის ჩრდილი
სხვის გვერდით მდგომი.

ისევ შეგაკრთო? გაფიქრებამ ნაცნობი სახის,
თითქოს ლოცვისას მახვილივით დაეშვა სხივი,
ჩამოატარებს ეს საღამოც დასიცხულ ნახირს,
ჩამოატარებს ყოფნის ტკივილს,
არყოფნის ტკივილს.

ბევრჯერ ნაცადი მდუმარების გვირგვინი ადგას
ამ მოთმინებას და თან
ქვეყნად არაფრის მსგავსი,
მშვიდობით იყავ, ყველა ქარი ჩამდგარა რადგან,
აღარაფერი არ გექნება მშვიდობის ფასი.

VI



ზურაბ ლავრელაშვილი

ხვლიკი გაზონზე

ფაკირმა მკლავზე დახვეული ქერელის თოკი დინჯად გაშალა და ერთი აქნევით მაღლა შეისროლა. თოკის წვერი ისარივით ავარდა და გაშეშდა. სანახაობის მაცქერალ ტურისტებს ოხვრა დასცდათ. ბევრი მობილური ტელეფონით იღებდა ამ საოცრებას. ფაკირმა თოკს ხელი უშვა და მკლავები წინ ხარიხასავით გადააჯვარედინა. შეგირდმა ტერფი ფაკირის მკლავებს დააყრდნო, ტანი მსუბუქად აზიდა და ფაკირს მხრებზე შეადგა. მერე ორივე ხელით ღერძივით გაშეშებულ თოკს მოეჭიდა და მაიმუნური სიმარჯვით აცოცდა მაღლა.

ბრბო სულგანაბული უცქერდა, როგორ მიიწევდა ბიჭი მაღლა და მაღლა, სანამ თოკის წვერს ზემოდან არ მოექცა. ფაკირმა ხელი გაიქნია და თოკიც მყის მოიმჩვარა, ჩამოიკეცა და ზედ შემომჯდარი ბიჭიც დაბლა დაექანა. ბრბო შეძრწუნდა. ვიღაცამ იკივლა, ვიღაცას გული წაუვიდა. ათობით ფოტოობიექტივი ახლა ასფალტზე გართხმული და გასისხლიანებული ბიჭუნასაკენ იყო დაღირებული. იქვე კი მშვიდად იდგა ფაკირი და ასევე მშვიდად იღიმოდა, თითქოს ფერნამკრთალად.

— პოლიცია! — ერთდროულად იყვირა რამდენიმე კაცმა.

ფაკირმა ხელი ასწია და თითი ტუჩზე მიიდო. მერე მაყურებლები იმ ხისკენ მიახედა, რომლის გვერდითაც უვნებლად ჩაცუცქულიყო ბიჭი და გაზონზე გაწოლილ ხვლიკს მისჩერებოდა. ხვლიკი ნებივრად იწვა ბალახში. აპკის მაგვარი ქუთუთო ხან ეხუჭებოდა და ხან ეხილებოდა და ბიჭს ზარმაცად შეაჩერდებოდა ხოლმე. ქვეწარმავლის ბლანტი გუგა ნელა ბრუნავდა აქეთ-იქით.

აპლოდისმენტებმა იგრიალა და ფაკირიც თავის დახრით უხდიდა მადლობას ტურისტებს. მაყურებლები ახლაღა ჩასწვდნენ ოინის სიმაცდურეს: ყველაფერი ოდენ მოჩვენება იყო, ილუზია... არავინ აცოცებულა თოკზე და არავინ ჩამოვარდნილა, ფოკუსის განმავლობაში ბიჭი ხის უკან იმალებოდა.

— ბრავო! — ყვიროდა ბრბო და ტაშს უკრავდა. წელში მოხრილი ფაკირი მედიდურად იღებდა მოლოცვას, მერე ბიჭი იხმო თითის მოხრით.

ხმაურზე ხვლიკი დაფრთხა და ბალახებში მიიმალა.

„მარტო ეს მხედავდა“, — გაიფიქრა ბიჭმა და ნელა წამოდგა, რათა მაყურებელს უკეთ დანახვებოდა.

VIII-X



დიმიტრი წიკლაური

მშენებელი

დასაწყისი პირველ გვერდზე

უცებ მართლაც გაისმა კარზე კაკუნი, რომელზეც დიდიმი ერთხანს არ რეაგირებდა. ნეტარი წუთების დათმობა ენანებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც წამოდგა ზლაზვნით. ფულის შოვნა უზენაეს მოვალეობად მიაჩნდა. ზღურბლზე ოთახის სანახავად მოსული უცნობი იდგა მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვა მზერით, კაცობრიობის აღმოჩენილ კანონებს რომ არ ცნობდა, ყველაფერში ჩემით უნდა გავერკვეო. კაკუნზეც ეტყობოდა, ჯიუტი და შეუპოვარი ხასიათი რომ ექნებოდა. თუმცა ჯერჯერობით არ ავლენდა და ოთახს ინტერესით ათვალიერებდა. ეტყობა, კმაყოფილი დარჩა, რახან აღტაცებით აღნიშნა, სწორედ ასეთი წარმომედგინაო. ფასზე მოილაპარაკეს და სიმშვიდის წუთები დავიწყებას მიეცა. ახალი მდგმური უკვე წასვლას აპირებდა, დიდიმმა ცნობისმოყვარედ რომ შეაჩერა, ბინის შესახებ ასე უცებ როგორ შეიტყვეო.

— ნადირის ალღო მაქვს. ჩემოდნით მიმავალი კაცი რომ შევნიშნე, მაშინვე მივხვდი, საქმე რაშიც იქნებოდა!

— ფულიანი ჩანხართ! — ლამის ენაზე იკბინა დიდიმმა, ვაითუ ეწყინოსო.

— ჰო. მშენებელი ვარ! — უდარდელად დაეთანხმა ახალი მდგმური, — მამაჩემმა სიგიზმუნდი დამარქვა. ახირება სჩვეოდა. რასაც წიგნებში ამოიკითხავდა, პრაქტიკაში იყენებდა.

— რა დაიმახსოვრებს ამხელა სახელს! — გახუმრება სცადა დიდიმმა.

— შენც მშენებელი დამიძახე!

დიდიმს აღარ უთქვამს, მშენებლებს რომ ვერ იტანდა. პრივილეგირებულ ფენად მიიჩნევდა და გულზე არ ეხატებოდა. სოციალური თანასწორობის მომხრე იყო და უბრალო ხალხი ერჩივნა. ასე ამბობდა, თუკი მდიდრებს სიმდიდრის გამო გავაიგივებთო სიმართლესთან, გამოვა, რომ ღარიბებიც სამართლიანად ისჯებიანო თავიანთი სიღატაკით.

2

დიდიმის ფხუკიანი მეზობელი, მეტსახელად გარეშა, სულ რაღაცას ფაფხურობდა. ყოველი კაპიკისთვის უწევდა გარჯა და დიდიმის უზრუნველი შემოსავლის გამო შური აღძროდა. თანაც რაღაც მზაკვრული დაავადება სჭირდა, მემკვიდრეობით რომ გადმოსცემოდა. ეს ავადმყოფურ იერზეც აჩნდა. ქვრივი იყო და დიდიმივით მარტო ცხოვრობდა. ვიღაც ნათესავები კი ჰყავდა, პერიოდულად ტელეფონზე რომ ურეკავდნენ იმის გასარკვევად, ცოცხალი თუ არისო, რადგან ხშირად ყურმილს აღებისთანავე უთიშავდნენ. დიდიმს არასოდეს უნახავს, მასთან ვინმე მისულიყოს. ასეთები, როგორც წესი, მერე გამოჩნდებიან ხოლმე, ბინის დაპატრონების ჯერი რომ მოაწევს.

ერთხელაც გარეშა კარის ანჯამებს ადუღაბებდა, დიდიმმა სწრაფად რომ ჩაუარა. მზერა ამარიდაო, დასწამა მეზობელთან, ოლია რომ ერქვა და ისიც მათსავით მარტო ცხოვრობდა. უკანასკნელი თაობის წარმომადგენლებივით იყვნენ, რომელთა მერე სიცარიელე დაივანებდა. მოგეჩვენებოდაო, დაამშვიდა მან. დიდიმი ასე იმიტომ მოიქცა, დამწვარმა რკინამ ყნოსვა გაუღიზიანა, დამაბრმავებელი ნაპერწკლები კი თვალებსა სტკენდა.

— რაა?! — შეიცხადა მან, როცა ფხუკიანი მეზობლის საყვედურმა მის ყურამდეც მიაღწია. თუმცა ამის იქით არ წასულა. გარეშას ზოგადად მეტყველების აპარატი არ უვარგოდა და ამგვარ აღშფოთებაზე ერთადერთი სიტყვით პასუხობდა — ზახრუმა!

ამის გაგონებაზე კი ისედაც გაფითრებულ დიდიმს გააფთრება იპყრობდა. ნათელი იყო, ერთიხანობა უბრად იქნებოდნენ, სანამ როგორღაც ისევ არ შერიგდებოდნენ. გარეშას გული მაშინ მოუბრუნდა, როცა დიდიმმა თავი გარე განათების ბოძს შეადარა, შინაურს ვერაფერში ვადგები და ნეტა რას დავყიალობო. ამგვარი გამოტყდომა ფხუკიან მეზობელს დიდად ესიამოვნა, რაც ფხუკუნით გამოხატა კიდეც. ზოგადად სიცილის მაგივრად ასე ჩვეოდა. მორიგი გადაყრისას, როცა დიდიმი შპალერის ამძვრალ კიდეებს სინჯავდა, კეთილი განწყობის ნიშნად საქმიანად ურჩია, ბოთლის წებო სცადეო.

— გიჟების წებოს ეძახიან! — განუმარტა დაბეჯითებით, — ამიტომაც ყიდულობს ყველა!

ზოგადად გარეშას რჩევა-დარიგების მიცემა დარწმუნებით სჩვეოდა, როგორც ექიმს რეცეპტის გამოწერა.

— ფიქრობ, ივარგებს? — დაეჭვებული პაციენტის მსგავსად შეჭოჭმანდა დიდიმი, მან კი ნიშნისმოგებით უპასუხა, სწორედაც რომ საშენოაო და კვლავ აფხუკუნდა. ასე თუ ისე, ერთობა გაგრძელდა, მაგრამ მეორე დილას სხვა სადარდებელი გაუჩნდა, ახალი მდგმური რომ შეუჩნდა, აივნის კედლებს ნესტი აქვს გამჯდარიო და თუ არ შეკეთდა, ჩამოიშლებაო.

— გაფხეკას საჭიროებს ხელახლა შესაღებად!

— ამისთვის ვერ მოვიცლი. იქნებ შენ მიგეხედა, გაწეულ ხარჯს კი ქირაში გამოგიქვითავდი! — მუდარით აღმოხდა დიდიმს.

მდგმური სიამოვნებით დათანხმდა. ეტყობა, აქედანაც ელოდა გამორჩენას. როცა საქმე გაასრულა, ნახელავი ერთად დაათვალიერეს. მერე კი საქმიანად ურჩია, დერეფანს თუ გადატიხრავ, კიდევ ერთ ოთახს გააქირავებდიო.

— შენი ოთახების მომიჯნავედ მდებარეობს და ვინ შეგედავება?

— ეგ ფართი ხომ ძალიან მცირე იქნება ოთახისთვის? — შეიცხადა დიდიმმა.

— რას დაეძებ? განა ზედმეტი ფული გაწყენს? საუკეთესო სანატორიუმში დაისვენებ სადმე ზღვის ნაპირას. ძალებს აღიდგენ. შენ სახლს იმდენად პრაქტიკული მდებარეობა აქვს, ვალის აღება რომც დამჭირვებოდა, ამ ოთახს სიამოვნებით შევიძენდი. ეგ არის, საპირფარეშო არ აქვს და საერთოთი უნდა ისარგებლო!

— სამაგიეროდ მერიიდან ნებართვა მაქვს. სააბაზანოს გვერდით მდებარე საკუჭნაო შემიძლია სველ წერტილად გადავაკეთო. თუმცა გაყიდვას მაინც არ ვაპირებ!

ახალმა მდგმურმა, რომლის მგზნებარე სიტყვებში ძალაუფლების მოჭარბება იგრძნობოდა, მტკიცედ განაგრძო:

— იქ ერთი ტური აქვთ, ღია ზღვაში ხომალდით გასეირნება ქალ-მეზღვაურთა გარემოცვაში. ამორძალებივით მომაჯადოებლად მღერიან. თავს რჩეულად წარმოიდგენ, მაგრამ ეს ტური ძალიან ძვირია!

თურმე ხალხი როგორ ცხოვრობს, გაიფიქრა დიდიმმა. მე კი ოლიაც მიბღვერს, იმ ქალ-მეზღვაურთა შესახებ გაგონილი რომც არ ექნება. იქნებ დერეფნის ის მონაკვეთი მართლაც მიმეყიდა.

იმ დღიდან მოსვენება დაკარგა და დასასვენებლად წასასვლელი ფულის შეგროვებას შეუდგა. მშენებელმა, როცა ისევ გადაეჩეხა დერეფანში, განუცხადა, სხვა ოთახებშიც შევიხედე და შენი მდგმურები გავიცანიო. მთავარი სათქმელი კი ასე ჩამოუყალიბა:

— იქაც იგივე მდგომარეობაა. ხელის შევლება არ აწყენდა. ბევრი ნაკლოვანებაა აღმოსაფხვრელი. თუ გსურს, მიგიხედავ, ოღონდ ნოტარიუსში დამოწმებული მინდობილობა დამჭირდება!

— ბინაში ჩაწერას გულისხმობ? — დაეჭვდა დიდიმი.

— მხოლოდ მინდობილობას, სამშენებლო სამუშაოები ჩემს ნებაზე რომ წარვმართო. გზადაგზა ათასი წვრილმანი იჩენს თავს. მასალის მოტანა, სპეციფიკური ნაგვის გაზიდვა და ვინ იცის კიდევ. სადავო არავისთან უნდა მქონდეს. დამბლა კი არ მჭირს, შრომისმოყვარე რომ არ ვიყო. თაკარა და მცხუნვარე მზე, თუ მძიმე და განმსჭვალავი ნესტი, ძვალ-რბილში რომ ატანს, ჩემზე არ მოქმედებს. გონებაც სხარტად მაქვს და ხელებიც მარჯვედ მემსახურება. რომც დამიწყლულდეს, არაფრად მივიჩნევ. ზოგადად ნგრევას ვერიდები. ძალაყინს ნაკლებად ვიყენებ, რადგან დღეს სხვა ტექნოლოგიებია. ნებისმიერ მასალას ხარისხის სერტიფიკატი მოჰყვება. მოკლედ მუშაობა არ მეზარება, სანამ ყველაფერს წესრიგში არ მოვიყვან!

დიდიმს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ეს სიტყვა წინასწარ მოემზადებინა. მერე იმდენ ხანს ეჩიჩინა, დიდიმი მართლაც დაჰყაბულდა და ნოტარიუსთან მინდობილობის გასაფორმებლად წაჰყვა. ახალი მდგმური საქმეს შეუდგა და როცა ყოველივეს მორჩა, ფანჯრები ფართოდ გამოაღო გასანიავებლად. ოთახში მტვრის ისეთი ბუღი დამდგარიყო, გეგონება, ღრუბელი შემოცურდაო.

— დიდად გარჯილხარ! — ძალისხმევა შეუქო დიდიმმა. თან უნდოდა, ისევ ოთახის თაობაზე ჩამოეგდო სიტყვა. ერთიანი ფულის მოპოვების საცდური მოსვენებას არ აძლევდა. თუმცა ეჭვიც ღრღნიდა, ისეთი ვინმე ჩანს, აყოლა ხეირს არ დამაყრისო. იმ საღამოს ფხუკიან მეზობელს მოუთხრო საუბრის შესახებ. ოლიას ტელევიზორთან ისხდნენ და ცხელ ყავას ხვრეპდნენ. გადაცემების ყურება იქ სჩვეოდათ. ეგ არის, ეკრანს მაგიდაზე დადგმული ქოთანი ეფარებოდა. ბარაქის ყვავილიაო, თავმომწონედ აღნიშნავდა ოლია. მისი შიშით არასოდეს უცდიათ ქოთნის გადაწევა, წყევლა-კრულვას მოვიწევთო. ყვავილს ხელი არ ახლოთ, ისტერიულად იკივლებდა, ერთი გოჯითაც რომ ყოფილიყო გადაადგილებული. ამიტომაც იძულებულნი ხდებოდნენ, ისე ეთვალთვალათ ეკრანისთვის, თითქოს გვიმრებში იმალებიანო. თუმცა იმ დღეს საყურებლად მაინც არ ეცალათ.

— რას შეგიჩნდა? განა მაგას თქმა უნდა, ფართი რომ არ უნდა მიჰყიდო! — კოპები შეიკრა გარეშამ. არ მოსწონდა საიდანღაც გამომტყვრალი მდგმურის სითავხედე.

— არც ვაპირებ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რაში მჭირდება?

— ცოლს მოიყვან! — შესძახა გარეშამ, აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრეთო.

— ცოლის მოყვანას თავისი სირთულეები ახლავს! — თავი შორს დაიჭირა დიდიმმა.

— მოგცლია ერთი, რა სირთულეებს გულისხმობ? ეგენი მე მკითხე, მაგ საქმეში ფრიად გაწაფულ კაცს. ქვრივი ყოველ წვრილმანში ერკვევა. კარგი დიასახლისი, შინ მშიერი რომ მიხვალ, არაფერიც რომ არ ჰქონდეს, რაღაცას მოახერხებს. ზოგი იმდენად მომხიბვლელია, მორყეულ საწოლსაც დედოფლის სარეცლად გიქცევს. ზოგის ხელში კი სიცოცხლე მოგბეზრდება. უბრალო გაწყრომაზეც შიშით მოგჩერებია, გეგონება, როზგების მეტი არაფერი უნახავსო. ოდეკოლონი რომ ისხურო, ეჭვიანობის საბაბად გაიხდის. ახალდაქორწინებულები მომავალს შესცინიან, ქვრივები კი წარსულს იგონებენ და ამაო ოხვრა ზეცასთან აახლოებთ. მიზეზი ბევრნაირია, მაგრამ მაინც უნდა დაქორწინდე! — ვრცელი სიტყვა ვერდიქტით გაასრულა გარეშამ.

— არავინ მომყვება! — თავი იმართლა დიდიმმა აბეზარი მეზობლის გადასარწმუნებლად.

— ბინა ანახე? — გაიკვირვა გარეშამ.

— არ მინახებია!

— გამარჯობა შენი!

დიდიმი ამ მისალმებამ ისე დააბნია, გაგიმარჯოსო, გულწრფელად უპასუხა თვითონაც, ფხუკიანმა მეზობელმა კი შეგონება განაგრძო:

— ფულს იმისთვის შოულობენ, გზა რომ გაეხსნათ. შენ კი სტაბილური შემოსავლით ხარ განებივრებული. სიცოცხლე წრფეზე სიარულს ჰგავს, რომელსაც მიუყვები და ასფალტი რომც ჩათავდეს, სავალი მაინც გაგრძელდება ოღრო-ჩოღროებით. კაცს ელმავლის ფუნქცია აქვს მინიჭებული. ვაგონი თუ არ შეაბეს, დაძვრის ნებას არ დართავენ, დეპოში დგომითაც რომ გაბეზრდეს. მესმის, შუახნისა ხარ და დაოჯახების ამბავი ჭკვიანურად უნდა გადაწყვიტო, ვაითუ ქალი ათასი სახედრის სიჯიუტისა აღმოგაჩნდეს, მაგრამ რჩეული თუ შეგხვდა, ფაქიზად მოეპყარი, როგორც ფაიფურის ჭურჭელს. ცოლი სანამ მყავდა, მის კამკამა თვალებში საყვედურს რომ შევამჩნევდი, შიში მიპყრობდა, თითქოს ნეიტრალურ წყლებში სამხედრო გემები გამოჩენილიყო და ცის ლაჟვარდებში რეაქტიული თვითმფრინავები. ზოგადად ცოლქმარს ერთმანეთთან რაც აკავშირებს, ის აშორებთ. წვრილმან საიდუმლოებებს ვგულისხმობ. ამას მერე მიმიხვდები!

— რას შემიჩნდი! — გაბრაზდა დიდიმი, — არაფრის შეცვლას ვაპირებ ჩემს ცხოვრებაში!

— ჰოდა, ეგდე ეგრე, როგორც აქამდე იყავი! — მიახალა გარეშამ და ეს უწყინარი ბაასიც კამათით დასრულდა.

მეორე დღეს დერეფანში ოლიას გადაეყარა, დიდიმი საყვედურებით რომ აიკლო, რა ვერ გაიყავითო. თქვენ ამ შენობის მკვიდრი მოსახლენი ხართ, მაგრამ რახან ერთმანეთში სულ კინკლაობთ, ყველაფერს დაკარგავთო. გამოჩნდებიან სხვები და როგორც კი ფეხს ოდნავ მოიკიდებენ, ყოველ გოჯს დაეპატრონებიანო. დიდიმს ამ სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ისე მიაკითხა ახალ მდგმურს.

— მთელი ღამე პანსიონატის ტური მესიზმრებოდა, კამკამა წყალი და ქალი-ზღვაოსნები. ისევ იმ საკითხის თაობაზე მოვედი. იქნებ ფასზე შევთანხმდეთ და ჯანდაბას, გადატიხრე დერეფნის ის მონაკვეთი, თუკი ისევ თანახმა ხარ!

— მაგის საჭიროება აღარ არის! — ცივად აუწყა მშენებელმა, — სხვა რამე მოვიფიქრე, უფრო სარფიანი და მასშტაბური!

გაწბილებული დიდიმი ვერაფერს მიხვდა, პირში კი ჩალის უამურ გემოს გრძნობდა.

3

მოულოდნელად ფხუკიანი მეზობელი გარდაიცვალა და დიდიმი დიდმა მწუხარებამ შეიპყრო. სინდისის ქენჯნა მოსვენებას არ აძლევდა. ვერაფრით გაიხსენა, ბოლოს როგორ დაშორდნენ ერთმანეთს, ნაჩხუბრები იყვნენ თუ შერიგება მოასწრეს. ალბათ ჩემი ჯერი დადგა, დაასკვნა შეშფოთებით და თავის გასამხნევებლად მსჯელობას მოჰყვა, სიკვდილში საშიში არაფერია, ის ხომ მრავალთაგან გაკვალული გზა არისო. მერე ხელსაბანს მიაშურა, მოჩუქურთმებულ სარკეში ფერმკრთალი ნაკვთები ყურადღებით რომ დაეთვალიერებინა. ნეტავ კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებო, ერთ წელს? ორს? გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ ცდებოდა.

— ვერასდროს ვიცლიდი დასვენებისთვის, თითქოს ეს სიკვდილის შემდგომი მდგომარეობა ყოფილიყო. აგარაკზე მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც ბავშვობაში. მართალი მირჩია ახალმა მდგმურმა. წელს საუკეთესო სანატორიუმს ვეწვე-

ვი, თუნდაც დანაზოგი არ მეყოს და ვალის აღება დამჭირდეს! — დაიქადნა მან და გადაწყვეტილების სისწორეში განმტკიცებულმა, სამძიმარზე გარეშას ოთახში მხნედ და შემართებით შეაბიჯა. სანამ მიცვალებულს სახეზე დახედავდა, კედელზე ტარაკანი შენიშნა, კედლის საათთან ცნობისმოყვარედ რომ დაცოცავდა, გეგონება, დროის მექანიზმით დაინტერესებული ცხოვრების საიდუმლოებაში ცდილობსო გარკვევას. მერე გარეშასთან გამართული იმდროინდელი საუბარი გაახსენდა:

— კედელზე რატომ არ მიასრეს?

— შპალერი გამოსაცვლელი რომ არ გამიხდეს. დაშვებას რომ დააპირებს, ფლოსტით ჩამოვაგდებ იატაკზე და იქ გავუსწორდები!

— რომ გაგექცეს?

— ნუთუ ამ დონის მოუხელთებელ ბოროტმოქმედთა რიცხვს განეკუთვნება? — ჩაეცინა გარეშას.

— შენს ადგილას ზედ მივაკლავდი!

— იმიტომაც გაქვს კედლები მოსვრილი!

შანდალზე სანთელი ენთო, რომლის გამოისობითაც ფხუკიანი მეზობლის ნეშტი წაგრძელებულ ჩრდილად ირეკლებოდა შებათქაშებულ კედელზე. გრძელი ცხვირი ისე გაებზიკა, გეგონება, სხვის საქმეში ჩაყოფამ დამართაო. სასახლის ირგვლივ სკამები შემოეწყოთ, მაგრამ არავინ ჩანდა ოლიას გარდა, თავშალი რომ შემოეკრა და ფსალმუნებს კითხულობდა გაფაციცებით, ყოველი წარმოთქმული სიტყვა წაადგებაო მიცვალებულს. უცხო მომსვლელი თითოოროლა თუ იყო.

მერე უცნობი ნათესავები გამოჩნდნენ. აქოშინებულები მოცვივდნენ დიდის ამბით და მწუხარებით შეძრეს ქვეყანა. ისინი გულამოსკვნით მოთქვამდნენ და გული რომ არ წასვლოდათ, ცდილობდნენ, საქმე მალე მოეგვარებინათ. მზეც თითქოს მათ ნებას ასრულებსო, დაკრძალვის დღეს კაბადონზე ისე სწრაფად ამოცურდა, გეგონება, მთვარის ჩასვლას არც დალოდებიაო. სადარბაზოდან პროცესია ზანტად დაიძრა სასაფლაოსკენ. ზოზინით ადევნებულ აბეზარ მეზობლებს დიდიმი ზანტად ჩამორჩა. გაყოლას არც აპირებდა. სასაფლაოს ატმოსფერო მასზე მძიმედ მოქმედებდა, ეს განწყობა კი მთელ თვეს გასტანდა. თანაც სუფრაზე დარჩენის შემთხვევაში ფულის დადებაც მოუწევდა, რომელსაც სანატორიუმისთვის აგროვებდა. გასვენებაში თუ დადებდა, დასვენებისთვის აღარ ეყოფოდა.

— გარეშა მაინც ვეღარაფერს გაიგებს! — აღნიშნა მან, თუმცა სინდისმა შეაწუხა და გულში შეუთქვა, პანსიონატიდან დაბრუნებისთანავე მის სახელზე დიდ კელაპტარს დავანთებო საკათედრო ტაძარში. ზოგადად მომჭირნეობა სისხლში გასჯდომოდა. დილით ფარდას იმ მიზნით გადასწევდა, დღის შუქი რომ შემოსულიყო და ელექტროენერგია დაეზოგა. წინაპრების ნათქვამიც გაახსენდა, უქმად ნარეცხ წყალსაც არ გადავღვრით, შორიახლო რუც რომ მოჩქეფდესო. მწვანილს მაინც მოვრწყავთო, იტყოდნენ. ეს თვისება არც მას ეთმობოდა, მაგრამ მიმდინარე სეზონზე ხარჯს არ მოერიდებოდა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, მეფური არდადეგები მოეწყო.

იმ უცნობ ნათესავებს თამადად ცნობილი ნოტარიუსი დაენიშნათ, სუფრაზევე რომ აღუთქვა ბინის გადაფორმებაში დახმარება. ცოლები წამდაუწუმ ურეკავდნენ და ისინიც ამაყად პასუხობდნენ, გვაცალე, საყვარელო, მიცვალებულის გარდა აქ ყველაფერი ჩვენ ვართო. თან ნოტარიუსს შესცინოდნენ, ხომ გესმით, მაინც ცოლები არიანო, აბეზარნი და სიცოცხლით აღსავსენი. ფართის დამტკიცებისთანავე გაყიდვის სამზადისს შესდგომიან, ფული შუაზე რომ გაეყოთ. დიდი ხანი არც დასჭირვებიათ. გარეშას ბინა ახალ მდგმურს შეუძენია. ყიდვის სურვილი რომ გამოუთქვამს, რაღა შორს ვეძებოთო, გახარებიათ. ალბათ ოთახს დამიცლის, გაიფიქრა დიდიმმა, მაგრამ მშენებელი არსად წასულა, ნაყიდი ბინა კი ცვლის უფროსს მიაქირავა. დიდიმმა მხრები აიჩეჩა. ამგვარ გარიგებებში ნაკლებად ერკვეოდა.

4

იმ ზაფხულს ოცნება აისრულა. საჭირო ნივთები დაჩვრეტილ ჩემოდანში ჩაალაგა და ავტოვაგზლისკენ გაემართა. ასფალტზე ისე მიაბიჯებდა, გეგონება, მივა თუ არა, ფეხს მოირთხამსო. სანამ სავარძელს მოართმევდნენ, სკამსაც იკმარებდა. სკამი ხომ იმისთვისაა, რომ ჩამოჯდე, სავარძელი კი იმისთვის, რომ მოკალათდე. სალარო მეორე სართულზე აღმოჩნდა და დაბრეცილი კიბე დარბაისლური ტორტმანით აიარა, წონასწორობის შენარჩუნებას უფრო რომ ჰგავდა, ვიდრე მოძრაობას. მზე აცხუნებდა და კედელზე არეკლილ ჩრდილსაც ეტყობოდა დიდიმის ღორმუცელობა. ურეჟიმოდ იკვებებოდა, რის შედეგადაც მის მუცელს მზის შუქი როგორი კუთხითაც არ უნდა დასცემოდა, მაინც ტომარასავით ექნებოდა გამოზნექილი. ცხვირი მაინც არა მაქვს გრძელი, გაიფიქრა დიდიმმა და გარეშას ნეშტი გაახსენდა. გასასვლელში მათხოვარი აეტორღიალა მოშვლეპილი ქუდით, პურის ფული მომეციო. ფეშენ-სასტუმროში მიმავალს ხურდა როგორ დაენანებოდა. იმ ქუდში იმდენი ჩაუყარა, ჩხრიალი გაისმესო. ისეთი მომჭირნეც არ იყო, მოწყალებაში გაღებული ფული ფინასურ დანაკარგად მიეჩნია.



მერე ავტობუსი ჯაყჯაყით დაიძრა და დიდიმს ძილი მოერია. კარგა ხნის შემდეგ გზამ ხეობაში გადაინაცვლა, სადაც მთათა განლაგება ისე მოჩანდა, დიდტანიანი წიგნები რომ აწყვია ბიბლიოთეკის თაროზე. მდინარე მოუსვენარი ექსკურსიამძღოლივით ირჯებოდა, გეგონება, დაზუთხულ ტექსტს აცნობსო ტურისტებს. ერთგან ჩანჩქერი გადმოჩქეფდა. ვერცხლისფერი ჩქერები ზათქით ეშვებოდა ტაფობიდან, გეგონება, ზორბა მეომარს ჩაჩქანი მოესროლოს, ჭახუნით რომ ეცემოდა სხვა ჩაჩქანებს. წყლის ვარდნილი ისე ჟღრიალებდა, სპილენძის ჩამჩებისა და თუნგების შეხლა-შემოხლა გაისმისო გარნიზონის სამრეცხაოდან. ხმელეთის ფრინველთა ნათლია-თოლიებს ყაშყაშით მიჰქონდათ თევზები ძღვნად დიდი ხნის უნახავი ნათლულებისთვის. მათი გამოჩენა ზღვის სიახლოვეს ადასტურებდა. რიყეზე მრგვალი ქვები ეყარა, მდინარის დათხრილ თვალებს რომ ჰგავდა. თითქოს მთვარის შუქზე გამოცხადებულმა ხილვამ თვალის ჩინი დაუკარგა. მერე ზღვაც გამოჩნდა. მთელ გაყოლებაზე ნახშირის მოტორტმანე ბორცვებთან ქიმიურ რეაქციაში შესული შხეფები მშუშხავ ქაფს წარმოქმნიდნენ.

ახლო რომ დაიგულეს, მგზავრები პანსიონატის ღირსებებზე ალაპარაკდნენ, ისედაც შორს რომ გავარდნოდა სახელი, როგორც კეთილმოწყობილ სავანეს. აქ ყველაფერი აქვთო — აუზი, შვედური სასადილო და თვით გოლფის მოედანიც კი, რომელიც დიდიმს არასდროს უთამაშია. თუმცა ენაწყლიან მოსაუბრეებს ტურზე არაფერი უთქვამთ. ამის შესახებ არ გვსმენიაო, მხრები აიჩეჩეს. კიდევ კარგი, რომ ახალ მდგმურს ფართი არ მივყიდე, გაიფიქრა დიდიმმა. ტერიტორიამ დანახვისთანავე მართლაც იმხელა შთაბეჭდილება მოახდინა, რასაც დიდიმი მდგმურებისგან მთელი წლის განმავლობაში იღებდა, ერთ კვირაში დაამღერებდა. თუმცა წვიმები დაემთხვა და მიდამოს მთქნარებით ადევნებდი მზერას. ვის შეეძლო, წინ აღსდგომოდა ბუნების წესრიგსა თუ უწესრიგობას. კუნაპეტში მზის საძებნად წასვლა განა გონივრული იქნებოდა?! დიდიმის ნომერი მესამე სართულზე აღმოჩნდა. აივნიდან რომ გადმოიხედა, თავბრუ დაეხვა. ჩემოდანი კარადაში შეჩურთა და დირექციას ჩააკითხა ჩივილით, იქნებ სართული შემიცვალოთო.

— შეგვიძლია უფრო მაღლა გადაგიყვანოთ?! — შესთავაზეს მას.

— რას ამბობთ, მე დაბალი სართული მჭირდება!

— დაბლა მხოლოდ აპარტამენტები გვაქვს, თანაც ძვირად ფასობს. მნიშვნელოვანი სტუმრებისთვისაა განკუთვნილი! — გაისტუმრეს უარით.

დიდიმი ისევ თავის აივანს მიუბრუნდა. დამსვენებლები მომიჯნავე აივნებზეც იდგნენ და უხერხულად იღიმებოდნენ. ვერ მოეფიქრებინათ, ერთმანეთს უნდა მისალმებოდნენ, თუ ხმა არ უნდა გაეღოთ.

— მშვენიერი ბაღჩაა, განწყობას უამინდობა რომ არ აფუჭებდეს! — მათ გასაგონად თქვა დიდიმმა, იქნებ ავიყოლიოო. თუმცა ყურადღება არავის მიუქცევია. ეტყობა, პირადი გართობით იყვნენ დაკავებულნი და მხარის ასაბმელად არ ეცალათ. შებინდებისას გარე ნათურები აანთეს, შორეული ვარსკვლავებივით უღიმღამოდ რომ აციმციმდნენ. ხასხასა გაზონებმაც ციცინათელებივით იწყეს ბჟუტვა. აქ-იქ ადამიანის სილუეტიც გამოჩნდა, ქოლგის ქვეშ შეყუჟულნი ლოკოკინებივით მძიმედ რომ გადაადგილდებოდნენ. ცდილობდნენ, გარეთ ევლოთ და ზღვის ჰაერი ხარბად ესუნთქათ. ტალღებს ხომ იოდი მოჰქონდა, რაც მათ ჯანმრთელობას დიდად წაადგებოდა. ისე ღრმად ქოშინებდნენ, თითქოს აღმართებზე რბენით იყვნენ დაღლილნი. ბგერები ისე მიმწყდარიყო, კოცონი რომ მიინავლება. მოქუფრული ცა ჭილყვავებს ეკუთვნოდა, სველი მიწა კი ჭიაყელებს.

იმ ღამეს დიდიმს გარეშა ესიზმრა, თითქოს გალუმპულები მდგარიყვნენ ღია ცის ქვეშ და თავზე აწვიმდათ. სახლთან ახლო იყვნენ, მაგრამ ვერაფრით აგნებდნენ. როცა გამოეღვიძა, მეხსიერებაში მშფოთვარე ფრაგმენტებს მოუყარა თავი. ახსნას შეეცადა, მაგრამ ვერ გაერკვა. ალბათ იმიტომ მესიზმრა, ჩემს აქ ყოფნას წვიმები რომ დაემთხვაო, დაასკვნა ბოლოს და ნისლით შეთეთრებულ შორეულ კლდეს გახედა, კირით შებათქაშებულს რომ ჰგავდა, თავზე კი თოლიები პეპლებივით დაჰფარფატებდნენ. მერე ფლოსტების ტყაპატყუპით გაეშურა აუზისკენ, რომლის შესასვლელი აკვარიუმის ქვეშ გადიოდა და შესაძლებლობა ეძლეოდა, უცხო სამყაროს ხილვით დამტკბარიყო. მარგალიტებიანი ზარდახშასავით პირღია ნიჟარები ისეთ შეგრძნებას აღუძრავდა, თითქოს ფსკერიდან აჰყურებდა თევზებს, ზოგიერთი მათგანი ფრინველს რომ წაგავდა, გეგონება, ფარფლები ფრთების მაგივრობას უწევსო. საყოველთაო ხანძარში მოყოლილები დამბუგველ სიმხურვალეს იმით გადარჩენოდნენ, ფერფლისფერმა ზღვამ რომ შეიფარა, სადაც ადაპტაცია განიცადეს და ფრენა განაგრძეს. ამგვარი უბადრუკი დასკვნების გამოისობით დიდიმი დიდ მეცნიერად დიდად ვერ ივარგებდა. სამაგიეროდ წყლის ვეება სივრცეს, ყოველი მხრიდან რომ მოჩანდა, პოეტური აღფრთოვანებით გაჰყურებდა. რამხელა საცავი ცდებოდა უქმად, სიმლაშის გამო კაცს რომ ვერ დაარწყულებდა.

აუზთან ბევრი ხალხი ირეოდა და ბანაობა გადაიფიქრა. არც გარეთ გასვლა ღირდა. მოღრუბლულ განთიადს დილიდანვე შეეკრა კოპები. წვიმიან დღეებს ისეთი პირი უჩანდა, ფუჭი ამინდები ერთობ გაიწელებოდა და დიდიმი უხალისოდ სცემდა ბოლთას. აკვარიუმის თევზების მსგავსად დრო მოწყენილობაში გაჰყავდა. დღეები რუხი თოჯინებივით ჩამწკრივებულიყო, ნაქსოვი კაბები ულაზათოდ ადგათ ტანზე და უნიათო ფერები თალხით შემოსილ მგლოვიარეებს ამსგავსებდათ. ასე ჩაიარა მთელმა კვირამ. ცოტაოდენი ცვლილება წამოსვლის დღეს დაეტყო. ავდარი ჰორიზონტზე დარის ნიშნებმა ჩაანაცვლა. ფთილებად ქცეული ნისლი სივრცეს ანდერძის ასლივით დაეფლითა, თითქოს რამდენჯერმე გადაკითხვით დარწმუნებულიყო, რომ არაფერი შეახვედრეს და ცხოვრების გასაგრძელებლად მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაჰყრდნობოდა.

სჯობდა, ახლა ჩამოვსულიყავი, უკვე წასვლა რომ მიწევს, გაიფიქრა დიდიმმა და გადაწყვიტა, დარჩენილი დრო სიამოვნებისთვის მიეძღვნა. იგი ხეებზე გაბმულ ჰამაკში ჩაეშვა, ჯერაც სისველით რომ იყო გაჟღენთილი და მათრახებით დაწნულს ჰგავდა. ვისაც ეკუთვნოდა, რევოლუციამდელ წლებში ალბათ ჰალსტუხებს ჰყიდდა, რევოლუციის შემდგომ კი სახრჩობელებს. მაგრამ ამგვარი მოსაზრება ცუდი ამინდებით გამოწვეულ დაღლილობას მიაწერა და ამგვარი ფიქრები თავიდან მოიშორა. შარაგზაზე ახალგაზრდა წყვილს ძაღლი ადრიანად გამოეყვანათ სასეირნოდ, მოუსვენრად რომ ყეფდა. გრძელი, ვარდისფერი ენა გამოეყო და პატრონებსაც ენის გადმოგდებამდე არბენინებდა. დიდიმი წამოდგა, სანატორიუმის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიაში ფლოსტების ტყაპუნით შეჩლახუნდა და იმის მიუხედავად, რომ იქ ყველაფერს გაცილებით ძვირად ჰყიდდნენ, ხელგაშლილობა გამოიჩინა. თუმცა გარეგნული დღესასწაული რახან შინაგანს არ ეყრდნობოდა, უკმაყოფილებამ მოიცვა.

სასტუმროში მობრუნებულმა ჩოჩქოლი გაიგონა. ვესტიბიულში უცნაური რეპროდუქციები გამოეფინათ, დამსვენებლებში დიდი მოწონებით რომ სარგებლობდა. გაუგებარ ხალხად რომ არ მიჩნეულიყვნენ, დაკემსილი ტომრები ახალი ხედვის ტილოებად აღექვათ, შედევრების გალერეას იმსახურებსო, ხელოვნების მუზეუმსა და დასავლეთის ქვეყნების საელჩოებსო. სასტუმროს მეპატრონე გამოფენის გახსნას თავად ესწრებოდა წამყვანი ტელევიზიის რეპორტიორისა და გადამღები ჯგუფის თანხლებით, გატაცებით რომ უამბობდა უზარმაზარი ქონების დაგროვების ამბავს. ჟურნალისტი არ აწყვეტინებდა, ეგებ რაიმე ახალი წამოსცდესო, ცხელ-ცხელ მასალად რომ ივარგებდა. მოთმინებით უცინოდა, მთავარი შეკითხვა კი ბოლოს დაუსვა, მილიონი ხომ კოლოსალური თანხაა და მისი გამომუშავება როგორ შეძელითო. ისიც ხალისით მოჰყვა ტრაბახს, მოწყენილობამ შემიპყრო და სხვა რა დამრჩენოდაო.

— ნუთუ მოწყენილობამ განაპირობა თქვენი უსაზღვრო გამდიდრება? მაშ, ბრავო და ბრავო მოწყენილობას! — აღტაცებით დასჭექდა რეპორტიორი, გული რომ უგრძნობდა, ძვირფასი საჩუქარი გარანტირებული ჰქონდა. არც გნიასს შეწყვეტდა, საყოველთაო ჟრიამულში მეტი მსმენელი რომ ჩაერთო.

— მე ზღვის ნაპირას დავიბადე, რაც უსაზღვრობის განცდას მიჩენდა. მნიშვნელოვანი ხომ ისაა, რაც ნარჩუნდება და არა ის, რასაც ვკარგავთ! — სევდიანად აღნიშნა მილიონერმა.

— ალბათ ამ წყლებში ოქროს თევზს გადააწყდით, სამ სურვილს რომ ასრულებს მეყსეულად! — ენთუზიაზმით წააქეზა რეპორტიორმა, თხრობა რომ განეგრძო.

→



დიმიტრი წიკლაური

მშენებელი

დასასრული

— თევზი არაფერ შუაშია. ეგ არის, დროს უქმად არ ვკარგავდი. ერთი ხანობა უდაბნოს შევრჩი, სადაც ძნელი ცხოვრება მქონდა. თუმცა გვარიანი თანხაც გამოვიმუშავე. კარიერად ქცეული კარიერი, ხანგრძლივად რომ ვთხრიდი, სამარხის გასწვრივ მდებარეობდა. საძვალე იმდენად ძველი იყო, ისტორიული მნიშვნელობის თითოეული ექსპონატი ქათქათა და გაცრეცილ ნაჭრებში ჰქონდათ გახვეული, ზედ აღბეჭდილი წარწერებით, სამარხში ძლევამოსილი მეომრები რომ განისვენებდნენ. თავის დროზე მღელვარება მარჯვედ ჩაეხშოთ, სახელმწიფოს არსებობას საფრთხე რომ არ შეჰქმნოდა. ჯანყი თავზეხელაღებულთა საქმეა, მისი ბოლომდე მიყვანა კი თავდაუზოგავების. ამბოხებულები სიცოცხლეშივე ქცეულან უდაბნოს აჩრდილებად, რადგან ასეთ სიმტკიცესთან შეხლას არ ელოდნენ. მშივრები ტკეპნიდნენ უდაბნოს ქვიშას, მოსარკული ზედაპირით ჰალვას რომ ჰგავდა, ქარავნების მფლობელ სოვდაგართა სუფრაზე მირთმეულს! — ამ სიტყვებზე მილიონერმა თვითონაც იგრძნო შიმშილი და სუფრასთან ხომ არ გადაგვენაცვლაო, შესთავაზა სტუმრებს. მერე მაგიდასთან მიიპატიჟა და ახლა იქ წარმოაჩინა პათეტიკური სულისკვეთება. ჩრდილოეთში დიდხანს დავყავიო. მსმენელებს რჩევაც კი მისცა, სლავი ქალი თუ შეგიყვარდათ, გულის ტკივილი არყის ხესთან გაუმხილეთო. იქიდან იმიტომ წამოვედი, ქვეყანა ომში ჩაერთოო. ჩემი სამშობლო რახან არ იყო, არაფერი მესაქმებოდაო. ემიგრანტს ერთადერთი, რის მოპოვებაც ძალუძს, სიცოცხლის შენარჩუნების გამოცდილება�ო და კიდევ ათასი აბდაუბდა წარმოთქვა. ადრე იქით ვცხოვრობდიო, ხელი კუშტ ფერებში გამოსახულ ჭაობებისკენ გაიშვირა. ლერწმებს შორის მდებარე ფიცრულები მებადურებს ეკუთვნოდათ, რისხვით აღვსილ მოდგმას, ბედი რომ თითქმის არასდროს სწყალობდათ.

— დარწმუნებული ვარ, შეზარხოშებულ მეთევზეთა უხამსი გინება ახლაც იკლებს იქაურობას! — თვალები გადმოკარკლა მან, რამაც დიდიმს ხეობაში ნანახი ქვები გაახსენა, — ერთი სული მქონდა, სხვაგან გადავსახლებულიყავი, რათა ის ღატაკი ფონი შემეცვალა, ბავშვობის წლები რომ ჩამიშხამა. ფულის ჩადებით მხიარულ ელფერს იქაურობასაც შევძენდი, მაგრამ ეს ხანგრძლივ და ამაო საქმედ მეჩვენა. დუხჭირი გარემო, მწუხარებით აღბეჭდილი, ჩემთვის ასეთივე დარჩებოდა.

მილიონერს დროდადრო სახე უნათდებოდა, გეგონება, მის ზურგსუკან ლამპა ჩახჩახებსო. კაშკაშა გამნათებლების მოციმციმე ფონზე აპარატების ჩხაკუნი გაისმოდა. მეპატრონის მტკიცე გამოხედვა, დიდმა ფულმა რომ განაპირობა, მის ღრმა განსწავლულობაზე მიუთითებდა, მაგრამ თავისი ნააზრევი წიგნადაც რომ გამოეცა და იმ ყაიდის ყდებში ჩაესვა, გამომცემლები ძვირადღირებულ სტამბებში როგორსაც ბეჭდავენ, სადაც მუშებიც კი ოქრომჭედლებივით ჰყავთ გამოწყობილი, უბადრუკ ნაჯღაბნს ეტრატის სიძვირფასეს მაინც ვერ შესძენდა. თუმცა მგზნებარედ განაგრძობდა საკუთარი გონიერების ხაზგასმას:

— მე ბევრი აღმოჩენა გავაკეთე. უპირველესად მედიცინა უნდა გადაიხედოს. ახალმა დროებამ დაავადების სიმპტომებიც შეცვალა. შაკიკი თავის ტკივილის გარეშე მიმდინარეობს და ვეღარ ხვდები, საქმე რომელ დაავადებასთან გაქვს. თავბრუს ხვევა გულისრევის შეგრძნებას აღარ იწვევს. ამიტომაც მკურნალობისთვის სხვა მეთოდებია მოსაფიქრებელი. ჩემი წარმატების საიდუმლო ისაა, რომ არასოდეს ვნებდებოდი. ეს იმ მეომრებისაგან ვისწავლე, უდაბნოს საძვალეში რომ განისვენებდნენ.

მის ყოველ გამოსვლას ყიჟინი და მქუხარე აპლოდისმენტები ახლდა.

— ყავას მოგიდუღებთ? — მუდარით შესთხოვა კეკლუცმა მიმტანმა, ოღონდაც მის თვალთახედვაში მოხვედრილიყო.

— მე ცოლი მყავს ყავის მოსადუღებლად! — იუარა მილიონერმა და ამ უკბილო ხუმრობასაც ერთგული გარემოცვა ხორხოცით შეეგება. მილიონერი იყო და უგერგილო ღლაბუციც მანჭვა-ღრეჯით უნდა აღენიშნათ.

— რამდენ ხანს გასტანა ესოდენ მტანჯველმა მდგომარეობამ? — სამძიმრის ტონით შეიცხადა რეპორტიორმა, ფლიდ გამოხედვას მაშინაც რომ ვერ მოიშორებდა, მისი სტატია ოპოზიციურ გაზეთებსაც რომ დაებეჭდა და იმგვარი შეგრძნება გასჩენოდა, მტრის ტერიტორიაზე ვიმობო.

— ყველაფერი ჭიანურდება, დავიწყებას თუ არ მიეცა! — შთამაგონებლად უპასუხა ურიცხვი წარმატებებით თავბრუდახვეულმა რესპონდენტმა, ზოგჯერ ისე მჭექარედ რომ შესძახებდა, თითქოს ამალას მოუძღვისო, ზოგჯერ კი ჩურჩულზე გადადიოდა, გეგონება, სანთლის მომცრო ნაღვენთი ბჟუტავსო.

— ჩემი ფიცრული ქოხი უმნიშვნელო ქარშიაც საწყალობლად ჭრიალებდა. ქარიშხალი სტვენით მაზიარებდა ზღვებს შეჭიდებულ რჩეულთა გამოცდილებას, შესაბამისი დასკვნები რომ გამომეტანა. ერთადერთი ეს ქოხი გამაჩნდა და ისიც ფანჩატურივით უბადრუკი. ახლა კი სასტუმროთა მთელ ქსელსა ვფლობ სანაპირო ზოლის ათასკილომეტრიან წრეხაზზე!

ხალხი ტიროდა და იცინოდა. ამდენ სიყალბეს დიდიმმა ვერ გაუძლო და გაჩირაღდნებული სცენა ფეხაკრეფით დატოვა. იგი ნომერში ლიფტით ავიდა და ოთახში შესვლისთანავე საწოლზე გადაემხო. აღმშენებლობით დაკავებულ ადამიანებს ვერასდროს ჰგუობდა. მათი გარემოცვა ჩიხის შეგრძნებას აღუძრავდა. ასეთებს კი რა გამოლევდა. იმდენნი იყვნენ, გეგონება, კაცობრიობა მხოლოდ ამ საქმით დაკავდაო. დიდიმისთვის ეს ქვეყანა სრულ გაუგებრობად ქცეულიყო და ამას წუხილით აღნიშნავდა. კიდევ კარგი მემკვიდრეობით უძრავი ქონება ერგო და ოთახების გაქირავებით გადიოდა ფონს. ამისთვის ხომ არც უზრუნია, მხოლოდ მისი შენარჩუნება მართებდა.

— ესეც დიდ ყურადღებას საჭიროებს! — იმართლა თავი, საკუთარი დამსახურებისთვისაც რომ გაესვა ხაზი.

5

წამოსვლის დილა რომ გათენდა, დიდიმმა თადარიგი დაიჭირა ანგარიშის გასასწორებლად, ვაითუ ბევრი დრო წაიღოსო. თანხობრივ ნაშთს ძირითადად ოთახში მორთმეული ყავის საფასური შეადგენდა. ამ განზრახვით მიადგა კანცელარიას, თუმცა ბუღალტერი ჯერ არ მოსულიყო.

— როდის გამოცხადდება, ვერ გეტყვით, აქ ყველას განსხვავებული გრაფიკი აქვს! — აუწყა მოლარემ.

ერთხანს ჰოლში იჯდა მომლოდინე გამომეტყველებით. როგორც იქნა, ბუღალტერი გამოჩნდა. დიდიმმა თანხა გაასწორა და ავტოვაგზლისკენ ფეხით გასწია. თან ჩემოდანი მიჰქონდა, მთელი აქ ყოფნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ რომ გაეხსნა საწვიმრისა და მაისურის ამოსაღებად.

ავტოვაგზალი გორაკებს შორის მდებარეობდა, მდიდრული პანსიონატის მოშორებით. გაპარტახებულ დასახლებაში გულჩათხრობილ ხალხს ეცხოვრა, მწირი შემოსავლით როგორღაც რომ არსებობდნენ. ბაცად შეღებილ ღობეებს ხავსი მოსდებოდა. დიდიმს ეს ფერი ჩამქრალ ცეცხლს აგონებდა. ხეივანში ბებერი ხეები ისე ჭრიალებდა, როგორც კინოთეატრის ძველი სკამები მოსაწყენ სეანსზე. კაჭკაჭის ხმა და ყვავების გულღრძო ყრანტალი შორიდან აღწევდა. ცა თუ ისევ მოიქუფრებოდა, კვლავაც დიდი ხნით. მაგრამ საამისო არაფერი ეტყობოდა. ლაჟვარდებს კრიალი გაჰქონდა. ოაზისის წყალს ჩიტები უსხდნენ გრძელი ნისკარტებით, გეგონება, ჭალები კენკვა-კენკვით მოევლოთ და ახლა ჭავლებს მისდგომოდნენ დასარწყულებლად. შორიახლო მდებარე თავლაში ფლოქვების თქარათქური ცხენების სუნთქვას შეეცვალა. შესაშური ოსტატობით მოთიბული ბალახის გამოისობით, მდელო ერთ თარგზე გაკრეჭილს დამსგავსებოდა. კოხტა კორტოხზე, ზამთარში თოვლით რომ დაიფარებოდა, თივის ზვინები აღემართათ. კაფეში არსებული ატმოსფერო ნაცნობი იყო, ფეშენ-სასტუმროსგან განსხვავებით, სადაც თავს უცხოდ მიიჩნევდა. მრგვალ მაგიდებზე სამარილეები და სანელებელი ელაგა. სამზარეულოში ხორცს ჭრიდნენ წვრილად, სურნელებას მანამდეც რომ აფრქვევდა, სანამ ტაფაზე შებრაწავდნენ. დიდიმს მოჰბეზრებოდა ელიტარული ხამანწკები, შავი ხიზილალა და ვაშლის დესერტი. რაღაც ეროვნული მონატრებოდა, მამაპაპური. აქ კი სწორედ ეს იყო. იგი თავისუფალ მაგიდას მიუჯდა და სანამ ხორციან საჭმელს შეუკვეთდა, დაჭრილი პური და თაფლი მოართვეს. როცა ვერცხლისფერი კოვზით ყუაზე გადაუსვა, ბლანტ ულუფას მზის ათინათმა ოქროსფერი ბზინვარება შემატა. მადის აღმძვრელმა სურნელებამ ფუტკრებსაც უხმო. კოღოებმა კი ისე შეაწუხა, ნეტავ აქედან ცოცხალს გამაღწევინაო. მერე ხალხმრავალ ადგილას გადაინაცვლა. სხვებიც რომ იქნებიან, ნაკლებად დამკბენენო.

— ამ ადგილს საკოღოეთი უნდა ეწოდოს! — ბრაზით განაცხადა, თანამოაზრეები რომ გასჩენოდა, მაგრამ უმეტესობა ადგილობრივი ჩანდა და შეჩვეულიც იქნებოდა. თუმცა ერთი მათგანი მაინც აჰყვა, ერთი ბეწონი არიან, კბენა კი მწარე იციანო.

— ღვინის გადაყლურწვა თუ გსურს, ნაკბენიც უნდა აიტანო! — გაეპასუხა მეორე.

— ავიტანდი კიდეც, მაგრამ ისეთი საშინელი წივილით დამტრიალებენ, თითქოს სასტიკად დამცინიანო!

— ეს კოღოები ისევ ჩვენ, ღარიბებს თუ დაგვკბენენ, თითქოს დავიდარაბა გვაკლდეს. მდიდრებს ათასი საშუალება აქვთ, დამცავი ბადეებით დაწყებული, მწერების საწინააღმდეგო საცხით დამთავრებული. ჩვენ კი აკაპიწებული მკლავებით ველით, როდის დაგვასხდებიან სასტიკი ნესტრებით. სისხლს გულუხვად ვუზიარებთ წარბშეუხრელნი, გეგონება, მათი მონდომება ვერაფერს გვაკლებდეს!

იქით მაგიდაზეც ისხდნენ ორნი, საერთო ლაპარაკში რომ არ ერეოდნენ. ერთი მათგანი თავის გასაჭირზე ჰყვებოდა. დირექტორი დიდი ამბით მეკითხება, როგორა ხარო. ლამის მივახალო, ფეხებზე გკიდივარ და როგორ ვიქნები მეთქი. მაგრამ მოთმენა სჯობს. დირექციას უძლებდა და კოღო რას დააკლებდა.

დიდიმი ავტობუსში ჩაჯდა და ფიქრები მოეჯარა. ბევრი წვრილმანისგან შემდგარი ცხოვრება ცვლილებებს განიცდიდა. ძუნწი კაცი მომჭირნეობას დღითი-დღე ხვეწდა. გაკოტრებული ხელგაშლილი ხელის გაშვერას სწავლობდა. ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. დასკვნებს, რომელიც დიდიმს გამოჰქონდა, ხელების სავსავით გამოხატავდა. იგი არაფრის შეცვლას არ გეგმავდა. სიახლეებში გარკვევა საგონებელში აგდებდა და აქტიურობის ხალისს უკარგავდა. ბოლოს იმ აზრამდე მივიდოდა, სიცოცხლე სამსჯავროზე წარსადგენად მზადების დრო რომ იყო, მაგრამ მანამ მრავალჯერ მოიტეხდა კისერს, მრავალი იმედი გაუცრუვდებოდა და მზერაც ისეთი კუშტი გაუხდებოდა, ბაქანზე დარჩენილი მგზავრი რომ გაჰყურებს მატარებლის შემადგენლობას, წუთით რომ გაასწრო და ბოლო ვაგონიღა მოჩანს, სადაცაა თვალს რომ მიეფარება.

მომბეზრებელმა მგზავრობამ რაოდენ დიდხანსაც არ უნდა გასტანოს, ბოლოს მშობლიურ ქალაქს მიადგები. ნუგეშიც ეს იყო და დიდიმი უცნაურმა ჟრუანტელმა შეიპყრო. ასე ბავშვობაში ემართებოდა, როცა ცუდი ამინდებიც სიხარულის მომტანი იყო. მისდღემში ვაგზალთან ახლო ცხოვრობდა, მაგრამ ბევრ რამეს ვეღარ ცნობდა. მან ბეტონის ურიცხვ ჩონჩხს ჩაუარა, ამწეებთან დაწყვილებულს, თავისი მისაბმელებითა და მისადგმელებით. მრავალი შენობა შენდებოდა ერთდროულად, რომელთაგან ერთ-ერთს მისი მდგმური ზედამხედველობდა. ნეტავ მაინც რომელს? კარკასთა რუხ მწკრივს ცნობისმოყვარედ გახედა, თითქოს როგორმე უნდა ამოეცნო. კედელთან მიყრილი მომსხო ქვები ზვინად აეხორხლათ, სიმძიმის მიზეზით რომ არ ჩამოცვენილიყო. ზედმეტ შრომას ერიდებოდნენ, რადგან გზაზე გაბნეულს ვინღა აკრეფდა. ხეების მწვანე საცავიც გამქრალიყო. ერთიღა ჩანდა, ფოთლებზე ცემენტის მტვერი სქლად რომ დასდებოდა, გეგონება, ფერუმარილით გათხუპნესო.

საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მშენებლები შეადგენდნენ, ტვინის გამომლაყავი სალაპარაკო ენაც ერთნაირი რომ ჰქონდათ — რკინა-ბეტონის არმატურა, ამრეკლი იზოლაცია, დაფაქტურებული აგური, ავტოგენური შედუღება, საშხეფი სისტემა, აკუსტიკური ბათქაში, აკრილის მილები, ჰაიდელბერგის ცემენტი, განმბჯენი ქანჩები, სამთო სამაგრები, ბრჭყვიალა ჭანჭიკები, ფასადის ფერდები, საჭედები, კოჭები, შვერილები, გრუნტი, სარტყელი, ანჰიდრიტი, ბადეები და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი რამ. ამ კასტის წარმომადგენლები ამგვარი ტერმინებით ბჭობდნენ, ლაზღანდარობდნენ და ტექნიკურ ფრაზეოლოგიას განავრცობდნენ, თითქოს პრაქტიკული გამოყენებისთვის საჭირო უცხო ენას ეუფლებიანო. სპეციფიკურ სიტყვებს უაქცენტოდ გამოთქვამდნენ, სისხლის ჩქროლა რომ ეგრძნოთ ეპოქის შიგნით ჩამძვრალებს, დიდიმს კი თავი გააბეზრეს, მათგან განსხვავებით ყოველი დღე მორიგი ეტაპის გადალახვად რომ მიაჩნდა.

ყამირს დანთქმა სჩვევია, ადამიანები კი ერთად დასახლებისკენ მიისწრაფოდნენ. მაგრამ ბეტონით ჩახერგილი ვიწრო ქუჩები რომც გაეფართოებინათ, ზოგან წყალი ამოხეთქავდა. ამ მოცულობის ახალშენებს ძველი მილები რაღას ეყოფოდა, თავის დროზე გაცილებით მცირე ტევადობაზე რომ იყო გათვლილი. ირგვლივ სხვა ეპოქის მაუწყებელი ღმუილი გაისმოდა, თანაც ისე საზარლად, გეგონება, კაშხალს გადმოეხეთქა დიდიმისნაირების წასალეკად, სიახლის დამკვიდრებას წინ რომ ეღობებოდნენ. სამართლიანობის აღსასრულებლად ყოველი სცენა მასალათა გამძლეობის წვრილმანებამდე გაცნობიერებულ ხალხს უნდა დარჩენოდა.

როცა დიდიმი ნაცნობ ქუჩაზე აღმოჩნდა, მშობლიური ეზო ხელის გაწვდენაზე ეგულებოდა. უცებ თვალები დააჭყიტა, რომელსაც დიდხანს და გამეტებით იფშვნეტდა. მისი სახლი აღარსად იყო. იმ ადგილას უზარმაზარ ორმოს დაეფჩინა პირი, ხოლო მოშორებით ორიოდე მუშა გრძელი ნიჩბებით ზელდა ცემენტს.

— აქ რა ხდება? — მიუახლოვდა ზეინკალს, ჩაფხუტი ქვაბივით რომ ემხო თავზე.

— უნებართვოდ ნუ შემოდიხარ?! — ატეხა კივილი, — ვერ ხედავ, რომ მშენებლობა მიმდინარეობს?! გაიწი იქით, ქეჩოზე რამე არ დაგეცეს და მე არ დამბრალდეს! — რა უნდა დასცემოდა, როცა აღარაფერი იყო.

— აქაურობას ვინ ხელმძღვანელობს? — ბორძიკით ამოღერღა ენაწართმეულმა დიდიმმა.

— სიგიზმუნდის შესახებ გსმენია?

საკუთარ მდგმურზე როგორ არ სმენოდა.

— რაო? მდგმურიო? — ჩაეცინა ზეინკალს, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო.

— სად ვნახავ? — ცივად მიმართა დიდიმმა, მისთვის არაფრის ახსნას რომ არ აპირებდა. ჩაფხუტიანმა ვაგონისკენ გაახედა და დიდიმი შემდგომ წამს საპროექტო ნახაზებში ჩაფლულ ყოფილ მდგმურს დაადგა თავზე, ფანქარი და ტრანსპორტირი შთამაგონებლად რომ ეპყრა ხელში.

— სალამი! — ამოღერღა დიდიმმა, შეშლილი მზერით რომ აუწყებდა აპოკალიფსური სცენის შემსწრეობას.

— დიდბინიან დიდიმს ვახლავარ! — მხიარულად შეეგება მშენებელიც, აქაურობას ისე რომ დაჰპატრონებოდა, თავის კაპრიზსა და პირობებს კარნახობდა, — რა მალე ინებე ჩამობრძანება, მე კი სიურპრიზს გიმზადებდი!

ენაჩავარდნილ დიდიმს შინაურულად გადახვია ხელი და ენად გაიკრიფა, წარმატებულ ფირმებთან ვაწარმოებო მოლაპარაკებებს. ცოტა უნდა დავიცადოთ და ოცდაათი პროცენტით მეტ ფართს დავიმტკიცებთ, ვიდრე გაგვაჩნდაო. რომ არ მოვტყუვდეთ, ამის გარანტად თავად ჩავერთე პროცესებშიო. ყოველ დეტალს ისეთი აღტყინებით განუმარტავდა, უკვირდა, ეს სიხარული მისთვის გადამდები რომ არ აღმოჩნდა.

— არ უნდა შეგეთანხმებინა?! — საყვედური გამოთქვა დიდიმმა.

— აქაურობას ისედაც უზარმაზარ კორპუსებს შორის მოაქცევდნენ და მთელ ხიბლს დაუკარგავდნენ! — ამ სიტყვებზე დიდიმი შორს გაახედა. პაპანაქებაში თავამოყოფილი კორპუსების ფერხთით ალვის ხეები ირხეოდნენ, თითქოს გოლიათები მდგარიყვნენ ბალახებში, — შენ ძნელად იღებ გადაწყვეტილებებს. მე კი მომენტის ხელიდან გაშვება არ მინდოდა!

ამ საკითხშიც მართალი იყო. დიდიმი თევზის ბაზარშიც კი აყლაყუდა ქორ-ვაჭართა დახლებთან ჩავლისას იმაზე ორჭოფობდა, ქაშაყი ეყიდა თუ ქორჭილა. თუმცა დამწუხრებულს ახლა ამისთვის არ ეცალა. თურმე ქონების დატოვება წამითაც არ შეიძლებოდა, რადგან მემკვიდრეობა პირველ რიგში მეთვალყურეობას გულისხმობს. აქ კი უბრალო მინდობილობის საფუძველზე ამხელა ამბები დატრიალდა.

— განა ეს კანონის დარღვევა არ არის? — დიდიმის აღშფოთება ისე გაჟღერდა, როგორც კლდოვან ნაპირზე შეხლილი უგრძესი ტალღა.

— იმას გულისხმობ, შენი ნდობით რომ ვისარგებლე?

— თუნდაც!

— ეგ ხომ უკვე აგიხსენი!

— ერთ კვირაში ამდენი რამე მაინც როგორ მოასწარი? — მისი ხმა უკვე ტალღის უკანდახევას დამსგავსებოდა, აქაფებულ წყალს ქვიშასთან ერთად რომ მიიხვეტავს ხრიალით.

— ჩვენ, მშენებლები, შემოქმედს ვბაძავთ. განა სამყაროს შექმნას ზუსტად ამდენი დრო არ დასჭირდა?

— ახლა სად წავიდე? — ამოილუღლუღა ფარხმალდაყრილმა დიდიმმა, დემაგოგიასთან გამკლავების თავი რომ აღარ ჰქონდა და იმ უბადრუკი მომენტის მოახლოება შეეგრძნო, ჩათრევას ჩაყოლა რომ სჯობს.

— ოთახი გვიქირავეს. ფულს თვითონ გვიხდიან, სანამ კორპუსი აშენდება. გვერდი-გვერდ ვიქნებით. აფსუს, გარეშაც მოსწრებოდა ამ ამბავს, როგორ გაიხარებდა!

კიდევ კარგი, ვერ მოესწრო, გაიფიქრა დიდიმმა და მისი დაჟინებული დარიგება გაახსენდა, ფართი არაფრით დაუთმოო ამ ცრუპენტელას. თავისი ბინა კი, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ დაჰფოფინებდა, ვაგლახ, ამ ავანტიურისტის ხელში აღმოჩნდა.

— მდგმურები რაღა იქნენ? — საწყალობლად იკითხა დიდიმმა.

— ყველანი დავითხოვე, როგორც ხელის შემშლელი ფაქტორები დიადი მიზნისკენ მიმავალ გზაზე!

— ოლიაც დაითანხმე?

— ჰო! თანაც ყველაზე იოლად!

— ეს ალბათ ისეთივე სიმართლეა, როგორც ქალ-ზღვაოსანთა ტური!

— ეგ პატარა ტყუილი დიდი სიმართლისთვის დამჭირდა. მაგ ტურით წაგაქეზე, წასვლა რომ არ გადაგეფიქრებინა!

— ჩემი ამბავი გასაგებია, მაგრამ ოლია ხომ ყოველთვის პრინციპული ქალბატონი ბრძანდებოდა!

— სწორედ მაგ პრინციპს შევუცვალე მიმართულება. რეალობაში რომ გაერკვა, თავადვე მაჩქარებდა, საქმეს მალე მოვკიდებოდი. თვითონ სოფელში არჩია წასვლა. ბარაქის ყვავილი ცემენტის მტვერმა მის თვალწინ გაახმო, რაც ავბედითად მიიჩნია და ბარგი მდუმარედ ჩაალაგა. დამშვიდობებისას მთხოვა, ქოთნიანად ჩამეყოლებინა საძირკველში, შენების პროცესი როგორც კი დაიწყებოდა. რომ მიდიოდა, აქაურობას ერთხელაც გამოხედა. ცრემლებსა ღვრიდა და ჩურჩულებდა, არაფერს ვნანობო. მეყოფა, ეს ქალაქი საკმარისად ვითმინეო.

— ავეჯი რაღა იქნა?

— რა წვრილმანებზე მედავები? განა ავეჯი ეთქმოდა გაურანდავი ფიცრებისგან შეკოწიწებულ ტარაკნების ბუდეს, წებოვნება კარგა ხნის წინ რომ დაეკარგა. ბითუმად ჩავაბარე მეორადი ნივთების ბაზრობაზე. რაც მნიშვნელოვნად მომეჩვენა, ყუთში ჩავაწყვე და ბოხჩაში გამოვკარი. ის უმნიშვნელო თანხაც შიგნით ჩავყარე და შენს ოთახში დავდე თაროზე! — ამ სიტყვებზე ტაში ისე შემოკრა, თითქოს ხელები დაიფერთხა ხავსის ნარჩენებისგან.

მერე დაქირავებული ბინის სანახავად გაემართნენ, სადაც დიდხანს მოუწევდათ ცხოვრება მტვერსა და ხმაურში. კირით მოთხუპნულ თაროზე მართლაც ბლომად ნივთები ელაგა. დიდიმმა ჩარჩოიანი სურათი გადმოიღო, დედ-მამის ფოტოთი, ნათელი რომ ადგათ სახეზე. მშვიდობიანი ღიმილის მიზეზი ის იქნებოდა, ერთადერთი შვილი ბინით რომ უზრუნველყვეს. დიდიმს ცრემლები მოეძალა და ფოტოს მთრთოლარედ გადაუსვა ხელი. მერე დანარჩენი ნივთებიც მოათვალიერა. ბებიის ნაქონი საათი, კალმისტრები, ბლოკნოტები ჩანაწერებით, ჯამ-ჭურჭელი და წამლის ფლაკონები, მშენებელს ერთად რომ ჩაეყარა თუნუქის ყუთში. ყოველი ნივთის ამოღებას ყრუ წკარუნი სდევდა, ეტყობა ფსკერზე დედამისის ნაქონი მძივები იყო ჩაბნეული. დიდიმი ჩივილს თავის საქმედ არ თვლიდა და ამიტომაც ბედს უნდა შეჰგუებოდა. მან კარდიომაგნილის აბი გადაყლაპა და რაოდენობა რომ არ შეშლოდა, კატაბალახას ნაყენის ოცდახუთი წვეთი ხმამაღლა დათვალა. მდგმური მორჩილად აკვირდებოდა ამ პროცესს, მაგრამ ოხვრის გაგონებაზე სინდისის ქენჯნა არ უგრძნია. ის ხომ ღირებულს მხოლოდ იმ მოტივით ანგრევდა, უფრო მნიშვნელოვნის აშენება ჰქონდა განზრახული. მერე კი, გეგონება, ტერიტორიაზე შეკრებილ საზოგადოებას მიმართავსო, თქვა:

— შურიანი ხალხი სარეველას თესვით გართულა. ისინი ჩვენზე ყოველთვის ცუდს ილაპარაკებენ. ჭორიკნების ჭარტალი ჭაობებს აჩენს. თუმცა ჩვენც გვიან აღვიქვამთ სიკეთეებს. არასოდეს ვიტყვით, რა კარგ ადგილას ვიმყოფებითო. წასვლისას თუ წამოგვცდება, რა კარგ ადგილას ვიყავითო. ჩვენი მოხუცები პენსიის სიმცირეს უჩივიან. ჩვენი ქალები ძვირადღირებული პარფიუმერიის მაღაზიებში დასათვალიერებლად თუ შევლენ. ჩვენი გუნდები სატურნირო თამაშებს აგებენ, ჩვენი კატები მსოფლიოს სხვა ქვეყნის კატებზე გულსაკლავად კნავიან. და კიდევ ბევრი — ჩვენი... ამიტომაც ვარ გარდატეხის მომხრე, იქნებ ერთხელ და სამუდამოდ დავადგეთ სწორ გზას!

— ჯანდაბას! — უხალისოდ შეაწყვეტინა წინასაარჩევნო სიტყვის მსგავსი პათეტიკა ახალ რეალობას შეგუებულმა დიდიმმა. თან ღვინის ბოთლს ათვალიერებდა, ყუთში რომ აღმოჩნდა. თვითონ არ უყიდია, მაგრამ ვერც იმას იხსენებდა, ვინ აჩუქა.

— ეგ მაშინ გავხსნათ, ამწეს რომ მოაგორებენ! — თქვა მშენებელმა.

დიდიმს არაფერი უპასუხია.

— ვიცოდი, რომ გაგიხარდებოდა, როგორც კი მომხდარში გაერკვეოდი! — მხარზე ხელი მოუთათუნა მშენებელმა.

— მშენებლობა რამდენ ხანს გასტანს? — მეგობრული ჟესტის უარსაყოფად ხელი აუკრა დიდიმმა.

— ორ წელიწადს ვვარაუდობ! — უცებ დასერიოზულდა მშენებელი, — რაც უნდა იყოს, თოთხმეტსართულიანი კორპუსი შენდება, ქვეშ გარაჟებითა და სათავსოებით. ჩვენ მაგალითის მიმცემნი უნდა ვიყოთ. ერთობლივი შეთანხმებით ბინებს მეთოთხმეტე სართულზე ავიღებთ!

— რას ამბობ? — შეჰყვირა დიდიმმა, — მაგას სარდაფი მირჩევნია, სიმაღლის შიში ბავშვობიდან დამყვება!

— ჰოდა, დროა, გადაეჩვიო! ახალი ცხოვრება თავბრუდამხვევ პერსპექტივებს გთავაზობს. მაღალ სართულზე ცხოვრება უსაზღვრო სივრცეს შეგაგრძნობინებს, თითქოს ცას გამოეკერე. ფერხთით ლაჟვარდები გადაგეშლება. გაცრეცილ ფთილებს ამოკემსილ ნაფხრეწებად მიიჩნევ, აივანი ჰამაკად მოგეჩვენება...

დიდიმს თვალწინ აუზი წარმოუდგა, გამჭვირვალე მედუზებითა და ფრთოსანი თევზების თავგადაკლული სრბოლით, შარში მყოფობას ასე რომ გამოხატავდნენ და აღმოთქვა, მეძინებაო.

— მესმის! დაგღალა ამდენმა ემოციამ! აბაზანა და საპირფარეშო დერეფნის ბოლოშია, ხელმარცხნივ. ოღონდ რახან საერთოა, დიდი ხნით ნუ დაიკავებ, კარზე ბრახუნი რომ არ აგიტეხონ. დაგტოვებ, კომპანიონერო! ჩემი გაცილებით არ შეწუხდე. აქვე მივდივარ, ორ ნაბიჯზე, გვერდით ოთახში. და ის მამხნევებს, ერთმანეთი სანდო პარტნიორებად რომ გვეგულება! — შემართებით წარმოთქვა მშენებელმა და როცა ოთახიდან გადიოდა, კარი ფაქიზი მზრუნველობით გამოიხურა.

ნინუკა ქოიავა

ამაო ბინა

ვუყურებ ჭადრებს და მის სიმწვანეს
ჰაერის სუნთქვა ხანდახან არხევთ.

გაბმულმა ზარმა დაიწყო რეკვა,
კარი იღება, შინ შემოდიან სხვისი შვილები
და დამყურებენ, როგორც ბოძები
დენებით სავსე
და ვერ ვტოკდები,
როცა უძრავად ორ ფეხზე დგანან.
მე ძირს დაგდებულ მატრასზე ვწევარ
და კვლავ მინდება,
რომ მაღალ ყელზე
აუღელვებლად
გადავისვა
სამართებელი,
რადგან იქ ვცხოვრობ, სადაც ძირს ვწევარ —
ფეხსაცმელებთან,
სადაც ვერ მოვლენ ჩემი შვილები
და, აი, ისევ ვაგრძელებ ასე
წოლას და ცქერას,
ცქერას და წოლას.
ჩემი ბაწარი ისევ გაწყდება
და მარტოდმარტო შევუდგები მხრებით შენობებს,
ნაშენს ფიქრებით
ობლად დარჩენილ თოვლის ფიფქებზე.

მიწისქვეშა გადასასვლელი

იქ იყო კიწი
ძაან ბრჭყვიალა,
ჯეტეას გოგო
ულამაზესი მკერდით მიწის ქვეშ,
რაზეც ეწერა „ლიბეღტე ტუჟუღ“
საფრანგეთის დროშის ფერებში.
ჩვენ კიბის ბოლოს სველ კუთხეში ერთად ვიდექით.
შემაშფოთებლად ძალიან ახლოს
და მხოლოდ თითებს ვაწვდიდით თითებს
და ყოველგვარი რყევების ავლით
ჩვენ მოვიქციეთ თავები მხრებში
ჩვეულებრივად
და არა ისე, როგორც ოდესღაც,
როცა არ გინდა, სადმე გაგექცეს
კანქვეშ და ძვალქვეშ
უტყუარი ნიშანი გულის
ღვიძლის, ნაღველის, ელენთის ნაცვლად.
მხოლოდ ფეთქვა და დილის სხივები.
მყარი მიწის ქვეშ
ჩვენ ჩამოვსხედით ცუდად ამოჭრილ ჩამოსაჯდომზე
და მითხრა — ფართოდ დახუჭავ თვალებს,
ჩემი თითების მოძრაობას ნელა გაყვები
და სხვანაირად თბილი ჰაერით
გადაიქცევი წამით უწონოდ
და გაგახსენებ,
სულ აქვე, ხელის ერთ გაწვდენაზე,
და სწორედ ამ დროს და ამ წამებით
აღარ ხარ არსად
სამოცდაშვიდი კილოგრამი ძველი სხეული.

შავი მერანი

ვერც ადიდებულ წყალთა დინება,
ვერც უკუნეთი ღამე გიშველის,
ცა განათდება, რომ შეგახსენოს,
გულს, რახანია, რისი შიში აქვს —
საკუთარ თავს ხომ ვეღარ დამალავ ისევე,
როგორც თოვლში გიშერი,
უცხო იქნები და თეთრ რემაში
გამოგარჩევენ შავს და იშვიათს!

გაჭრი ტალღებს და ქარებს სამხრეთის,
ზუსტი ვით ელვა, ან ვით ისარი,
ცეცხლი ვერ დაგწვავს, ვერც მზე მკათათვის,
თავად იქნები რადგან მზე მწველი,
შენ გაიელვებ, შავო მერანო,
მაგ თეთრ რემაში — შავი სიზმარი,
თან გამოგყვება მიწის ზრიალი თავდავიწყებად,
როგორც მეწყერი.

აჰა, უსმინე ტყის ხმას ახლობელს,
იმ თავგანწირვით ქრის და იმ ალით,
რომ ეს ხეებიც, ქარის მსურველნი,
მკერდთან შებნეულ ფოთლებს იხსნიან,
არ გაგიმართლა, ანდაც ვინ იცის,
იქნებ შენს მხარეს იყო იღბალი,
თეთრ ცხენებში რომ აგარჩია
და შავ ცხენად ყოფნის გარგო მისია.

შემოიძარცვავ ღამის ყაბალახს,
პირველ სხივების ვნებით დასერილს,
ჩამქრალ თვალებში თუნდაც ბოლოჯერ
როცა გაკრთება ცეცხლის ზორტები,
შენი ფლოქვების შავი გრიგალი
ცამ და ხმელეთმა დაიმახსოვრა,
შენც თეთრ ცხენებში ასი წლის შემდეგ
ისევ შავ მერნად განმეორდები.

ისე იწვიმებს, ცა ყვავილებით
და მუშმალებით გზას დაგიხატავს,
მაგრამ ეს ის გზა როდი იქნება,
სიკვდილ-სიცოცხლის გზად რომ სახავდი,
შავო მერანო, შენც გადაიხდი,
ამ ქვეყნად ყველამ გადაიხადა
ერთადერთობის ყველაზე მძიმე,
ყველაზე ძნელი გადასახადი!

ველებს შემრეშილს ცაში აჭრილი
ლურჯი ალვების ჩრდილი შებურავს,
მოგაჩერდება ყველა სულდგმული
ხატს და სახებას ღვთიურ მშვენების,
შენ შეისვენებ ღონემიხდილი და მარტოსული,
მაგრამ მეფურად,
რომ დაინახო, როგორ ქრებიან
მზის ცხელ ქარვაში თეთრი ცხენები.

* * *

ერთ ღამეს იმ ხემ ვარსკვლავები მოისხა ტანზე,
აენთო, როგორც ჩირაღდანი სიბნელის მთაზე.
ერთ ღამეს ის ხე ოქროცურვილ მოჰგავდა ბარძიმს,
აცისკროვნებდა უთვალავ წამს, უთვალავ მანძილს.

და თითქოს ღამე დაფარული ცოდვისთვის იმკის,
მთელი სამყარო მაყურებლად გადიქცა იმ ხის.
ხე ვარსკვლავების გამოსცემდა დამფერფლავ სითბოს,
ვარსკვლავებამდე ადიოდა სინათლით თვითონ.

თუმცა მინახავს მრავალნაირ ხეების რიგი,
მაინც უშრეტი აღტაცებით მახსოვს და მიკვირს,
ის ხე, რომელმაც ვარსკვლავები მოისხა ტანზე,
სინამდვილეში მომაკვდავი ხე იყო იგი...

* * *

ხშირად მომხდარა, როცა ქრისტე გესიზმრებოდა,
თეთრი ტუნიკით შემოსილი, ლამაზი ქრისტე,
მწიფე ვაშლები მოჰქონდა შენთვის
და წყვდიადის სხვაგვარი ხედვა.
მიწის წიაღში დაგუბებულ წმინდა წყალს სვამდით,
უცქერდით გვალვით დადუღებულ, ეკლიან ფერდობს,
აღმოგხდებოდა გასაგონად ვიღაც არმყოფის,
აი, შენც ხედავ? აი, ჩემი ლამაზი ღმერთი!
და სუნთქვასავით გიწყდებოდა ყოველი სიტყვა,
დღემდე შემორჩა შენი სიზმრის დაბზარულ კედლებს,
იმ ხრიოკ ფერდობს, ყველა კუთხეს და ყველა კუნჭულს,
ასე ძალიან ახლობელი და უცხო ქრისტე.
იმ დროს იხსენებ, როცა ქრისტე გესიზმრებოდა,
რატომღაც ასე გიმართლებდა, ხდებოდა ასე...
და დილაობით მაგიდაზე გხვდებოდა მუდამ
ძველი ხის ჯამი დამწიფებულ ვაშლებით სავსე.

უცხო სტუმარი

იმ შორ საღამოს, დრო რომ ქარგავს თავისი ქარგით,
არ ვიხსენებდე ჟრუანტელით, ღამე არ გავა,
დავხვდი ჟასმინის სურნელით და წითელი კაბით,
უცხო სტუმარი რომ მოვიდა ჩემს მოსაკლავად.

ვუსმენდით მოცარტს დაბალ ხმაზე, მერე მარტო როკს,
სახლების თავზე ღამის ბინდი მოეწია მზეს,
ერთი შეხედვით ის არ ჰგავდა მკვლელს, ან პათოლოგს,
მეტიც — სინაზით საუბრობდა პოეზიაზე.

და შეგნებულად ვაკონკრეტებ, ცას რომ არ აჰყვა
იმ ღამით მთვარე, ვინაიდან გვერდს ვერ ავუვლი,
შემოეპარა თეთრი შუქით სახლის ალაყაფს
და ერთადერთი მოწმე გახდა დანაშაულის.

ის კი, უცხო და გალანტური ჩემი სტუმარი,
საბედისწერო ლურჯი მზერით ფიქრებს იჭერდა,
ვერ ვიეჭვებდი ცუდს მცირედსაც,
თუნდაც ხუმრობით,
თქვენც ჩემს ადგილას ვერაფერი დაგაეჭვებდათ.

მომიახლოვდა, ვით ცეცხლი და აღარ მომცილდა,
გადაეფარა მწველი გრძნობა თვალებს ბინდივით,
ვცეკვავდით რაღაც ვალსის მაგვარს,
ყელში მკოცნიდა,
გარეთ კი ბაღში პიკს აღწევდა წვიმის ინტიმი.

დავლიეთ ვისკი (მსგავს პაემნებს მუდამ თან ახლავს)
და ვაღიარებ, უპირობოდ მე მას მივენდე,
იგი ყვებოდა სიყვარულზე ისე ხმამაღლა,
რომ ერთ ოთახში მთელი ზეცა შემოვიკედლეთ.

და მომიხელთა, ხეთა ლანდებს ღამე არწევდა,
იყო წუთები უმწეობის, თავს ვერ ვშველოდი,
მკაცრად მჯერა, რომ
ვერ შევძლებდი მისგან გაქცევას,
რომც შემძლებოდა, მაინც არსად გავიქცეოდი.

კანზე დახორკლილ, ვერმოსათმენ ტკივილს ვითმენდი,
ის იღიმოდა, მიყურებდა მშვიდად თვალებში,
მირტყამდა დანას, ტანზე გაზრდილ ტიტებს ითვლიდა,
მარცხენა მხართან, უფრო ხშირად გულის არეში.

მოვკვდი და დაბლა ღვარი იდგა დიდხანს ტიტების,
ალბათ, ამგვარი სხვა ამბავი თქვენ არ გსმენიათ,
მას აქეთ არის, რომ მაცვია კაბა წითელი,
მას აქეთ არის, რომ სიკვდილის არ მეშინია.

და ის საღამო, დრო რომ ქარგავს თავისი ქარგით,
არ გამახსენდეს ჟრუანტელით, ღამე არ გავა,
დავხვდი ჟასმინის სურნელით და წითელი კაბით,
საღამოს პირზე ის მოვიდა ჩემს მოსაკლავად.

* * *

გახსოვს კაპრი? პეიზაჟი ზღაპრის,
ლურჯი ზღვის და თოლიების ჰიმნი,
ჰორიზონტზე აღმართული აფრა,
სურნელება მიხაკის და ლიმნის.

დრო ზაფხულებს ნაყოფივით ისხამს,
ჩავლილ დღეთა აჩრდილები ვხდებით,
გახსოვს? როგორ გვაღვიძებდა სისხამს
პიაცეტას და ჩიტების ხმები.

ზოგჯერ ზეცა გვშორდება და არ ჩანს,
ფერი როგორ უხუნდება მნათობს,
თითქოს კაპრი იმ ზაფხულში დარჩა,
თითქოს კაპრის არასოდეს ათოვს.

ჩვენ ზღვაც ალბათ უფრო ვრცელი გვწამდა,
ჩვენ მზეც ალბათ უფრო ცხელი გვსურდა,
მეოცნებე გოგოების ზაფხულს
ალბათ კაპრი გაიხსენებს მუდამ.

გახსოვს კაპრი? პეიზაჟი ზღაპრის,
ლურჯი ზღვის და თოლიების ჰიმნი,
ჰორიზონტზე აღმართული აფრა,
სურნელება მიხაკის და ლიმნის.

* * *

გულს სიცივედ და დარჩა ეჭვად
დღეები შორით გადამფრენი,
როგორ ვარ, იცი? სულს არ შერჩა
სხივი იმ ძველი აღმაფრენის.

უკვე სხვა მხრიდან ამოსვლას და
ჩასვლას სხვა მხარეს აპირებს მზე,
მდინარე სხვა მხრით მიმავალი,
ვეღარ გადმოვალ ნაპირებზე.

შენ ვერ იგრძენი, შენ არ იცი,
დრო გულზე სევდად მოწოლილი.
როგორ ვარ, იცი? — ვეღარ ვიწვი
ნაცარწაყრილი კოცონივით.

ფინიშთან

ბევრი ქრება უკვალოდ,
ზოგიც ახლა ინყება
და წარსულის უვალოდ
ხდება გადავიწყება.
დღე არ იყო უქალოდ,
ღამე – ძილის ხარვეზით,
ახლა ვის დავუთვალო
მზერა ღიმით, ამრეზით.
ჰო-ჰო, წუთისოფელი,
ნახე, რა თვალთმაქცია:
კაცი, სად არმყოფელი,
კუნძად გადამაქცია...
მაინც ჯერ არ მოველი
უკანასკნელ აქციას!

ცხოვრება

ალპინისტად ვერ ვივარგე,
მოძღვრადაც ვერ გამოვდექი,
რბილად ჯდომა ვერ ვიგუე —
გადავდექი — გადმოვდექი.
მოსაუბრე თუთიყუში
გამიფრინდა გალიიდან,
კატა მიყეფს, ძაღლი კნავის,
ყოფნის ვადა გამივიდა.
ყველამ ზურგი დამანახა,
ვისზეც ვიყავ დანდობილი,
არც ნაცნობი, არც ძმაკაცი,
არც დაი და არც დობილი
აღარავინ მეფერება,
ის კი არა, მიბღვერს ბიძა!..
კიდევ კარგი იქუხა და
გულგახეთქილს გამეღვიძა!

ნაშუადღევს

— ბალღებო, ძაღლს არ ჩაიყვანთ? —
ბერმა იკითხა, პაპამა, —
ნეტა რა გახდა მაგ საწყლის
ეზოში ორჯერ ჩაყვანა!
— შენ თავად რად არ ჩაიყვან? —
ჰკითხა ყველაზე პატარამ, —
ავად ვარ, ბაბუ, სურდო მაქვს,
ეყო, რაც ბაბუმ ატარა!
— არა, ცოდოა ეგ ძაღლი, —
უცებ აღელდნენ ქალები, —
შეხედეთ, როგორ გვიყურებს
მაგ სამურაბე თვალებით!
ბებია ქოჩორს უვარცხნის
მჭკნარი, ძვალტყავა ხელებით:
— ნუ სწუხარ, ბებო ჩაგიყვანს,
აგრემცკი შემოგევლები!

ღამის გზავნილი

თუ ისევ მიღალატე,
გაეკიდე თუკი კვლავ,
დაგინგრევ მაგ პალატებს,
მაგ მახინჯსაც მოგიკლავ!
თქვი, რა ხელმა დაწერა
სავსე შხამსამსალათი —
გულში ისრად მეძგერა
შენი შავი ბარათი.
შე მეძავო, ბოზქალავ,
გიჯობს არ დამენახო!
შენმა ძებნამ დამღალა...
ვაი, ჩემო ვენახო!
ღამე ვით გავათიო
სულის ჟანგით, ხუნდებით...
ეს იცოდე, გპატიობ,
თუკი დამიბრუნდები!

ზაფხულის ღამის სიზმარი

ო, როგორ დარდობს ახლა უფალი:
ნუთუ ქვეყანა შევთხზე ამაოდ?
თანაც არსება თავისუფალი
მონად რომ იქცა! არა, მამაო?
— აბა, რა გითხრა, შენგან ნაძლევი,
მონას მონობის ძლევის აქვს შანსი.
საფრთხეა დიდი ტვინარეულის
ცეცხლით და სისხლით ბორგვის სეანსი.
საიდან მოტყვრა, რომელ ჭირიდან —
ნუთუ ვერ აჰგვი მიწისპირიდან?
— კი, ვაღიარებ, ვერ მოვერიე,
თუმც დავადგინე, სითგან მოთხრილა:
ეგ არ შობილა დედის საშოდან,
ეგ ბოროტების უფსკრულმა შობა,
გულის ალაგას ჯოჯო ფუთფუთებს,
არ უწყის, რაა სიყრმე, ბავშვობა,
დღითა და ღამით სისხლი სწყურია,
ხოცვა და ჟლეტა მისი პურია!
ღამის ჩამიქრეს უკვე სახმილი,
აჰა, მიიღეთ ჩემი გზავნილი:
უნდა გადავდგე, აზრი ხისტია —
უფალი თავად ათეისტია!
— რა ხუმრობაა, ღმერთო მაღალო,
ეს თავი ლამის კედელს ვახალო!..
ამოვისუნთქე — გათენებულა,
უფსკრულს ჩავჭყლიტოთ ეგ ჯოჯოგული,
გავიხალისებთ, როცა შევიტყობთ:
ცით სამართალი აღსრულებულა!

ოდა

ყლორტი მისგან დარგული
აღორძინდა ვენახად,
ხმალი მისი, ფრანგული,
ნეტავ ახლა გვანახა.
ოდა დავითს, დიდებულს,
რომ ასე და ამგვარად
დუშმანს, ფეხმოკიდებულს,
საქართველო წაჰგვარა!



სადღაც შერეულ ოცნებათა მშვიდ სამყოფელში

სადღაც შერეულ ოცნებათა მშვიდ სამყოფელში
ცას მოუთმენელი ცრემლივით წასკდება წვიმა...
და თმაშევერცხლილ ჭადართა ჩრდილქვეშ
მცხოვრებ სოფელში
მოიგონებენ გადატანილს დიდი ხნის წინათ.

სადღაც შერეულ ოცნებათა ნისლში თვლემს მთვარე,
სადღაც ყირმიზად მოელვარე ცხენებს ხედნიან,
მე ფარდის კალთებს ისევ ჩუმად ამოვეფარე,
რადგან ფანჯრებთან მიახლებაც არ შემძლებია...

არ შეხვდებიან ვიდრე ერთმანეთს ჩვენი თვალები...
ამაღამ ზევსის ქალწულები ქარს ეწვევიან
და მკვდარ სცენიდან გაცეკვებულთ კულისებამდე
მკვდარ სიცოცხლეზე გამღერებით დაეხსნებიან.

სადღაც შორეულ ოცნებათა ნისლში თვლემს მთვარე,
სადღაც ყირმიზად მოელვარე ცხენებს ხედნიან,
მე ფარდის კალთებს ისევ ჩუმად ამოვეფარე
და დავიჯერე, რომ ვეღარასდროს ვერ შეხვდებიან...

შენი თვალები, შენი მხრები, შენი ტუჩები,
ჩემს პირამიდებს, ჩემს აკლდამებს, ჩემს სამელნეებს,
და რომ ერთ დღესაც ეს სიტყვებიც და ეს გრძნობებიც
გახუნდებიან, მოკვდებიან, გადარჩებიან...

სადღაც... შერეულ ოცნებათა მშვიდ სამყოფელში
ცას მოუთმენელი ცრემლივით წასკდება წვიმა...
და თმაშევერცხლილ ჭადართა ჩრდილქვეშ
მცხოვრებ სოფელში
მოიგონებენ გადატანილს დიდი ხნის წინათ.

* * *

„ახლა განსხვავება ჩვენს და საგნებს შორის
მხოლოდ ზომები და მხოლოდ ფორმებია...“ —
ჩაილაპარაკა მონამ სხვათაშორის,
მხრებზე მოთმინება რომ შემოეხვია.
არაპრაგმატულად ჟღერდა ეს სიტყვები,
თუმცა იქ მყოფთათვის...
მაინც ყველას სურდა,
მისთვის თანაეგრძნო
და გამოგიტყდებით,
იმ წამს თითქოს გულში სისხლიც ამიდუღდა.
იყო არემარე სავსე ცარიელით,
როცა დილის ჩქამში „გაცანაცრისფერდა...“
ასე დაათენდა ღამე „მზის საფარში“
ველურ კაპიტალიზმს კავკასიის ფერდად.
„ახლა განსხვავება ჩვენს და ნივთებს შორის
მხოლოდ ფასები და მხოლოდ ხარისხია!“ —
თითქმის ხმამაღლა თქვა მონამ სხვათაშორის,
ყელზე მოთმინება რომ შემოიხვია.
თუმცა უვერტიურას „მეტრო“-ს ოპერაში
ვიღაც-ვიღაცეებს რომ ვერ შეემჩნიათ,
მონის საუცხოოდ მდიდარ ბუნებაში
უკვე რა ხანია, ჩუმად შეეღწია...
ისე გაფერმკრთალდა დრო და სინამდვილე,
რომ მის შემხედვარეს აღარც მოგშივდება,
ვიღაც შეშლილივით ყვირის: დამეხმარეთ!
ვიღაც იძინებს და ძილშიც ვერ მშვიდდება.
ირგვლივ ყველაფერი მოჩვენებითია,
ყველა საბოლოოდ შორს და მარტო გტოვებს.
„სიმღერით მოდიან და სიმღერით მიდიან“ —
ამბობს „იდიოტი“ და მეც ვიმეორებ.
დიდი მღელვარება ახლდა პროცესიას,
ცხედრის სიახლოვეს ყეფდა ქუჩის ძაღლი,
„რაც მალე დავმარხავთ, მით უკეთესია“ —
წამოსცდა კანონის წინაშე გადაღლილს.
„ახლა განსხვავება ჩვენს და იმათ შორის,
მხოლოდ საზღვრები და მხოლოდ მიზნებია!..“ —
თქვა, და იღრიალა... მონამ ისეთი ხმით,
თავისუფლებას რომ ჯერ არ ღირსებია!

* * *

მე შევამჩნიე, როგორ კენკავდნენ თეთრი მტრედები
პურის ნამცეცებს შენს აივანზე.
სუროშემოსილ მოაჯირებზე
მაშინ მზის სხივებს
სექტემბრის ჩქამი აშუქჩრდილებდა.
შენ უსაშველო ტკივილს მალავდი,
რაც უსაცრემლოდ აგატირებდა,
სულ ცოტახანში რომ არ ეწვიმა.
გულხელდაკრეფით გულმხურვალების
გაბედულ ქიშებს ვაშამათებდი,
მქონდა იმედი და ემპათია,
რომ შენს თვალებში ცას ავანთებდი,
რომ შენი კანის ტკბილსურნელება
თრობის სიმძაფრეს გამინელებდა,
რომ თმენით გაწვრთნილ მშვენიერებას
ვერ წამართმევდა საშინელება.
თუმცა ამაოდ...
რადგანაც ღმერთმა დიდი ხნის წინათ დატოვა სახლი.
სადაც მე და მას უნდა გვევახშმა...
რომ განმეახლა სული სიწრფელით
ჩემი გვამისგან,
რომ გამერჩია წმინდა სინათლით ბნელი ღამისგან,
მე გავექეცი ჩემს ძილს სიზმარში სასთუმალიდან
და შევრჩი დუმილს ნოტებთა შორის სამარადისოდ...
მე შევამჩნიე, როგორ კენკავდნენ თეთრი მტრედები
პურის ნამცეცებს შენს აივანზე.
სუროშემოსილ მოაჯირებზე
მაშინ მზის სხივებს
სექტემბრის ჩქამი აშუქჩრდილებდა.

სირინოზები

ვუძღვნი ჩემს საყვარელ ძმისშვილ ნინოს და ჩვენს საერთო მეგობარ დუნკან ანდერსონს.

გემბანზე ნასადილევს გამოფენილი მგზავრები ტენტიან კაფეებში ემალებოდნენ მზის მხურვალებას. უზარმაზარი იტალიური საკრუიზო ლაინერი „კალიპსო“ ზანტად მიაპობდა წყალს. წინ იყო ბურუსიანი შორეთი, რომელშიც სინათლე არ ატანდა. მოაჯირს დავეყრდენი და ამ წამს ირიბი მზერით შევნიშნე, გვერდით ვიღაც დამიდგა:

— გესმით გალობა? სირინოზები მღერიან.

მერე თითი გაიწოდა:

— იქ ვიყავი.

ტანდაბალ კაცს მოკლე შარვალი ეცვა, უმკლავებო წარწერიანი მაისური, ჭილის ქუდი ეხურა და სახეზე მზისაგან დამცავი სათვალე აეფარებინა. უჩანდა მხოლოდ დაჭორფლილი ცხვირი და ყვრიმალები. რძისფერი კანითა და წითური თმით შოტლანდიელს მივამსგავსე.

— გიჟი გგონივართ? — გამიღიმა, — მერწმუნეთ, სიზმარს როდი გიყვებით. იქ მართლაც არის სირინოზების კუნძული.

— რომელიც თქვენს გარდა არავის უნახავს.

ისევ გაიცინა.

— ნახვით კი უნახავთ, მაგრამ არავინ ეჭვობს, იქ თუ სირინოზები ბინადრობენ.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ ის ჭკუაზე აფრაკად იყო ანდა მეტისმეტად ეთაყვანებოდა ჰერბერტ უელსს.

— უცხოელი ხართ? — მკითხა მან.

— ჯორჯიენ... შტატი არ გეგონოთ, ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში.

— ზღვა...

— ჰო, ზღვაც გვაქვს, შავი ზღვა... ადრე ევქსინის პონტოს ერქვა ბერძნულად.

— აი, ხომ ჰხედავთ, — გაუხარდა მას, — მაგ ზღვაშიც იქნება სირინოზების კუნძული, რაკი ბერძნული სახელი ჰქვია.

ალბათ შეშლილი იყო სირინოზებზე, თუმცა მეტი აღარ გვისაუბრია — ვიღაც შუახნის ქალმა დაუძახა და ისიც თავაზიანად გამშორდა.

ორიოდე საათში გემი შერბურის ნავსადგურში გაჩერდა და ჩვენ საღამომდე მოგვცეს ქალაქის დათვალიერების ნება. პორტშივე ვნახეთ დაფა წარწერით, რომელიც გვამცნობდა, რომ 1912 წლის 12 აპრილს საუთჰემპტონიდან მომავალი „ტიტანიკი“ აქ შეყოვნდა, რათა კონტინენტური მგზავრები აეყვანა. შენობაშივე იყო ამ მოვლენისადმი მიძღვნილი ექსპოზიცია ლაზერშოუს ელემენტებით, მაგრამ აღარ შევსულვართ და მთავარ ქუჩაზე გავედით, სადაც ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონი შემოგვეგება. მხრებში წახრილი იმპერატორი თითქოს უხერხულად იჯდა ჰუნეზე და ფიქრით ალბათ მარენგოს ველს გაჰყურებდა.

ტურისტები მთავარ ქუჩაზე სახურავებიდან გადმოკიდული ქოლგების ქვეშ სეირნობდნენ. ქოლგები ძველი ფილმის „შერბურის ქოლგების“ გასახსენებლად გადმოეფინათ.

რაკი დრო ცოტა გვქონდა, ძირითადად მთავარი მოედანი მოვიარეთ და წმინდა სამების ბაზილიკასთან ისევ დავინახე უცნობი იმავე ქალბატონთან ერთად, ვინც მანამდე დაუძახა გემზე (ალბათ ცოლი იყო), ტაძრის შესასვლელთან სელფებს იღებდნენ. აღარ გამოვუჩნდი, ჯგუფს მივეკედლე და გვერდით ჩავუარე.

რვა საათისათვის გემზე დავბრუნდით და მგზავრებიც კაფეებს, რესტორნებსა და გასართობებს მოედნენ. გემი უზარმაზარი იყო, ცხრამეტსართულიანი, თითოეულ სართულზე საცურაო აუზითა და გოლფის მოედნით. სტიუარდი სავახშმოდ პატარა სასადილოში შეგვიძღვა. ის იყო დავსხედით, გვერდით მაგიდასთან უცნობის თანმხლები ქალბატონი შევნიშნე. მარტო იყო. წამოვდექი და მივუახლოვდი.

— მაპატიეთ, მადამ, კადნიერება, ნებას მომცემთ, რაღაც გკითხოთ?

თავი დამიკანტურა და სკამი მიმითითა. ხნიერი არ იყო, მაგრამ ჩიტისებური სახე როგორღაც მოჰბერებოდა. გრძელ კისერზე კი ნაოჭები ასხმოდა. მაგიდაზე ჩამოდებული ცალი ხელით ჩანგალი ეჭირა, მეორით — დანა და მოლოდინით მიცქერდა. თვალში მეცა მისი წაწვეტებული, მელნისფრად შეღებილი ფრჩხილები.

რაღაც უნდა მომეფიქრებინა და საიდუმლო დამეტყუებინა, სანამ კაცი შემოგვისწრებდა. ამიტომ კინორეჟისორის ასისტენტად გავეცანი, ვითომ მსახიობებს ვარჩევდი ფილმისათვის — თქვენმა მეწყვილემ დამაინტერესა და გვინდა როლი შევთავაზოთ-მეთქი; ალალბედზე დავუსახელე წამოგონებული კინოკომპანია, ფილმს ლონდონში ვიღებთ და ჩემი თანაშემწე დაგიკავშირდებათ-მეთქი. ქალი ანკესს წამოეგო, საუბარში ამყვა. ვთხოვე, თავიანთი ურთიერთობის ამბავი მოეთხრო, ვინძლო ფილმისათვის გამოგვდგომოდა.

„თქვენს მეწყვილეს სახასიათო პროფილი აქვს და იქნებ სცენარიც შევასწოროთ, ამიტომ გთხოვთ, უჩვეულო წვრილმანებიც კი გაიხსენოთ“.

ქალმა მკითხა, კონკრეტულად რა მაინტერესებდა.

„საუბრისას გამოჩნდება, მადამ, ჯერ კი მიამბეთ, ერთმანეთი სად და როდის გაიცანით“.

ქალმაც წამღერებით მომითხრო მათი ცოლ-ქმრობის ამბავი, რაც მოხიბვლას თუ მოჯადოებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ სიყვარულს. კაცს ამერიკულ ჯარში უმსახურია კონტრაქტით და ვადის გათავების შემდეგ ინგლისში ბრუნდებოდა. ლატაკიიდან მომავალი გემი კიკლადებზე შეჩერებულა. ჯარისკაცებიც აქაურ ბარში შესულან ვისკის დასალევად. უკვე შემთვრალებს კი, პატარა ქალაქში უხეტიალიათ. კაცსაც მაშინ დაუნახავს აივანზე გადმომდგარი ქალი.

„ოპერის მომღერლობას ვოცნებობდი“, — განმიმარტა ჩემმა მოსაუბრემ, — „ამიტომაც აივანზე ხშირად ვმღეროდი არიებს... ჯონათანმაც მაშინ შემამჩნია და არ მომეშვა, სანამ არ გამეცნო. მას შემდეგ ერთად ვართ“.

„თქვენი კარიერა?“

„სამწუხაროდ, ოცნება ვერ შევისრულე, ეტყობა, ნიჭი არ მეყო. ჯერ ბარებში ჯაზს ვმღეროდი, მერე საკრუიზო კომპანიამ ამ ლაინერზე მომღერლად დამიქირავა. საღამოსაც გვაქვს კონცერტი. მობრძანდით, დაესწარით“.

„ის... ჯონათანი?“

„მუდამ თან დამყვება. იმდენ ფულს კი ვშოულობ, კომფორტულად ვიცხოვროთ. ოდესმე ალბათ დორსეტში სახლს ვიყიდით. ჯონათანს არ მოსწონს, ოპერა რომ ჯაზზე გავცვალე, მაგრამ ცხოვრება ხომ გვინდა! ჯონათანს სამსახური არ შეუძლია, ბომბის აფეთქების გამო კონტუზია მოუვიდა და თითქმის დაყრუვდა“.

მე კი არ შემიმჩნევია-მეთქი, ვუთხარი... ჩემთან საუბრისას მშვენივრად ესმოდა ყველაფერი.

„ჰო, შეიძლება“, — მორცხვად დამეთანხმა ის, — „შეიძლება სიყრუის ბრალიც არ იყოს, მაგრამ რაღაცნაირად ატაცებული და უგულისყურო გახდა. მეტყვის ხოლმე, შენ რომ მღეროდი, ის არია მახსენდება და სხვა აღარაფერი მესმისო. იქნებ ეს რაიმე ფსიქოლოგიური პრობლემაა... გითხრათ, რომ სირინოზების კუნძულზეა ნამყოფი?“

„დიახ“, — თავი დავუქნიე.

„ვეხვეწე, ემკურნალა, მაგრამ უარობს. სხვა მხრივ ჯანმრთელია. აი, ისიც“, — ქალმა კარისაკენ მიმახედა და კაცს ხელი დაუქნია, — „აქეთ, ჯონათან“.

გაღიმებული წამოვიდა, ქუდი მოიხადა და ცოლს გვერდით ჩამოუჯდა, სახეგაბრწყინებული შემომაჩერდა.

„იცი, ჯონათან, ეს ბატონი რეჟისორის ასისტენტია და ფილმში შენი გადაღება უნდა“.

კვლავ გაღიმებული მიცქერდა. ვერ მივხვდი, მიცნო თუ არა ან ახსოვდა თუ არა ნაშუადღევს გემზე რომ დამელაპარაკა. რაღაცნაირად გაშტერებული მიყურებდა, თითქოს ვერც კი მხედავდა და წარმოსახულ სურათს ელაციცებოდა. მასაც იგივე გავუმეორე, რაც მანამდე მის ცოლს ვუთხარი. თუმცა ჯონათანს ინტერესი არ დასტყობია. ცოტა ხანი კიდევ ვისაუბრეთ და მერე ქალი საკონცერტოდ ტანისამოსის გამოსაცვლელად წავიდა. მალე მეც რაღაც მოვიმიზეზე და ჯონათანს დავემშვიდობე, თან შევპირდი, კონცერტს აუცილებლად დავესწრები-მეთქი.

არ დავსწრებივარ...

კაიუტაში ჩაკეტილი დიდხანს ვფიქრობდი ამ უცნაურ წყვილზე. ათასნაირი ფანტასტიკური ვარაუდი მიჩნდებოდა გონებაში: გაეგება კი ადამიანს თავისი ქცევის მიზეზი?! რა დამართოდა ამ კაცს, ვინც ასე მოეჯადოებინა სიმღერას?! ნუთუ მართლა ფსიქიკურად არის შერყეული და რაღაც კვიატი სჭირს?! მაგრამ როგორ ჩნდება სიგიჟე? რატომ აიკვიატა ჯონათანმა მაინცდამაინც სირინოზების კუნძული და რატომ შეიყვარა მომღერალი ქალი?! სავარაუდო პასუხს თითქოს ვხვდებოდი, მაგრამ პასუხი იმდენად დაუჯერებელი იყო, ლამის შემეშინდა... სინათლე ჩავაქრე, საწოლზე გავიშოტე და მობილურ ტელეფონში ის არია მოვძებნე, რომელსაც ალბათ ქალი მღეროდა აივანზე... კაიუტის კედლებს შორის წყალივით დაიღვარა მაქს ბრუხის ორატორია „ოდისევსი“ ქოროსა და ორკესტრისათვის...

თავბრუსხვევა

კილოზე შეატყვეს, აქაური არ იყო. რიგის მომლოდინე კაცმა ხელი გაავლო და საყასბო ფარდულის გვერდით ნაჯახით დაკეჭნილ, პირუტყვის სისხლშემხმარ დიდ კუნძზე ჩამოსვა.

— ალვანელი ხარ?

— ზემო ალვანიდან.

— თუში იქნები!

— თავბრუ დამეხვა, კაცო, შევბარბაცდი.

— წყალი დალიე.

ყასაბმა მაცივრიდან პლასტმასის ბოთლი გადმოიღო და დახლს იქიდან გადმოაწოდა.

— ჭიქა გექნებათ ვინმეს, ჭიქა... — დაფაცურდა ისევ ის მუშტარი, ვინც კაცი ჩამოსვა კუნძზე.

— თუში იქნება, — თქვა ხილის გამყიდველმა.

— ჰოდე, თუში ვარ, ზემო ალვანიდან.

— ჰაი გიდი, ძმობილო, როგორ უთქომთ: „ფეხს დავკრამ, გადავფრინდები ბახტრიონს გალავანზედაო“... — ჩაულექსა ყასაბმა და ხორცის ნაჭერი სასწორზე შეაგდო.

— მუხლი მამეკვეთა, კაცო, წავბარბაცდი.

— მშიერი იქნები.

— მართალ კაცს შიმშილი ვერას უზამს, — ყასაბმა ხორცის ნაჭერი ცელოფნის პარკში ჩადო, — მეც თავბრუ მესხმის ხოლმე, თუ მომშივა.

— კაი ხორცია? — ჰკითხა იმ კაცმა, თუშს რომ შველოდა.

— ჯერ ჩემგან ნამდურავი არავინ წასულა, მუშტარი რო მოვიმდურო, ვინღა იყიდის ჩემგან!

— ორი კილო ამიწონე.

— რომელი?

— სამწვადე.

— აეხლა წავალ, დილას აქეთ ლუკმა არ ჩამსვლია.

— იჯექი, გამოკეთდი.

თუში იჯდა და ბაზრის ხალხს უცქერდა.

— ეხლა ისევ სდგას ბახტრიონის ციხე?

— რა ვიცი, კაცო, მე მარტო ლექსი ვიცი.

— რომელი?

— ფეხს დავკრამ... ჰა, ძმობილო, გამაჰკეთდი?

თუშმა ვერ გაიგო. კუნძზე იჯდა და მიმსვლელ-მომსვლელს უცქერდა. შეიძლება არც უცქერდა. მარტო თვალს აყოლებდა. ტანმორჩილი კაცი იყო, ნაჯაფი, ნაშრომგაწვრილებული, სახედანაოჭებული. ძველი სამოსი ეცვა და მოღრეცილი ფეხსაცმელები. სახე მიწისფრად ჩაშავებოდა.

— მაშ გადავფრინდებიო, ჰა?! რამდენია?

— ორი კილო, როგორც მითხარი.

— იცოცხლე.

— კარგად იყავი, შაგერგოს.

თუში წამოდგა და ნელა დაუყვა ბაზრის რიგს.

— აეგ კი ვერ გადაფრინდება, — იხუმრა იმ კაცმა, წელან რომ შველოდა.

— რასა, კაცო? — ვერ მიუხვდა ყასაბი.

— ლექსი რო თქვი, ფეხს დავკრამო...

— მშიერი ყოფილა.

— ვერც მაძღარი.

— ეჰ, ვინ რა ვიცით, რა ვართ...

თუში აღარ სჩანდა ხალხში.

— არ გეწყინოს, მე ისე.. სიტყვის მასალათ...

— რა უნდა მეწყინოს, ბეჩავი კაცი ყოფილა, დაღალული...

— კარგად მენახე.

ყასაბმა დახლს შემოუარა. ხელში ღორის ბარკალი ეჭირა. კუნძზე დადო და ნაჯახით დაჩეხა.

— წავიდა თუში? — გამოსძახა ხილის გამყიდველმა.

— წავიდა.

— რა იყიდა?

— სახაშლამე, ორმოცისთვინ... ბიჭი ჰყოლია მკვდარი.

— რისგან, კაცო? — შეწუხდა ხილის გამყიდველი.

— ავარიით.

— უიჰ!

— მთვრალი გადავარდნილა ხევში.

— ძნელია შვილის სიკვდილი, ძნელი.

ყასაბმა ბარკლის ნაჭერი კაუჭზე ჩამოჰკიდა, ხელები ჩვრით გაიმშრალა და დახლს გადმოეყუდა.

— ივაჭრე რამე?

— არაფერი, დილას აქეთ ტყუილად ვაგდივარ.

— რას იზამ, ხან ასე იქნება, ხან ისე.

— ლამის თავი მოვიკლა, კაცო, ერთიც იქნება, მივაკეტამ აქაობას და...

— შენ იცი შენი საქმისა, მარა ნუ იჩქარებ, მართალია, არეული დროა, მაგრამ იქნებ გამოსწორდეს.

— ღმერთმა ქნას. ლუდს დალევ?

— ხო იცი, არ ვსვამ, ღვიძლი მაწუხებს.

ხილის გამყიდველი შიგნით შეიმალა. ყასაბმა რიგს მზერა ჩააყოლა, ღორის ბარკალზე მისეული ბუზები ჟვერით გააფრთხო და ისიც შიგნით შებრუნდა.

კიბე

პაპაჩემი მეტყოდა ხოლმე ხშირად: „რამდენჯერაც მოვინდომე სხვენზე კიბით ასვლა, იმდენჯერ კინაღამ ჩამოვვარდი. მერე მივხვდი, კიბე სხვისი იყო, ვიღაცას ენათხოვრა მეზობლისაგან და იმასაც დავიწყნოდა, აღარ მოეკითხა. ვინძლო ჩვენ ოჯახში ყველამ იცოდა ეს ამბავი, ჩემი ჩათვლით, თუმცა უთქმელი შეთანხმებით, კიბეს მაინც ჩვენად მივიჩნევდით და არც კი გვიეჭვია, რომ იმით სხვენზე ვერ ავიდოდით“.

ვერც მე ავედი. ჩემს დროს კიბე უკვე აღარსად იყო. სხვენი კი დაეგმანათ და იქ ახლა ღამურები დაშმაშურობდნენ. ისე, კაცმა რომ თქვას, მსურდა კი ასვლა?! ეზოშიც აკი მშვენივრად ვგრძნობდი თავს, მწვანე მდელოზე, აყვავებულ ხეთა ჩრდ-

ილქვეშ, როცა ნიავი თბილი დღის სურნელს ფანტავს და ირგვლივ არსებობის სიხარულს ავრცელებს. სანახევროდ ბნელ, ჭუჭყიან სხვენზე ასვლა ასეთ დროს... არა, არ მსურდა... თანაც სახლი ხომ საძირკვლიდან იწყება. რა დამრჩენია სხვენზე? რატომ სურდა იქ ასვლა პაპაჩემს და რა უნდა ეძებნა? მეჩვენება, რომ პასუხის ექო ხანდახან ქარით შეზანზარებულ სახურავის ჟღრიალში გუგუნებს, როცა სტიქია თითქოს მოგლეჯას უპირებს ჩვენს ძველისძველ სახლს, რათა ქარქვეტივით აიტაცოს, შორეთს გააქანოს და გადახვეწოს, დაკარგოს წკვარამ ღამეში...

კალამს გადევნებული

სასახლის მშენებლობა გასრულდა.

კედლებს ხარაჩოები შემოხსნეს და მცხრალი მზის შუქზე მარმარილოს სითეთრემ იფეთქა. იასპის სიმწვანე ფარდულებს გადაეღვარა, აქატი ამობრწყინდა სარკმლებში, იატაკზე მოზაიკის ციცინათელები აენთო. იმპერატორი ასაბიასთან ერთად დარბაზიდან დარბაზში დაიარებოდა და ხუროთმოძღვარს ნამუშაკევს უქებდა. მართლაც საოცარი ნაგებობა იყო: ჩქამიც არ აღწევდა გარედან, მზერა არ იღლებოდა უსახურ ნივთთა აღით, ფიქრი არ ყოვნდებოდა უამურ საგანზე.

ერთ ალაგას კი გამონგრეულ გალავანს წაადგნენ... სხვაგან დაუსრულებელი მოზაიკა ნახეს... განრისხდა იმპერატორი, კედელზე მის საქებრად დაწყებული და დაუმთავრებელი წარწერის მხედი...

ხუროთმოძღვარმა კრძალვით დახარა ჭაღარა თავი:

— ნუ მიწყენ, მეფეო! მშენებლებს განგებ დავატოვინე დაუსრულებელი, რათა მთლიანობა უკეთ გეგრძნო.

— თქვი!

— მხოლოდ იგია სრულყოფილი, რაც ნაკლულია; მხოლოდ იგია მარადიული, რაც წარმავალია; მხოლოდ იგია მშვიდი, რაც მღელვარებს. ამ დარბაზში შენ მოზაიკის სიმაშვნეს იგრძნობ, რადგან ნახატს გონებით დაასრულებ, სანახევროდ ნაშენები კედელი განმარტოებას გაპოვნინებს, რაღაი ბოლომდე ვერ დაგიცავს გარეშე სუსხისაგან, ხოლო დაუმთავრებელი იეროგლიფი მუდამ მოგაგონებს, რომ სიტყვა მარადის გრძელდება...

მან მეფეს ფუნჯი და სატუშე გაუწოდა:

— აი, მარადიულობის იარაღი, მეფევ! შეგიძლია, სიტყვა ახლავე დაასრულო, მაგრამ იცოდე, ქვეყნიერების ხიბლი გაჰქრება შენთვის. ამ დიდებულ დარბაზში გაუსაძლის მარტოობას იგრძნობ და შიში შეგაკრთობს მტკიცე გალავნის შიგნით, რადგან დასასრული მუდამ სიკვდილია: რაც ოდესმე სრულდება, ის კვდება.

— მაშ რიღასთვის აღმართე ეს სასახლე, თუკი ვერ დამიცავს?! — შეესიტყვა იმპერატორი, — რისთვის აგებდი მძლავრ კედლებს, თუკი მაინც წარმავლობას ვიგრძნობ მათ შორის მომწყვდეული? შენ გული მომიკალი. მე სიმშვიდე მსურდა, შენ კი ამაფორიაქე.

ხუროთმოძღვარმა კვლავ თავი დახარა:

— ნუთუ იგრძნობ სიმშვიდეს, თუ არ მღელვარებ?! ვინ არის უშიშარი, თვინიერ ხიფათეულისა?! ვინ აფასებს სიცოცხლეს, მისი უბადრუკობის შემმეცნებლის გარდა?! ჭეშმარიტად მარად იცოცხლებ, მეფევ, რადგანაც მათია მხოლოდ სავსება ქვეყნისა, ვინც ის დაჰკარგა! ნაპრალი კედელში, ზადი მოზაიკურ სურათში, გამოტოვებული იეროგლიფები წარწერაში — მუდამ მოგაგონებენ, რომ სასახლე შენ როდი გეკუთვნის, ვინაიდან ხარ და არც ხარ; მყოფობ და ამავე დროს არ მყოფობ; კვდები და არ კვდები, გარდაიცვლები და მაინც იგივე ხარ, არყოფნის მიჯნასთან მდგომი, კალამს გადევნებული, რომლის წვერითაც იწერება ტექსტი, ჯერ რომ ვერავის დაუსრულებია. ვერც შენ იქმ ამას, რაკიღა ქმედება უცილოდ მოიცავს უმოქმედობას, სიტყვა კი — უსიტყვობას, რის გამოსახვასაც ამაოდ ეცდები. ფუნჯი უვარგისია, რაღაი მხოლოდ დაუწერელი სიტყვაა ჭეშმარიტი და მხოლოდ წარმოუთქმელი ცნებაა მართალი, როგორც ეს სასახლე, რომლის სვეტსაც თითო აგური აკლია, გალავანს — ქონგური, იასპის იატაკიდან კი სიცარიელე იცქირება! ნამდვილი სასახლეც ის არის, მეფეო, სადაც კაცი თავად ქმნის ნაგებობას ყოველ წამსა თუ წუთს, მიწყივ, შეუჩერებლივ, რომლის კედლების გასრულება არც როდის არის შესაძლებელი! მე გიძღვენი სასახლე, რამაც ეს უნდა გაგახსენოს, მაგრამ ნება შენია, ბრძანე და გავასრულებ, თუმცა უწყოდე: ის მაინც დაინგრევა, თუნდაც კედლებმა კლდესავით უძლონ ჟამის მძვინვარებას! ეს სასახლე შენი აზრია, მეფეო, რომელიც არასოდეს წყდება, გარნა უვიცნი ჰგონებენ, ვითომ ის თავდება!

იმპერატორმა მშვიდად მოისმინა ხუროთმოძღვრის ნაუბარი, კედელთან მივიდა და ფუნჯი მოითხოვა. მიაწოდეს. ყველას აინტერესებდა, რა იეროგლიფები გამოჰყავდა ხელმწიფის ხელს კედელზე. წერა რომ დაასრულა, იმპერატორი უკუდგა, რათა მხლებლებს ნაწერი ენახათ. და აჰა, დიდებულებმა ნაცნობი იეროგლიფები იხილეს ადრე წარწერილის ბოლოს — ისევ ის საწყისი ასო-ნიშნები, რითაც წარწერა იწყებოდა.

— განაგრძეთ! — ფუნჯი გადაუგდო დიდებულებს იმპერატორმა და დარბაზიდან გასვლა იჩქარა.

კარიატიდი

დიდხანს ვიავადმყოფე. სიცხე მტანჯავდა. ხველა მკერდს მიფლეთდა. ექიმმა „ტამიფლუ“ გამომიწერა. უბნის აფთიაქში წამალი არ ჰქონდათ და მეზობელ კვარტალში წავედი.

მზიანი დღე იყო, უქარო. გაჩერებაზე ვიდექი და აქაურობის უცხოობა მაკვირვებდა. ბავშვობიდან ნაცნობი ადგილი კი იყო, მაგრამ მაინც მეგონა, სხვა ქალაქში ვარ-მეთქი; ქუჩის გადაღმა აფთიაქი ჩანდა ძველი შენობის გვერდით. ავტომობილების ნაკადში გზა გავიკვლიე (შუქნიშანი არ ენთო და მე ხელის ცეცებით მომიწია სვლა) და უნებურად იმ ძველ შენობასთან გავედი, რომლის ფრონტონსაც ორი კარიატიდი იკავებდა. უწვერული გოლიათები მიქელანჯელოს ტიტანებივით დაძაგრულიყვნენ და თავზემოთ შემართული მკლავებით ვითომ ცის თაღი ეჭირათ. დამსკდარ-დაბზარულ ტანზე ჭუჭყი და მწვირე სქლად დასდებოდათ. ასფალტს თვალდახრილნი დასჩერებოდნენ.

უცებ ხვნეშა გავიგონე. ჩემგან მარცხნივ გოლიათმა პოსტამენტს გადმოაბიჯა, ოღონდ ცალი ხელით ისევ „ცა“ ეკავა.

„დავიღალე“, — მითხრა შემპარავად, — „იქნებ შემცვალო“.

რა შემიძლია-მეთქი, ვუთხარი... ავად ვარ...

გაცხარდა და ყვედრება დამიწყო: ადამიანებმა თავის მოკატუნება იცით, გინდათ მუდამ სხვა გემსახურებოდეთ და სასჯელი აიცილოთო.

„რა სასჯელი?“

„არ იცი, რომ მცველებად ხართ დაყენებულები საიქიოს შესასვლელთან?“

„ვინ დაგვაყენა?“

„არავინ, ასეა დაწესებული“.

დავას აზრი არ ჰქონდა, მგონი ისიც ავად იყო.

„დიდი ხანია აქ დგახარ?“

„ვდგავარ? ცა მიჭირავს, ვერ ჰხედავ?“

ვხედავ-მეთქი, ვუთხარი, ოღონდ ეგ მხოლოდ დეკორაციაა, მეტი არაფერი, შენ კი ქვის სვეტიც შეგენაცვლებოდა, ხუროთმოძღვარს ფასადის გასამშვენებლად დაუდგიხარ აქ.

„მაშ არქიტექტორი არ მოგწონს?“ — ის დაეჭვებული დამაცქერდა და თითქოს წინაც გადმოიხარა, რათა პასუხი უკეთ გაეგონა.

მე და ის ვერასოდეს გავუგებდით ერთმანეთს, ამიტომ ვთხოვე, აფთიაქში შემომყოლოდა, მაგრამ ის კარში ვერ შემოეტია და სანამ „გედეონ რიხტერის“ მიერ გამოშვებულ წამალს ვყიდულობდი, კარიატიდის ჩრდილი ვიტრინას არ მოსცილებია.

კომეტა

თახვების პირველი დასახლება დედამიწაზე მას შემდეგ გაჩნდა, რაც პლანეტას უზარმაზარი მეტეორი შეეჯახა და ღერძიდან გადახარა. ერთბაშად იფეთქა ვულკანებმა და მიწისძვრამ ველები დაბზარა. მტვერმა და კვამლმა მზე დააბნელა. მცენარეულობა დაჭკნა. აცივდა. მიწისპირი ყინულმა დაფარა. თითქმის ყველა ცოცხალი არსება გაწყდა. გამყინვარებამ რამდენიმე ასეული წელი გასტანა. მერე ატმოსფერო დაიწმინდა და მზემ გამოანათა. ყინული დადნა. ხეობებში ნაკადულები აჩუხჩუხდა. მცენარეულობა კვლავ ამობიბინდა. წყალსატევებიდან ნაპირზე გონიერი არსებები ამოვიდნენ და ხერგილებით კაშხლების აშენება წამოიწყეს. ესენი თახვები იყვნენ — წყალ-ხმელეთა ცხოველები, რომლებიც დაღუპვას წყლის ქვეშ გადარჩენოდნენ და რაკი ზემოთ, მიწაზე, მტერი აღარ ჰყავდათ (ადამიანები ხომ ამოწყდნენ!), მათ კოლონიები გააშენეს და ქალაქურ თანაცხოვრებას ჩაუყარეს საფუძველი.

პირველი დასახლება ხისა იყო, ნაჩორკნი მორებით ნაგები და აყალო მიწით შეზელილი დამბების რიგით. მერე და მერე თახვებმა ქვის თლა და შენება ისწავლეს და ხუროთმოძღვრებაშიც ისე გაიწაფნენ, უკვე ორ და სამსართულიან სახლებს აგებდნენ და ქუჩებს კირწყლავდნენ. მოგვიანებით მათ ელექტროხაზები გაიყვანეს და ლიანდაგზე ტრამვაიმ გაიხრიგინა. ღამეული ფანჯრები შუქმა გაანათა და ზეცა აეროპლანმა გადასერა.

მაგრამ თახვების განვითარება შეყოვნდა. ისინი ცივილიზაციის საწყის საფეხურზე გაიყინნენ. ისე ჩანდა, თითქოს აღარ სურდათ, მეცნიერული კვლევა-ძიება გაეღრმავებინათ. ამ დროისათვის თახვები მეტად დაემსგავსნენ აწ უკვე ამომწყდარ და გადაშენებულ ადამიანებს: ორ ფეხზე დაიარებოდნენ, საჭმელს დანა-ჩანგლით ჭამდნენ და კბილებს ჯაგრისით იხეხავდნენ; ბეწვი გასცვენოდათ და ტიტველ სხეულს სხვა ცხოველის ტყავით იფარავდნენ და ითბობდნენ; წყალში საბანაოდ ჩადიოდნენ და არა საცხოვრებლად ან დასამალად, მით უმეტეს, რომ აღარავისი ეშინოდათ — სამხედრო მრეწველობა საკმარისად აწარმოებდა ქვემეხებსა და თოფ-იარაღს, რომლითაც თახვებმა პლანეტის დამორჩილება-დაპყრობა შეძლეს.

— არა! — განაცხადა თახვების პრეზიდენტმა, — არ უნდა ვემსგავსოთ ადამიანებს ცხოვრების წესით, სიხარბითა და გაუტანლობით, და დედამიწაც ამოიფშვინებს, დალხინებული ყოფა გვექნება.

და მან ბრძანა, სადაც კი ნამარხ ადამიანს წააწყდებოდნენ, კრემატორიუმში დაეწვათ, ნაპოვნი წიგნები კი წაუკითხავად გაენადგურებინათ, როგორც შხამიან მწერებს ან ქვემძრომებს ანადგურებდნენ. ქვეყანას დიდი მოძრაობის ტალღა მოედო. მიწის მუშებს, მაღაროელებს, მწყემსებს მიწასა თუ გამოქვაბულებში ნაპოვნი წიგნები მოჰქონდათ და ქალაქისა თუ დაბის მთავარ მოედანზე ახვავებდნენ და საზეიმოდ წვავდნენ. აუტო-დაფეს ცეცხლოვანი ანაშუქი ცისკიდურს სწვდებოდა. თახვების სახელმწიფო ხანძრით ცდილობდა წარსულის დავიწყებას.

— მოიცა, — თათით შეაჩერა მეგობარი ირეონმა, — თუ გაგვიგეს, სასტიკად დავისჯებით.

— რისკი ამად ღირს! — ზურგს უკან დამალა წიგნი ფასტარმა, — სამაგიეროდ, რარიტეტი შეგვრჩება, თანაც ერთადერთი ეგზემპლარი.

— ფასეული თუა მაინც...

მოპარული წიგნი ენციკლოპედია იყო, ძველი გამოცემა, მანამდელი, სანამ ადამიანები კომპიუტერს გამოიგონებდნენ და ინფორმაციას მყარ დისკებზე შეინახავდნენ. ამ დისკებს თახვები კი პოულობდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რა იყო. ენციკლოპედიით კი სწავლულ მეგობრებს შეეძლოთ, გული ეჯერებინათ სხვადასხვა დარგის შესახებ სტატიებით; იმით, თუ როგორ აღიქვამდნენ ადამიანები საგნებს თუ მოვლენებს და რა მიაჩნდათ ჭეშმარიტებად. ეგ არის, რომ ღრმა კვლევა-ძიების შემდეგაც კი, როცა ენციკლოპედია ძირისძირობამდე განჩხრიკეს, მეგობრები ვერსად წააწყდნენ ერთ საერთო აზრსაც კი.

— საკვირველია, როგორ თანაარსებობდნენ, თუ თითოეულს საკუთარი აზრი მიაჩნდა ჭეშმარიტად?! — გაოცდა ფასტარი, — გამოდის, რამდენი კაციც იყო, იმდენი სიმართლე არსებობდა.

— ჩანს, რაღაცაზე მაინც თანხმდებოდნენ, — გამოეპასუხა ირეონი, — ვთქვათ, სახელმწიფო მოწყობასა თუ მართლმსაჯულებაზე, სხვა დანარჩენის შესახებ კი ყველას თავისი აზრი ჰქონდა.

— საოცარია, — წაიბუტბუტა ფასტარმა, — ვერ დამიჯერებია.

— რა არის საოცარი? ამ ხეს შეხედე, — ირეონმა თათი ვერხვს მიაშვირა, — წარმოიდგინე, რომ ზრო და ტოტები სახელმწიფოა, ფოთლები კი, მაცხოვრებლები. ზრო და ტოტები შეგვიძლია საერთო იდეად მივიჩნიოთ, ფოთლები — თითოეულის აზრად.

— მაგრამ ფოთლები რტოებზე იზრდება, ისევე როგორც ტოტი ებმის ზროს, — შეედავა ფასტარი, — განსხვავების მიუხედავად, — თითოეული ფოთოლი ხომ განსაკუთრებულია — კერძო აზრებიც საერთო შეთანხმებიდან გამომდინარეობს. განა აბსურდული არ გეჩვენება, განსხვავებული აზრი დაარქვა იმას, რაც საერთო წარმოდგენის ნაწილია?!

— სულაც არა! — მიუგო ირეონმა, — ყოველგვარი განსხვავება საერთო ჯამში ძირითად იდეას ქმნის.

— მაშინ ცალკე აზრი რაღა საჭიროა? — არ ისვენებდა ფასტარი და ცხვირზე ჩამოჩოჩებული სათვალის შემაგრებას ცდილობდა. სწავლული მეგობრები ბიბლიოთეკის სიმყუდროვეში უსხდნენ ბუხარს და დროდადრო ჩაის წრუპავდნენ, — შეუძლებელია, ჭეშმარიტება განსხვავებულად გადმოიცემოდეს.

— გეთანხმები, — თავი დაუკანტურა ირეონმა, — ეტყობა, მათ არც კი მიაჩნდათ საერთო აზრი ჭეშმარიტებად და ამიტომაც დაუშვეს განსხვავებული აზრების თანაბარმნიშვნელობა.

— რაღაც აბრაკადაბრაა, — არ ცხრებოდა ფასტარი, — მართავდე სახელმწიფოს, განაგებდე მართლმსაჯულებას და არ გწამდეს მათი ნამდვილობა...

— რწმენით მათ ბევრი რამ სწამდათ, — შეაწყვეტინა ირეონმა, — განსაკუთრებით თავიანთი გონებრივი უნიკალობა.

ორივე მეგობარმა გულიანად ჩაიხითხითა და ბასრი კბილები დაკრიჭა, როგორც ზოგადად, თახვებს სჩვეოდათ მხიარულებისას.

სწავლულები უკვე ხანმოთეულებად ითვლებოდნენ, წვერში ჭაღარა გარეოდათ და ბუხრის ანაშუქით გაჩენილი მათი ლანდებიც კედელზე მოფოფინე კუზიანთა ანარეკლს ჰგავდა, ისე მოეხარა ისინი წელში ხანგრძლივ მეცადინეობას. მათ გვიანობამდე ისაუბრეს. ბოლოს, წიგნი ფარულ ადგილას გადამალეს და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ, თუმცა არც ერთს არ სძინებია.

წიგნმა ორივე მოწამლა, ეჭვის სამსალა შეაფრქვია და მეგობრები მიხვდნენ, რომ ძველებურად ვეღარ იცხოვრებდნენ. მალე მართლაც ასე მოხდა: წვრილმანის გამო წაკინკლავდებოდნენ ხოლმე და ვეღარაფერზე თანხმდებოდნენ, ღამის წვერებით ეთრიათ ერთმანეთი. ბოლოს სულაც გაიბუტნენ და ცალ-ცალკე დაბინავდნენ. ამის შემდეგ საჯაროდაც ღანძღავდნენ და ნაშრომებს უქიაქებდნენ ერთმანეთს.

მათ ირგვლივ მომხრეები დაჯგუფდნენ და ორი მტრული პარტია გაჩნდა, ეჭვის ბაცილით დასნებოვნებული. ბაცილა ფარულად მრავლდებოდა და ერთ დღესაც ეპიდემიამ იფეთქა. მტრული პარტიები ერთმანეთს დაერივნენ. ორივე დუჟმომდგარი ამტკიცებდა თავის სიმართლეს და თუ მოპირდაპირე მხარე არ უჯერებდა, კამათში მახვილი ერეოდა. თახვების ქვეყანა აირია. პრეზიდენტმა ყველა ოლქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რამაც ვითარება თითქოს მცირე ხნით დააშოშმინა, თუმცა სიძულვილი ნაღვერდალში შენახული ცეცხლივით ღვიოდა...

— ბუსავით როცა დავიკივლებ, ნიშანი იქნება! — აჯანყებულთა ბელადმა მახვილი აღმართა, — წინ, თავისუფლებისაკენ!

სამოქალაქო ომს გადარჩენილ მოხუც ჟამთააღმწერელს კი ნახევრად ბნელ მიწურში ქონის სანთლის შუქზე ბეჯითად გამოჰყავდა განაჩენივით უდავო სტრიქონები:

„თახვების მშრომელ და პატიოსან სახელმწიფოში არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის მაცხოვრებლებს შორის ბაცილით გამოწვეული ავადმყოფობა გაჩნდა, და ამ ავადმყოფობას ადამიანი ჰქვია. საყოველთაო ჭირის გავრცელება ემთხვევა ცაზე ბანჯგვლიანი კომეტის გამოჩენას, რომელსაც ერთნი გამანადგურებლად მიიჩნევენ, მეორენი კი — მხსნელად“...

→

ზურაბ ლავრელაშვილი

ფერშალი

სხვა სამყაროდან მოსულს ჰგავდა. თვალს აცეცებდა და სულელივით იკრიჭებოდა. სარწეველა სავარძელში მჯდომი ფერშალი შორიდან უცქერდა, როგორ ამოიარა იმან ხევი და ღობესთან გაჩერდა.

— ვის ეძებთ? — თავაზიანად ჰკითხა ფერშალმა და სავარძლიდან წამოიწია. მაგიდას იდაყვით დაეყრდნო. საღამოობით ფერშალი ბაღში უჯდა ხოლმე ქვის მაგიდას და ფოსტით მიღებულ გაზეთებს კითხულობდა.

— მჰაა...

— მუნჯი ხარ? — მიხვდა ფერშალი. თითი ტუჩთან მიიტანა და მერე იმ თითით ჰაერში ასოები მოხაზა. მუნჯმა თავი სიხარულით დაუქნია. ფერშალი შინ შევიდა და ფურცელი და ფანქარი გამოუტანა. მუნჯი მაგიდაზე წაიხარა. ფერშალმა მხარს ზემოდან ჩახედა: ფურცელზე სახლი ეხატა, როგორსაც ოთხი-ხუთი წლის ბავშვები ხატავენ ხოლმე. „ჭკუასუსტია“, — გაიფიქრა, — „ალბათ დაიკარგა. პოლიციას უნდა დავურეკო“. მუნჯს მოცდა ანიშნა და ისევ შინ შებრუნდა. ყურმილს მისწვდა. თითით ნომერს კრეფდა და თან ფანჯრიდან უცქერდა ღობესთან გარინდულ მუნჯს. „დაიკარგა საწყალი“... ყურმილი ბერკეტზე ჩამოჰკიდა და ოთახი მოათვალიერა. მყუდროდ იყო, ოდნავ ბინდბუნდში. „პოლიცია მიხედავს“, — თქვა გასამხნევებლად და სამზარეულოში გავიდა, ჩაიდანი ქურაზე შემოდგა. გიჟი აქეთა ფანჯარაშიც ჩანდა და ფერშალმაც ფარდა ჩამოუშვა.

იგავი

ვიდრე მოღალატურად მოკლავდნენ, სამოსას ტირან პოლიკერტს ვერავინ შეეცილებოდა სვე-სვიანობასა და უზღვავ დიდებას. მისი ძლევამოსილი ფლოტი ეგეოსის ზღვაზე ბატონობდა, მოისარნი და შურდულით ქვის მტყორცნელნი კი მეფეს იმდენი ჰყავდა, მთლიანად დაეპყრა მას მახლობელი ქალაქები და ზარგანხდილ სახელს მისას მიეღწია თვით ეგვიპტემდის, რომლის თვინიერი მეფე ამაზისიც მეგობრად და მეკავშირედ გახდომოდა ტირანს, გულწრფელად აღტაცებული პოლიკერტის იღბლიანობით, რამაც ამაზისი ბოლოს-დაბოლოს ფრიად დააფიქრა: განა შესაძლებელია კი მოკვდავის ეგზომი ბედნიერება?! უწყოდა რა კარგად ღმერთთა მეშურნეობა, ამაზისი სამართლიანად ეჭვობდა, ჩემს მეგობარ პოლიკერტს უკვდავებმა ვინძლო საიმისოდ მოჰმადლეს კაცთათვის წარმოუდგენელი პატივი და ქონება, რათა ერთ დღეს ასევე წარმოუდგენლად გააუბედურონო...

ამაზისს არცთუ უსაფუძვლოდ უთქვამდა გული უბედურებას. ჰეროდოტე მოგვითხრობს, როგორ მოკლა პოლიკერტი ღალატით სარდეს სატრაპმა ოროინტმა, რომელმაც მოტყუებით მიიწვია ის თავისთან, ვითომდა ულევი საუნჯის დაპირებით. ცბიერმა სპარსმა მსახურებს უზარმაზარი ყუთები ქვით გაავსებინა, ზემოდან კი ოქროს ზოდებით დააფარინა და ასე დახვდა ტირანის გამოგზავნილ კარისკაცს, რომელმაც შემდგომ ეს ამბავი სამოსაზე ჩაიტანა. ხარბი და სიმდიდრის მეშურნე პოლიკერტი მყის აღიკაზმა და ხომალდით სარდეში გაცურა, უცილო სიკვდილისაკენ, მიუხედავად მრჩევლებისა და მეგობართა გაფრთხილებისა, ოროინტს ნუ ენდობიო; ყურად არ იღო მან არც თავისი ასულის წინასწარმეტყველური სიზმარი, წინა ღამეს რომ ენახა და მეფეს დაღუპვას უქადდა.

ჰეროდოტეს აზრით, პოლიკერტის გონდაბნელება და აშკარა საფრთხის ვერ-შეგნება ღმერთების წყრომის შედეგი იყო, რაც მანამდე ცხადად ეუწყა ტირანს, როცა ამაზისის რჩევით, მან ზღვაში ძვირფასი ბეჭედი ჩააგდო და ზღვამ კი უკან დაუბრუნა. ბეჭდის დაკარგვით პოლიკერტი ვეღარ იქნებოდა სრულად ბედნიერი — დანაკლისს აკი უნდა დაემწუხრებინა, რითაც ტირანის იღბლიანობა დაიჩრდილებოდა.

ზღვაში გადაგდებული ბეჭედი მზარეულმა უკან მიუტანა პოლიკერტს. ბეჭედი მას უზარმაზარი თევზის მუცელში ეპოვა, ეს თევზი კი ვინმე ღარიბ მებადურს ეძღვნა მეფისათვის. ასე რომ, უკვდავ ღმერთებს არ მიეღოთ საჩუქარი და უეჭველია, ავს იზრახავდნენ პოლიკერტისათვის. შეშინებულმა ამაზისმა მაშინვე მეგობრობა გაწყვიტა მასთან, იმ მიზეზით, რომ დაღუპული მეგობრის დარდს ვერ გაუძლებდა, და სასახლეში ჩაიკეტა, სადაც ფერ-ნამკრთალი ელოდა ცუდ ამბავს სამოსადან, და მაშინღა ამოისუნთქა შვებით, როცა ტირანის ღალატით სიკვდილი აცნობეს...

ამრიგად, ფარული განაჩენი აღსრულდა და პოლიკერტიც მოკვდავისათვის შეუფერებელი ბედნიერების გამო დაისაჯა (რაც, უნდა ვთქვათ, მისი ბრალი სულაც არ იყო!), ხოლო სასჯელის მოტივად ტირანის სიხარბე და ოქროსმოყვარეობა დასახელდა. მაგრამ არსებობს ამ ამბის სხვა ვერსიაც, რომელიც ჰეროდოტეს არ ჩაუწერია და სხვადასხვა აპოკრიფების სახით ფრაგმენტულად მოაღწია ჩვენამდე. ამ ვერსიაში პოლიკერტი იმავენაირად კვდება მოღალატის ხელით, ოღონდ არა სიხარბის, არამედ დაეჭვების გამო...

აი, ეს ვერსიაც:

როგორც კი მეგობრის განდიდება შეიტყო და ავადაც ენიშნა ზეციერთა ესევითარი წყალობა, ამაზისმა ბარათი მისწერა პოლიკერტს, ფხიზლად ყოფილიყო და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებინა უჩვეულო მოვლენებისათვის, რომლებიც, დიდი ალბათობით, სამომავლო უბედურებას გვაუწყებენ. საპასუხო წერილით პოლიკერტმა მეგობარს აცნობა, ფრინველთა შიგნეულზე მკითხავნი და რამლის მყრელნი ბევრი მყავს და ორაკულებიც უღრუბლო ყოფას მიწინასწარმეტყველებენო. ამაზისი მიხვდა, რომ სამოსას ტირანი მზვაობრიობას შეეპყრო და უბედურებაც არ დაახანებდა. ამიტომ კიდევ დაწერა წერილი და ჯიქის ტყავით მოსილ ქურუმს საჩუქართან ერთად გაატანა. შიკრიკი მარტო გადმოვიდა სამოსას ნავსადგურში ხომალდიდან და სასახლისაკენ ფეხშიშველი გაემართა. თან მომცრო ზარდახშა მიჰქონდა. პოლიკერტმა პატივით მიიღო მეგობრის შიკრიკი, თუმცაღა მისმა სანახევროდ სიშიშვლემ და უამალობამ გააკვირვა. უფრო მეტად განცვიფრდა მეფე, როცა ქურუმმა ზარდახშა გაუწოდა და შიგ კი არაფერი იდო.

— ნუთუ ჩემმა ძმამ და მეგობარმა ცარიელი ზარდახშა გამოგატანა? — დაეჭვებით ჰკითხა ტირანმა ქურუმს, რაკი იგუმანა, ზარდახშაში ჩაწყობილი ძვირფასი ქვები (სხვა რა უნდა ეწყოს იქ!) შიკრიკმა გადამალა და ახლა უსინდისოდ ცრუობსო; მეორეს მხრივ, ქურუმის სიბრიყვე აოცებდა, რაღაი ამ სვეუბედურ მაცნეს ვერც კი ეგუმანა, რომ სიმართლე უმალ გაირკვეოდა და მას უსასტიკესი სასჯელი ელოდა ძღვენის ხელყოფისათვის.

ქურუმი მიუხვდა ტირანს.

— მეფე ამაზისმა მე მომანდო საჩუქრის არჩევა! — უთხრა მეფეს, — როდი იცის, რა გიძღვენი და რა პირობით, პოლიკერტე!

— პირობით? — გაიკვირვა ტირანმა, — ნუთუ საჩუქარს პირობით სძღვნიან?

— ეს არც არის საჩუქარი, მეფეო, რადგან ზარდახშაში არაფერია. ოღონდ შემპირდი, რომ უთუოდ აასრულებ ჩემს დათქმას, რაც არ უნდა უცნაური გეჩვენოს!

მეფემ მრჩევლებს გადახედა.

— თქვი, რა გწადია!

— ჩემი პირობა არცთუ ძნელად შესასრულებელია. მხოლოდ იმას გთხოვ, ზარდახშა შენს სალაროთსაცავში მარტო ერთი მიმართულებით იდოს. აი, მეფეო, ხედავ ამ პაწია ისარს სახურავზე? ეცადე, რომ ეს ისარი მუდამ ჩრდილოეთისაკენ იყოს მიმართული.

პოლიკერტს იმედგაცრუება დაეტყო.

— სულ ეგაა?

— დიახ, მეფეო.

— კარგი, შეგისრულებ პირობას, — დაყაბულდა პოლიკერტი, — თუმცა აზრი ვერ გამიგია.

— ერთი წლის შემდეგ მე კვლავ აქ ვიქნები, — პასუხის ნაცვლად დაუბარა ქურუმმა, — და თუ მანამდე არაფერი შეიცვალა, ზარდახშას წავიღებ.

ის ტირანს გამოეთხოვა და ეგვიპტეში გაბრუნდა. პოლიკერტმა კი მოლარეთუხუცესი იხმო და დაავალა, ზარდახშა სალაროში ისრით ჩრდილოეთისაკენ დაედო, როგორც ეს ქურუმმა დაუთქვა. მოლარეთუხუცესმაც ზარდახშა წაიღო და ის პოლიკერტს მალევე გადაავიწყდა. კვირის ბოლოს, როცა ვიღაცამ უცნაური შიკრიკი ახსენა, მეფეს პირობა მოაგონდა.

„წავალ და ვნახავ, რა შეიცვალა“, — გაიფიქრა ტირანმა, — „ვინძლო ზარდახშას რამე ზებუნებრივი უნარი აქვს და ასხივებს კიდეც.“

მაგრამ ზარდახშა არც ასხივებდა და არც მდებარეობა შეეცვალა, რაც მისი ჯადოსნობის დასტური იქნებოდა. ის უძრავად იდო მაგიდაზე, ისრით ჩრდილოეთისაკენ, და არაფრით ჰგავდა სასწაულმოქმედ ყუთს, რომლიდანაც ვინ იცის, რა უცნაურობა არ ამოჩნდება, მსგავსად ბაზრობაზე ოინბაზის მიერ ნაჩვენები ფოკუსისა. პოლიკერტს კი მაინც უჩვეულოდ შეუკრთა აქამდე უშიშარი გული.

„ეს მაგიდა დარბაზის შუაში ცუდად დგას, აქაურობას არ უხდება“, — გაიფიქრა და მოლარეთუხუცესს უბრძანა, ზარდახშა სხვა მაგიდაზე გადაეტანა. მაგრამ არც ახალი განლაგება მოეწონა.

„კედელთან ახლო უნდა იდოს“, — შესძახა და ზარდახშა თავადვე გადაანაცვლა კედლისაკენ, თუმცა არც ეს ეჭაშნიკა.

„რასაკვირველია, მანდურში უნდა იდოს!“ — დაასკვნა მერე და მოლარეთუხუცესს კედელში მანდურის გამოჭრა დაავალა. მანდური მყისვე ამოჭრეს, თუმცა მეფეს კვლავ არ მოეწონა რაღაც. მან ზარდახშა საძინებელში წაიღო და კვირის განმავლობაში ადგილს უცვლიდა, ხან საით გადააჩოჩებდა და ხან საით. ღამე ძილი გაუკრთა, რაკიღა ეჩვენებოდა, რომ ზარდახშა არასოდეს შესაფერის ადგილას არ იდო. საძინებელი აშკარად არ ვარგოდა ზარდახშის შესანახად და ტირანის ბრძანებით საძინებელიც დაანგრიეს და ხელახლა ააშენეს. ცხადია, პოლიკერტს არც ახალი ოთახი მოეწონა, რადგან მისი აზრით, ზარდახშა აქ სრულებით ზედმეტი იყო; უფრო სწორად — ოთახი იყო ზედმეტი. სადაც არ უნდა დაედო ის წყეული ნივთი, მაინც არაბუნებრივად ჩანდა.

პოლიკერტმა ზარდახშა სათათბიროში გაიტანა, მაგრამ იქაც იგივე განმეორდა. სასოწარკვეთილმა მეფემ ხუროთმოძღვარს სასახლის გადაკეთება უბრძანა. სასახლე დაანგრიეს და ხელახლა ააგეს, უფრო დიდი და ტურფა, მაგრამ ზარდახშას არც ეს მშენებლობის სასწაული მოუხდა. მეფე გაშმაგდა და ზარდახშის დამსხვრევა უნდოდა, მაგრამ ქურუმისათვის აღთქმული პირობა გაახსენდა, ერთ წელს დაგიცდიო, და მოლარეთუხუცესს ზარდახშა სარდაფში ჩაატანინა.

ვეღარ ხედავდა, მაგრამ ზარდახშა მაინც აეკვიატა. შინაგანი მზერით უცქერდა ჩრდილოეთისაკენ ისრით მიმართულს, ურყევს, უძრავს, რომლის გარშემოც იცვლებოდა ქვეყნიერება, მაგრამ თავად ის შეუმუსვრელი იყო; ახსენდებოდა ქურუმიც, ვინც თითს იშვერდა ზარდახშის ისრისაკენ, თითქოს მიმართულებას ანიშნებსო. საით? პოლიკერტს მიმართულება უკვე არეოდა და მხოლოდ ის მხარე ჩანდა ჭეშმარიტი, რომელსაც ლითონის წვერი უჩვენებდა. რა იყო ჩრდილოეთით? მეფე ისე გაიტანჯა, რომ მწირის სამოსი გადაიცვა, სამეფო მრჩევლებს დაუტოვა, ზარდახშა თან წაიღო და ჩრდილოეთისაკენ გასწია. მისი აზრით, თუ სულ ისრის მიმართულებით ივლიდა, იმ საბოლოო პუნქტს მიადგებოდა, სადაც ამ ნივთის რაობა გაირკვეოდა. მოთმინება არ ეყო, ქურუმისათვის დაეცადა, ვინც, ალბათ, აუხსნიდა ზარდახშის საიდუმლოს.

ხან ფეხით, ხან ცხენითა თუ ურმით მან კუნძულის უკიდურეს ჩრდილოეთს მიაღწია და ხომალდზე ავიდა, რათა საზღვაო გზით მატერიკზე გადასულიყო, მაგრამ მოულოდნელი პირქარის გამო ხომალდმა გეზი იცვალა და ხმელეთს აღმოსავლეთით მიადგა. პოლიკერტიც იძულებული გახდა ერთ ხანს მსახურთან ერთად უცხო ადგილას შეყოვნებულიყო, თუმცა აქაურობა არცთუ უცხო იყო, რადგან სანაპიროზე აკი ბერძნული ქალაქები ჩამწკრივებულიყო: მიტილენი, კლაძომენი, ფოკია... პოლიკერტი ფუნდუკში ელოდა ხელსაყრელ ბორიოს. დროის გასატარებლად კი ქალაქის შემოგარენში იარებოდა. ერთ დღესაც შინ მობრუნებულს ოთახი განძარცვული დაუხვდა, მსახური კი იატაკზე განრთხმული. პოლიკერტმა წყალი ასხა და მოასულიერა. მსახურმა უამბო, შენს არყოფნისას ვიღაცები ოთახში შემომეჭრნენ, ზარდახშა გამტაცეს, მე კი თავში ჩარტყმით გამაბრუესო.

პოლიკერტი მსახურს უხმოდ უსმენდა და თან ცდილობდა გამოეცნო, ზარდახშის დაკარგვა რას მოასწავებდა. მერე ამაზისს მოკლე ბარათი მისწერა: „უბედური ვარ“.

როგორც კი მეფე ამაზისს ეს ბარათი მიუვიდა, მანაც, თავის მხრივ, გემი გაამზადებინა და მეგობრის სანახავად გაცურა, თუმცა ვეღარ მიუსწრო. ამიტომ ცხენხეთქებით დაედევნა მეგობარს. სოფლებსა და ქალაქებში იკითხვიდა და თავადაც ჩრდილოეთისაკენ მიიწევდა. პოლიკერტს არცთუ დიდი ხნის წინათ გაევლო ამ ადგილებში, მაგრამ როგორღაც უჩინრად, თითქოს კვალი დაჰკარგოდა. ვიღაცას მაინც ენახა მოგზაური მეფე, ვითომ სარდეს მხარეს რომ აპირებდა წასვლას. ამაზისმაც სარდემდე მისდია, მაგრამ ამჯერადაც დაიგვიანა: სატრაპ ოროინტს მზაკვრულად შეეპყრო იგი და ძელზეც გაესვა. დამწუხრებულმა ამაზისმა მსახურებს მისი ძვლები მოაკრეფინა, პორფირში გაახვია და თან წაიღო ეგვიპტეში, სადაც სამეფო აკლდამაში დაასვენა.

ამბობენ, რომ შემდგომ პოლიკერტის მემკვიდრეებმა გამოითხოვეს მისი ნეშთი და სამოსაზე საგვარეულო სამაროვანში დაფლეს.

ამაზისი ხშირად იჯდა ხოლმე მეგობრის აკლდამასთან, განგების უცნაურობაზე დაფიქრებული, და აჰა, ერთხელაც აღმართზე ამომავალი ღვთის მსახური დაინახა. ეცნო ეს ქურუმი — აკი თავად წარგზავნა იგი ოდესღაც სამოსაზე პოლიკერტთან შიკრიკად. ჯიქის ტყავით მოსილ, ფეხშიშველ ქურუმს ამაზისმა ხელთ მომცრო ზარდახშა დაუნახა.

— ვიცი, მეგობარს გლოვობ, — უთხრა ქურუმმა მეფეს, — და მისი უდროოდ დაღუპვის მიზეზიც გსურს გაიგო.

— ჰო, — მიუგო ამაზისმა, — მაგრამ ეგ რა არის?

— შენის ნებართვით, მეფეო, ეს ზარდახშა პოლიკერტს წავუღე საჩუქრად, როცა მასთან შიკრიკად გამგზავნე. გახსოვს, გინდოდა, ის ცოტათი მაინც უბედური ყოფილიყო, რათა მეშურნე ღმერთებს უფრო სასტიკად არ დაესაჯათ.

— მაგრამ შენმა საჩუქარმა ვერ უშველა.

— პოლიკერტმა პირობა დაარღვია.

— ნუთუ საჩუქარი პირობადებულია?

— არავინ იცის, რა არის ბრალი ან მისაგებელი, — პასუხის ნაცვლად უთხრა ქურუმმა, — არც ეგ, თუ რისთვის მოუვლენენ ხოლმე ღმერთები მოკვდავთ განსაცდელს. თუმცა უფრო ხშირად თავად ადამიანი ეძებს ხიფათს.

ამაზისმა ერთხანს სახე ხელებით დაიფარა და დადუმდა.

— მეგობარი დავკარგე, — დაიჩივლა მერე, — მასთან რომ არ გამეგზავნე, ვინ იცის ეცოცხლა...

— ვინ იცის, მეფეო! მაგრამ შენ პირობის შეტყობა გსურდა! — ქურუმმა ზარდახშა გაუწოდა, — შეასრულე შენი მეგობრის მიერ დარღვეული პირობა და მიხვდები, რა დაემართა მას...

აპოკრიფი აღარ გვატყობინებს, რა მოხდა შემდგომ, რადგან ის პოლიკერტის ამბავს მოგვითხრობს და არა ამაზისისას, ამიტომაც როდი ვიცით, დასთანხმდა თუ არა ის პირობას, ზარდახშა მუდამ ერთი მიმართულებით შეენახა?! შესაძლოა, ეს სხვა ზარდახშა იყო და პირობაც — სხვა? ეგეც საფიქრელია, რომ ამაზისმა პირობა კი აასრულა, თუმცა საბოლოოდ მაინც ვერაფერს მიხვდა ან მიხვდა და ეს არავისთვის გაუმხელია, რაღაი ცნობილი ჟამთააღმწერლისა არ იყოს, ყველაფერი ჰაერში უნდა ეკიდოს...

გიორგი კეკელიძე

მოზაიკური ქრონიკების სევდა და სიხარული

ილია ჭავჭავაძე „აჩრდილზე“ მუშაობისას დანანებით წერდა, ჩვენი ისტორია დიდწილად ამბებია მეფეებზე და ომებზე — ხალხი არსად ჩანსო. ჩვეულებრივი ხალხი, ყოფა, კონტექსტები, დეტალები. მოგვიანებით გალაკტიონ ტაბიძე იტყვის — „დრო, დრო აღნიშნე!“

ინგა ჩახვაშვილი დროს და ადამიანებს აღნიშნავს სწორედ საკუთარ წიგნში — „მოუყოლელი ამბები“ და ეს სათაური არის კიდეც ერთგვარი პასუხი განზრახულობაზე — მოუყოლელი, სხვათა ყურისთვის და შესაბამისად — მეხსიერებისთვის გაუმხელელი მოვლენები გაგვანდოს. გაგვანდოს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, თითქოს პროზაულად ყოფითი, მაგრამ ამავდროულად პოეტურად მგრძნობიარე ამბები ადამიანზე, რომელიც საკუთარ თავზე, როგორც წინაპრების ერთგვარ ჯამზე, ისე გვიყვება — ნამემკვიდრეები თუ შეძენილი ტრავმებით, სირთულეებით და ამავდროულად სიცოცხლის დიდი ჟინით.

ეს არის ერთგვარი დღიური ან გნებავთ — ქრონიკა და თან არც არის. ძნელად მიხვდები, სად სრულდება ნამდვილი ამბავი და სად იწყება გამონაგონი — ერთგვარი მეტატექსტი, დოკუმენტური პროზის სახელს რომ ართმევს ამ ნაწარმოებს და სხვა ჟანრში გადაჰყავს. ერთგვარი პოსტმოდერნული თამაშია და ბეწვის ხიდი, რომელზეც ავტორი უშიშრად და წარმატებით გადის.

მიტოვებული სახლის დარდი, მეთევზეების პორტრეტი, სოფელში სერიალის ცქერის სცენა, აეროპორტი — ფუტკრის სკა, ნელი ძალო, მადამ ჰელგა, გოგიას ჩამოსვენება, ბაბო, პაპა — მოკლედ დიდი და მიმზიდველი მოზაიკა. მოზაიკა, რომელიც ლამაზია, ანათებს და თან თვალს არ გჭრის.

წიგნის დასაწყისი ისეთია, ადამიანის ცხოვრების დასასრული რომ შეიძლებოდა, ყოფილიყო — „თიხა ვარ და თიხათ ვიქეც, თიხათ დავრჩი სამარადჟამოთ, ხელით გამოყვანილი, ცეცხლით გამომწვარი, მზით და ქარით გამომშრალი დიდი ჭურჭელი“... ქვევრია ეს ჭურჭელი და წიგნის პირველი თავიც ქვევრია — როგორც საგან-ნივთთაგან ერთი უმთავრესი ნაწილი ამ ქვეყნის ისტორიის, ამ ქვეყანაში მცხოვრების ისტორიის — გაძლების, გადარჩენის, სევდის და მხიარულების. ამიტომაც ხსნის ამ ქრონიკებს ამბავი ქვევრზე, რომელიც რამდენადაც კახურია, ზოგადქართულია იმდენად და ძალიან ბევრ მეტაფორას გულისხმობს, ამ წიგნის გასაღებთა ასხმად რომ გამოდგება.

ეს წიგნი დაგვიანების შიშისაცაა და ეს შიშიც ალბათ ზოგადქართულია. შემედავებით, სიზარმაცე და დაგვიანების სიყვარული უფროა, მაგრამ ეგ კონტექსტურია და ვერ დაგეთანხმებით — ეს შიში იზოლაციიდან გამოღწეული ადამიანისაა, სამყაროსთან კონტაქტზე ახალგასული, საბჭოთა რკინის კედელს დაჩვეული ადამიანის — რომ იქ, თავისუფალ სამყაროსთან მისვლას ვერ შეძლებს, თუნდაც ამ უცნაური და შეიძლება ღიმილისმომგვრელი მიზეზით — დააგვიანდება. ამიტომაც წერს ავტორი: „აეროპორტში ყოველთვის სამი საათით ადრე მივდივარ, დაგვიანების მეშინია“ ამას კი ძველი ჩვევითაც ხსნის, მაგრამ ის ძველი ჩვევაც კამერული ყოფით აღსავსე რეჟიმის ამბავი მგონია. სიახლესთან შებედვის შიში. ისეთი ადამიანისგანაც კი, როგორიც ავტორია — ლაღი და თავისუფლებისმოყვარე. მეორე მხრივ — ეს შიში უსურვილობას არ ნიშნავს. სრულიად პირიქით. ბავშვობის სიზმრებიდან აკვიატებული პარიზის ნახვის სურვილი იმხელაა, რომ ასჯერ მეტ შიშს გადაგალახვინებს. ეს წიგნი შიშების გადალახვის და სურვილების ასრულებისაცაა.

საშას სიკვდილის სცენა დიდი ლიტერატურაა. აქ ისევ კახეთი შემოდის — პირდაპირობით და კონტრასტულობით. ერთი მხრივ არის კაცი, რომლის ლექსიკონი ნაკლებად ეთიკური და უხამსია, იმდენად რომ ბავშვს ტრავმადაც ექცევა და მეორე მხრივ, ეს კაცი კვდება. კვდება სწორედ ბავშვის (ავტორის) წინ — უცნაური სცენაა, თითქოს ამბივალენტური. გარდაცვალების სცენა მძაფრია, მაგრამ ტრავმა იმდენად დიდი, რომ შეცოდების სურვილსაც აუქმებს. ეს მონაკვეთი ბევრისთვის სახელმძღვანელოდაც შეიძლება იქცეს. ეს არის ის დიდაქტიკა, რომელიც ყველაზე ზუსტად და სწორად სწორედ ლიტერატურას შეუძლია, იმაზე გაცილებით უკეთ, ვიდრე მშრალ და გრძნობაგაცლილ კონვენციებს.

ცალკე სათქმელია ენობრივი პლასტი და თხრობის პოეტური სტილი. აგერ, ერთ მაგალითს მოვიხმობ, დანარჩენი თქვენც იოლად შეგიძლიათ დაძებნოთ: „სავსე მთვარე ზედ ვიწრო ფანჯრის რაფაზე დასჯდომოდა, სახეში ანათებდა, თებროს ყაისნაღით ნაქსოვ ბამბის ძაფის ფარდებიდან, მარყუჟებსა და გამოტოვებულ თვლებს შორის დატეხილად, დაბზარულად, როგორც მისი გული იყო ახლა გაბზარულიცა და გატეხილიც“.

და კიდევ, რამდენადაც თავდაჯერებულია ავტორი საკუთარი ცხოვრების თხრობისას, იმდენად არ ტოვებს თვითირონიის განცდაც. აქაც კახეთია წრფელი და შემფხიზლებელი: „ეჰეჰეჰეი, რომანოზიანთ გოგო, სადა ბანაობ?!“

კი, ყველგან კახეთია. მსოფლიოს ყველაზე შორ კუთხეშიც კი. რადგან ინგა ჩახვაშვილისთვის ეგ ის მხარეა, სადაც პირველად შეხვდა საკუთარ თავს, როგორც ადამიანს — იქ ისწავლა რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება, რა არის ტკივილი და დაამება რა არის. და კიდევ ბევრი რამ, რასაც ამ ქრონიკის ფურცლებზე შეხვდებით — რასაც მე დაბეჯითებით და თამამად გირჩევთ.

თამარ ბარბაქაძე

დიდოსტატობა და გულწრფელი სიყვარული



როსტომ ჩხეიძის ახალი წიგნი „დუენდე“ ვახუშტი კოტეტიშვილის ბიოგრაფიას ბარელიეფად ჩაეშენება, ხოლო ქართული კულტურის, სიტყვიერი ხელოვნების მრავალსაუკუნოვან ტაძარს კიდევ უფრო დაამშვენებს. ალბათ, შეუძლებელი იქნება, ასე მალე ძეგლად იქცეს კაცი, რომლის ხმა და მოძრაობა, ფიზიკური არსებობა ორი ათეული წლის წინანდელი, ჯერ კიდევ ფერშეუცვლელად გვახსოვს. თანაც, ყოველი მხრიდან ამ ძვირფასი ადამიანის დანახვა და შეფასება არც გვინდა და არც შეგვიძლია: სუბიექტური თუ ობიექტური თვალსაზრისი ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების თაობაზე არც ავტორისათვის იქნებოდა საინტერესო და ვერც მკითხველს აიყოლიებდა ამ გზაზე სასიარულოდ. „ბიოგრაფიული ნატეხების“ დიდოსტატს, როსტომ ჩხეიძეს არ გასჭირვებოდა, ერთადერთი, შეუმცდარი სიტყვა-გზამკვლევი ეპოვა ვახუშტი კოტეტიშვილის სულიერი თავგადასავლის მისაგნებად.

როსტომ ჩხეიძემ თვით ვახუშტი კოტეტიშვილისა და ლია ლორიას მიერ თარგმნილი ფედერიკო გარსია ლორკას ესე „დუენდეს თეორია და თამაში“ გაიხსენა და ნახევარი საუკუნის წინანდელი პუბლიკაცია გააცოცხლა „ლექსად ქცეული კაცთან“ ერთად.

ვახუშტი კოტეტიშვილის ექვსი ბიოგრაფიული ნატეხი აანყო ჩვენ თვალწინ როსტომ ჩხეიძემ ულამაზეს სასახლედ. სიტყვა „დუენდე“ ექვსი ბგერისაგან არის აშენებული: ორი საწყისი თანხმოვანი და ხმოვანი, ოთხბგერიან, ერთნაირხმოვნიან სარტყელში იქცევს ორ თანხმოვანს („ნდ“) და სამმარცვლიან დაქტილს (დუ-ენ-დე), ქართული მეტყველებისათვის ყველაზე გავრცელებულ, ზომიერ სიტყვად აყალიბებს.

„დუენდეს“ ხმოვნებისა და თანხმოვნების მსგავსად, ექვსი ბიოგრაფიული ნატეხი, ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრების პროზასა და პოეზიას მიესადაგა, თუმცა სწორედ „დუენდეს“ თეორიისა და თამაშის გამო ისე შენივთებულად, გადაჯაჭვულად წარმოგვიდგინა ავტორმა, რომ თვითონ იქცა ნამდვილ დუენდედ ეს მომცრო ფორმატის, 234-გვერდიანი წიგნი: არა ძეგლად, ან ქანდაკებად, არამედ ცოცხალ კაცად, თვითონ ვახუშტი კოტეტიშვილად, როგორც გიორგი ლობჟანიძეც, რედაქტორი, აღნიშნავს ამ წიგნის წინასიტყვაობაში.

ჩემი აზრით, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, უფრო ბარელიეფი შეეფერება ვახუშტი კოტეტიშვილს მეტაფორად: იგი ტაძრის საყრდენი ქვაც არის და სამკაულიც, ვაზის ლერწებივითა და ვარდულებივით, ჩუქურთმებშიც არის მოქცეული, ჯვრებშიც, ხვეულებშიც, ყველგან დაგყვება და გეხმარება, რომ ერთფეროვნებას არ მიეჩვიო, განსხვავებული ეძებო მსგავსში.

ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ბარელიეფს შევადარე და ვიგულისხმე, რომ ეს დიდი კაცი, ერთდროულად, საყრდენიც იყო და ჩუქურთმაც: სხვა ადამიანებსაც ეხმარებოდა, ექომაგებოდა, სიცოცხლის წყურვილსა და ხალისს მატებდა, თვითონ კი მთელ საქართველოს ამშვენებდა, გამორჩეულ ელფერს სძენდა. ვამბობ ამ სიტყვებს და ელა გოჩიაშვილის, თანამედროვე საქართველოს ერთი გამორჩეული პოეტის, სახელი და ლექსები მეხმარება ამ აზრის ჩამოყალიბებაში. ელას ლექსებში პოეზიით გაცნობიერებული სამყაროს აღქმა, ლექსად სათქმელი „სიკვდილი — სიცოცხლის თამაშობანი“ („ამბავი ფრჩხილებისა“) და ელას ცნობილი ლექსიდან ტაეპები: „სულყველას უნდა იყოს ჩუქურთმა და არავის სურს იყოს კედელი“ — მიცოცხლებს ვახუშტი კოტეტიშვილთან, მზეოსთან სტუმრობის რამდენიმე უბედნიერეს საღამოს, ელა გოჩიაშვილთან ერთად. ვახუშტის ძალიან მოსწონდა ელას ლექსები, მზეო კი სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობდა იმ დროს და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ვიცნობდით ერთმანეთს. მერე ერთად სატელევიზიო გადაცემაშიც ჩაგვწერეს ელას ლექსებზე სასაუბროდ: ვახუშტი კოტეტიშვილი, გიორგი ლობჟანიძე და მე.

ვახუშტი კოტეტიშვილის „ხმა ყელში გაჩხერილი“, ლექსად ამაღლებული, პირველად ომარ ხაიამის „რობაიებით“ შეიყვარა საქართველომ, როსტომ ჩხეიძის „დუენდეც“, მკითხველისადმი მისი მიმართვის შემდეგ, ამ თავით იწყება. პირველივე პოეტური თარგმან-შედევრით, რომლის საუკეთესო შემფასებლის, დავით კობიძის, სიტყვებით დაგიდასტურებს ავტორი: ეს თარგმანები მწვერვალს წარმოადგენსო. ჩვენი მხრივ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რობაის პოპულარიზაციაში თანამედროვე ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ პოეზიაში ლომის წილი სწორედ ვახუშტი კოტეტიშვილს ეკუთვნის. რობაის მიმართ ლექსის ჭეშმარიტი მცნობის განსაკუთრებული სიყვარულის დასტურია არა მარტო მის მიერ თარგმნილი ომარ ხაიამის რობაიები, არამედ საკუთარი, პოეტ ვახუშტი კოტეტიშვილის, ერთადერთი რობაი:

ვარდი, ბულბული თუ არ უმღერის,
ვარდი არ არი,
უსიყვარულოდ გული
გულის ვარდი არ არი,
ლექსებში დარდებს ამოთქვამენ,
მაგრამ, ვაი, რომ
დარდი, რომელიც ამოითქმის,
დარდი არ არი.

ვახუშტი კოტეტიშვილი გულწრფელად აღიარებდა: „პოეზია ჩემთვის ყოველთვის იყო, არის და იქნება არა სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი დარგი, თუნდაც უმთავრესი და განსაკუთრებით გამორჩეული, არამედ თვით ჩემი არსებობის ლამის ერთადერთი ფორმა, უფრო ზუსტად — არსი ჩემი არსობისა, პოეზია არა მხოლოდ შემოქმედებითი ნიჭია, არამედ თვით სიცოცხლის ნიჭიც“, — წერდა ვახუშტი კოტეტიშვილი 2005 წელს, თავისი ლექსების წიგნის „ქვიშის საათის“ წინათქმაში.

როსტომ ჩხეიძემ „დუენდეში“ ვახუშტი კოტეტიშვილის „სიცოცხლის ნიჭით“ აღგვაფრთოვანა: წიგნის ბოლოს ზუსტი შესატყვისი „აბელური სულის კაცი“ უწოდა ლეგენდად ქცეულ ჩვენს თანამედროვეს. სილაღესა და ქროლას მინდობილი, თავისუფალი ყოფითობის ტვირთისაგან, სიცოცხლის მიწურულს „შემოზღუდულ-შემოფარგლულ სივრცეზე და მის შესაბამის ცხოვრების წესზე“ წუხდაო, — წერს როსტომი „დუენდეს“ ეპილოგში, რომელსაც ერთვის „მზეოს ბარათები ამერიკიდან“.

დასასრული მე-13 გვერდზე



ენდრე ადი (1877-1919) უნგრული პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. დაიბადა გაღატაკებულ ოჯახში, უნგრეთის და ტრანსილვანიის საზღვარზე მთიან მხარე პარციუმში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იურისტად და ჟურნალისტად უნგრულ ქალაქ დებრეცენში, საიდანაც დაიწყო მისი შემოქმედებითი გზა. 1901 წელს გადავიდა ქალაქ ნადვაროდში და ჟურნალისტურ საქმიანობას მიჰყო ხელი. ამ წლიდან მთელ უნგრეთში გაითქვა სახელი თავისი სტატიებით, რომლითაც ებრძოდა შოვინიზმს, კლერიკალიზმს, ანტისემიტიზმს, ფართო მასებში დამკვიდრებულ სიბნელესა და უმეცრებას. ნადვაროდში შედგა მისი პოეტური დებიუტი და იქვე გამოსცა ლექსების ორი წარმატებული კრებული.

1903 წლის ზაფხულში პოეტმა გაიცნო ლამაზი და ჭკვიანი ქალი ბურჟუაზიული ოჯახიდან, ლედა, რომელიც თავდავიწყებით შეუყვარდა და რომელსაც უამრავი შესანიშნავი ლექსი უძღვნა. ლედა გათხოვილი იყო, თუმცა ადის სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხა. ლედას ინიციატივითა და დახმარებით ადი პარიზში გაემგზავრა და 1906-1907 წლები საფრანგეთში გაატარა. პოეტის არაერთი ლექსი სავსეა პარიზის შთაბეჭდილებებით. ადი, ლექსებს გარდა, წერდა ნოველებსა და სტატიებს. ხანგრძლივი მტანჯველი სიყვარული 1912 წელს დასრულდა — ადი და ლედა ერთმანეთს დაშორდნენ. ადი დაქორწინდა, თუმცა ლედა სამუდამოდ დარჩა მის მუზად.

ადის პოეტური სამყარო და პოეტური ენა განსაკუთრებულია. მას ახასიათებს თემატური სიმდიდრე, ნეოლოგიზმები, სიტყვათქმნადობა, ფილოსოფიური სიღრმე (ნიცშეანიზმი), მეტაფორულობა. მართალია, იგრძნობა ბოდლერის, ვერლენის, ფრანგი სიმბოლისტების გავლენა, თუმცა არ ქცეულა მათ ბრმა მიმბაძველად, მისი ლექსები უაღრესად თვითმყოფადი და ახალია.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად ენდრე ადი 1919 წლის იანვარში გარდაიცვალა, რასაც საყოველთაო გლოვად მოჰყვა უნგრეთში. დაკრძალულია ბუდაპეშტში.

მთარგმნელი

ენდრე ადი

უკანასკნელი ღიმილი

ო, რა ძალიან ცუდად ვიცხოვრე,
ო, რა ძალიან ცუდად ვიცხოვრე.
ვიქნები ალბათ ლამაზი მკვდარი,
ვიქნები ალბათ ლამაზი მკვდარი.

ეს ჩემი სახე — სატირის სახე,
ეს ჩემი სახე — სატირის სახე.
გალამაზდება ბაგეზე ღიმით,
გალამაზდება ბაგეზე ღიმით.

ჩემს დიდ თვალებში, შუშის თვალებში,
ჩემს დიდ თვალებში, შუშის თვალებში.
ვიღაცა ელავს, ვიღაცა ბრწყინავს,
ვიღაცა ელავს, ვიღაცა ბრწყინავს.

გაღიმებული ეს ცივი ბაგე,
გაღიმებული ეს ცივი ბაგე.
მადლობას გიხდის მაგ კოცნისათვის,
მადლობას გიხდის მაგ კოცნისათვის.

ქორის ქორწილი ხმელ ფოთლებზე

შემოდგომისკენ გზა გველის შორი,
ჟღურტულ-ტირილით ერთურთს ვდევთ ორი —
დაღლილფრთიანი ფრინველი — ქორი.

ქორი ზაფხულის მტაცებელია
და მოფართქუნე მისი ფრთებია,
კოცნის ტრფიალს რომ ესწრაფებიან.

ჩვენ ზაფხულიდან რომ ავფრინდებით,
შემოდგომისას თუ გავჩერდებით,
ბუმბულაბურძგვნით გავირინდებით.

უკანასკნელი არის ეს ქორი,
ერთმანეთის ხორცს ვწიწკნით ჩვენ ორი,
ვეცემით გამხმარ ფოთოლთა შორის.

ჰორთობაძელი პოეტი

კუმანის ჯიშის დიდთვალა ჭაბუკს
ტანჯავდა ბევრი დარდი — სურვილი.
ნახირს უვლიდა და მიდიოდა
ჰორთობაძისკენ მღერის წყურვილით.

საღამოს ბინდი და მირაჟები
იპყრობდნენ მის სულს ათასჯერ, ასჯერ.
მის სულში გაიზარდა ყვავილი
და ის მწყემსავდა ხალხს — ნახირს მარჯვე.

მუდამ ფიქრობდა სილამაზეზე,
სიკვდილზე, ღვინის გემოზე, ქალზე
და ქვეყნის ყველა მხარე იმისგან
წმინდა სიმღერებს ისმენდა ასე.

მაგრამ თუ ბინძურ კალსონებიან
ყეყეჩ მეგობართ ნახირს ნახავდა,
მაშინვე გულში ხალხურ სიმღერას
სტვენით, გინებით ჩაიმარხავდა.

სოფლიდან შორს

ძველი, პატარა ზარი
ღრმა სიჩუმეში რეკავს.
დაფარა ნაცრისფერი —
ეს — გაზაფხული ყვავის.

ძველია ყველაფერი,
ამქვეყნად რაც მატარებს.
ასე შორს არასოდეს,
არასდროს არ ვყოფილვარ.

მოვკვდები, თუ იტყვიან,
რომ გზას გავუდექ ფრენით,
უარვყოფ ისეთ კოცნას,
მე რომ გზას გამიყენებს.

ამ სულელური შფოთის,
ამ ჭრელი ქალაქისა
ვარ ხეტიალა სული,
სოფელო, ნუ დამძრახავ!

მაშ, ამიყვანე ზევით,
ქალაქო, გამიტაცე:
ისინი, ვინც გაფრინდნენ,
შინ აღარასდროს მოვლენ.

სიმღერა მტვერში

მოხრილ ფეხებით, ჩავარდნილ მკერდით
ვეცემი, მაგრამ მახსოვს, რომ ვმღერდი.
მაინც ყოჩაღად მიჭირავს თავი,
ლალა, ლალა,
ამ დიდ ღამეში თუმც ველარ ვყვავი.

ვის აღარ სტკივა ჩემი ცვლილება,
ფოთოლი ფოთოლს გზას ეცილება,
უნგრულ მხარეში სურს, ბედი სცადოს,
ლალა, ლალა,
ღამემდე აღწევს შეცვლილი ამ დროს.

ჭაობთა მხედველს მენატრებოდა
მთები, ბორცვამდე ვიარებოდი,
ალბათ იწვიან ჩვენი სულები,
ლალა, ლალა,
ო, ზარატუსტრა, მოხველ უვნებლივ.

დე, ზოგჯერ ისევ იჟღეროს ჰანგმა
წყეულ მუსიკის ამ ცის გადაღმა,
ჯადო მოჰფინოს და სხვა კი უფრო,
ლალა, ლალა,
სხვაც დამახინჯდეს და დაიღუპოს!

ტისას ნაპირზე

მოვედი განგის სანაპიროდან,
სადაც ოცნებით გული ყვიროდა,
ეს გული არის ყვავილი დიდი,
ირწევა ძლიერ, არ არის ფლიდი.

ჭა ოწინარით, წისქვილი, ცული,
უდაბნო, ხეშეშ ხელებზე სუნი,
ველური კოცნა, სიზმარ-ცხადს ვხედავ —
ტისას ნაპირზე რას ვეძებ ნეტავ?

გადაფრენა წყევლაქალაქიდან

და ნეკროპოლში აჟღერდა ჰანგი
შემოდგომის ყრუ, ნაღვლიან დღეში.
დიდი ხნის მკვდარი ვიყავი მაშინ,
წითელ კატაფალკს ვაწექი ლეში.

ტიროდა ჩემი კარი და ჩუმად
შემოდიოდა სიცილით მღვრიე
ვიღაც, ვისაც კი მე დავტიროდი
და ვინც მკვდარსაც კი მიყვარდა ძლიერ.

ეფერებოდა ჩემს ყვითელ სახეს
და ხარხარებდა: „თვალის სინათლევ,
შენ — ჩემო კაცო, მახინჯ ბუდაპეშტს
სიკვდილის შემდეგ რატომ მიმართე?“

„მაშ, აღარ გახსოვს შუქი, რომელიც
სამხრეთ საფლავის ძეგლზე იცინის?
აქ, ბუდაპეშტში, გონჯია ყოფა
და ასჯერ უფრო გონჯი — სიკვდილი.“

„წამო მაგ წყევლაქალაქიდან და
შენ, ჩემო მკვდარო, წამოდი ჩემთან!
აქ არცრა კარგი დაგესიზმრება,
არც სიყვარული — რომ დაგაფეთა.“

და მომიჭირა ხელზე ხელი და
თან ხარხარებდა, როგორც რომ ქარი
და ამის შემდეგ სამხრეთ საფლავში
ჩავიდა ერთი საწყალი მკვდარი.

მე აქ ადრე მოვედი

გვიან მოვიდა ჩემთან ის ქალი,
რომელიც მიმზერს, რომელსაც ვლოცავ.
სიცარიელე მკლავს და მაწამებს,
ამაოდ ვყვირი სადაც და როცა.

ო, ეს უდაბნო უზარმაზარი,
ო, ეს უნგრული სიცარიელე...
ჩემს ფრთებს რომ ურტყამს ის მერამდენედ,
ტალახში სვრის და უდარიელებს.

მივყიალობ და ვეღარაფერი
ცრემლებს მე ვეღარ გადმომადინებს:
ადრე მოვედი მე და ის ქალი
მოვიდა გვიან — ეს მინადირებს.

სულეგის სასაფლაო

ეს მიწა სულთა სასაფლაოა,
სასაფლაოა მიწა ობოლი.
ოდესღაც სისხლი აქ დაიღვარა
ბევრი და თესლად იქცა ბობოლის.

აქ ის ცხოვრობდა, ვინც არ ცხოვრობდა,
რჩეულთაგანი არვინ ცხოვრობდა.
აქ უნაყოფო აფეთქებები
ბედნიერებთან თანასწორობდა.

ეს მოწყენილი უნგრული ველი,
სიკვდილის სუნით მწუხარე ველი,
ბევრი მოკლული სული ყვიროდა
ნაღვლიან წყევლას აქ ცამდე — ძველი.

ბედნიერია, ვინც არ ცხოვრობდა,
რჩეულთაგანი არვინ ცხოვრობდა,
აქ უნაყოფო აფეთქებები
ბედნიერებთან თანასწორობდა.

ტბა მოცინარე

გადავუფრინეთ
ერთად ბინდბუნდში,
უცნობს, საშინელს
და მოქანავეს
ტბას დამახრჩობელს,
თანაც ღრმაწყლიანს.
ძველი დარდების,
მწუხრის კუნტუშით[1]
გავცურეთ ტბა და
ღამეს ველოდით.

ჩვენი ბებერი
ხომალდის კიჩო
მორყეულია,
თოვლიან მთიდან
ზუზუნებს ქარი.
ტბა გუგუნებდა,
იძახდა, ხმობდა,
ყვიროდა მოთქმით.
ო, ტბა მცინარე.
ვქროდით ხომალდით.

(და ვჩურჩულებდი
წყნარად — ჩვენს დარდებს
ბოლოს გავაქრობთ.
ტირის წმინდა ტბა,
შეყვარებულის
მკლავებიანი
და იდუმალი.
იგი ჩაგვიხვევს,
კურთხევას მოგვცემს
და ეს ჩვენს გარდა
არავინ იცის.
იგი ჩაგვიხვევს,
ქვემოთ ჩაგვითრევს).
იგი მიყურებს
და ნაღვლიანი
სურვილით მიმზერს
ნაპირის მხრიდან.

მივფრინავთ, მივქრით:
ოჰ, ეს სვლა, წინსვლა,
ცხოვრება შემდგომ
მძიმე დარდებით,
სვლა და კვლავ ტანჯვა —
ეს არის ყოფნა.
ტბა მოცინარე
მძვინვარებს ჩვენს წინ,
ტბა ღრმა წყლიანი
დამახრჩობელი
და თან უცნობი,
შეყვარებული
დამახრჩობელი,
მკლავდალოცვილი
ტბა მოცინარე.
საითაც გინდა,
წავიდეთ ახლა.
მაინც ჩაგვესმის
ყველა ბინდბუნდში
მისი სიცილი.

---

[1] კუნტუში — უნგრული ეროვნული ტანსაცმელი-მოსაცმელი.

ლოცვა ღმერთ ბაალისადმი

ო, ბაალ, დიდო ბატონო, მოწყალევ, არ მიმატოვო!
ჩვენ გალერაზე წარვსდექით წინაშე შენსა, ფანტომო.
შეგვხედე ჩვენ, ორ განწირულს,
აქ მარტო მე კი არა ვარ,
მე ხომ მატლი ვარ, მღილი ვარ, ჩამორჩენილი ქარავანს.
აჯანყებულო უფალო, სულნო, მავალნო ქაქანით,
ო, დაცემულო ტიტანო, ჩემი მეწყვილეც აქ არის.
ო, ულმობელო და დიდო ბაალ, შენს სიკეთეს ველი,
დედაკაცია მწუხარე, მისი სული კი — მზეგრძელი,
ნაღვლიანთვალებიანი და მრავალწყურვილიანი,
ამაყო ჩემო ქალღმერთო, ბრალმდები და კოცნიანი;
მკერდგაშლილო და კოცნიავ,
მე შენგან ველი ყველაფერს,
შენ, მეწამულად შექმნილო და დედაკაცო, მზეს გვაფენ,
ო, ბაალ, ამ ჩვენს მკერდებში ჩაგვიდგი სული მოწყალე,
ყველანაირი ფულისთვის ტახტზე მჯდომარემ,
ო, მწარედ
იბრუნე პირი მბრწყინავი ჩვენკენ, ხარ რა ულმობელი!
მე ვიბრძოლებდი და ბრძოლის მუდამ მოგებას მოველი.
სულების ფასად მე შევძლებ შენი მორჩილი ცხოვრებას,
უყურე მას, დედოფალო, ჩემო მეწყვილევ, ქონებავ!
აბრეშუმისა ბაღშია იყოს ცრემლების არენა,
აბრეშუმისა დროშა კი აღმართოს ჩვენმა გალერამ.
გადმოგვაღვარე ჩვენ შენი ოქროს ცრემლები
ღვარღვარით,
გადმოგვაღვარე,
სისხლიან ოქროს მოველით ხარხარით,
ოჰ, გადმოგვხედე —
აქ ვდგავართ ჩვენ, ორი უმათხოვრესი,
თუ გადმოგვხედავ, ეგ გული ოქროსი შენი ველური
შეგეკუმშება, ცრემლები დაგცვივა ალბათ შენ ურვით.
და ჩვენი ბნელი გალერის ხალიჩას დააცვივდება
ოქროს ნაკადი უწყვეტლივ და მუდამ შეუმცირებლად.

ლედა გემზე

ვაშა, მოდის სიხარულის გემი
და თან მოყავს ჩემკენ ლედა ჩემი.
უკვე გხედავ ლამაზ ხალიჩაზე,
გხედავ, გხედავ, ჩემო ქალბატონო:
სისხლისფერი ვარდი ელავს თმაში.
გსურვარ ჩემო? ო, მეც ძლიერ მსურხარ.
რა ხანია, ჩვენ ვერ შევხვდით ერთურთს.

ვაი ჩემდა, აქ მეხვევა თავბრუ,
ვაი ჩემდა, აქ იქნები მალე,
ამ ნაპირზე ჩვენ ვკითხულობთ ერთურთს,
ორ მწყურვალ სულს დრო ერთმანეთს ახლის,
მალე დავხრი თავს მე მაგ შენს მკერდზე.
ვაჰ, თუ მოხვალ! ვკრთი და მეშინია.
რა ხანია, ჩვენ ვერ შევხვდით ერთურთს.

ძველ ეტლში

ჩემო დედოფალო, იფეთქა ალებმა,
ოქროს ეკიპაჟი მიფრინავს ჩვენი.
ხალხში გავერიეთ დღეს რაღაცნაირად,
შენ ხარ დედოფალი, მე — მეფედ ვშვენი.

ხედავ ამ ბრჭყვიალა ზღვას კარეტებისა
ელვით განათებულ ხეების ქვემოთ,
ჩვენ გვეგებება და ზვირთებსაც აგორებს,
რომ ამ ჩვენს ქროლვას გავუგოთ გემო.

ჩემო დედოფალო, დაუშვი ვუალი,
კეთილგანწყობილი ვიქნებით ამღამ.
(ირყევა, ირყევა ეს ძველი ეკიპაჟი,
ვცახცახებთ, სიფითრე გვატყვია დამღად).

ჩემო დედოფალო, დარდი კლავს არსებას,
არასდროს უდარდიათ, როგორც მე და შენ.
ცხოვრების მწვერვალი მიწას უწყვილდება,
ჯერ ასეთ სისაწყლეს რა ძალა შეგვარჩენს.

დარდი, ცხოვრება და სხივი სულებისა
და ჩვენი გზები — ეს გზა მათხოვრის.
და ჩვენც გვაქვს უფლება ნათელს მიველტვოდეთ,
ცხოვრება თუ გვახსოვს, იმასაც ვახსოვდით.

ო, მე ვარ ხელმწიფე და შენ — დედოფალი,
მაშ ტახტი არასდროს აღარ გვეღირსება?
(ირყევა, ირყევა ეს ძველი ეკიპაჟი
და გაფითრებულნი ვცახცახებთ ნისლებად).

თარგმნა დალილა გედიანიძემ



დიდოსტატობა და გულწრფელი სიყვარული

დასასრული

როსტომ ჩხეიძის „დუენდემ“ გამორჩეული სიხარული გვაჩუქა ვახუშტი კოტეტიშვილის თაყვანისმცემლებს: უკვე თქმულებებსა და ტკბილ მოგონებებში გადასულ ხსოვნასთან — ჩვენი დაბრუნებით: ერთმანეთს მიდევნებული, საუკეთესო „ნატეხებით“: რობაიებითა და კოტეტიშვილთა წარსულის გახსენებით, ლორკას დუენდესა და რილკეს სინაზეს მოჰყვება „მთარგმნელობა: მრავალსახოვნება მსახიობისა“, მგონი, ყველაზე ვრცელი თავი, შემდეგ „შაირების ბარონი“ და კვლავ ყოფა, სილუეტები.

ჩემთვის ეს წიგნი კიდევ იმიტომ აღმოჩნდა ძვირფასი, რომ ვახუშტი კოტეტიშვილთან ერთად, 70-იანი წლების მიწურულის თბილისი, 1987 წლის 13 მარტი, ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დღე თსუ 93-ე აუდიტორიაში, ვახუშტი კოტეტიშვილის, ოფიციალური ოპონენტისა და მერე შინ, ჩემთან მისი სტუმრობის, მოლხენის დღე გამიცოცხლა.

ვახუშტი კოტეტიშვილის „ხმა ყელში გაჩხერილი“, როგორც თვითონ უწოდებს, პირველად 1980 წელს დავიმახსოვრე და შევიყვარე, როდესაც როსტომ ჩხეიძის მიერ გამართულ პავლე ინგოროყვას საღამოზე სიტყვის წარმოთქმა ამ ხალხური შედევრით დაიწყო:

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერსაით წაუვა
თავის ბედსა და წერასა.

ჩანს, ძალიან უყვარდა ამ სიტყვებით თავის გამხნევება: როსტომ ჩხეიძე „დუენდეს“ 164-ე გვერდზე პოეზიის საღამოს იხსენებს, ვახუშტი კოტეტიშვილის მღელვარებას და უამრავი ხალხის პირისპირ შეყრის წინა წუთებში ამ ლექსის ტაეპებს წარმოათქმევინებს ვახუშტის. როსტომ ჩხეიძეს, მგონი, 20-ზე მეტი ბიოგრაფიული რომანი აქვს დაწერილი; ყველაზე მეტად ერთ-ერთი პირველი „ბედი პავლე ინგოროყვასი“ მიყვარს. „დუენდეში“ კვლავ ბედისწერის, სიკვდილ-სიცოცხლის თამაშის, აქტიური მოთამაშის, მთავარი გმირის სულს გვაყვარებს ხელახლა ავტორი.

ვახუშტი კოტეტიშვილისა და ლია ლორიას მიერ ესპანურიდან ქართულში შემოტანილი და დამკვიდრებული სიტყვა „დუენდე“ ხელახლა ააღორძინა და ახალ-ახალი მნიშვნელობებით, სინონიმებით დაუახლოვა, შეათვისებინა XXI საუკუნის ქართველ მკითხველს როსტომმა: თვალწინ წარმოგვიდგა ვახუშტი კოტეტიშვილი — „სული მიწისა“, ადამიანი-არტისტი, სრულყოფილებისკენ მიმავალი, ყოველი ნაბიჯის ბრძოლის ფასად გადამდგმელი; კაცი, რომელიც, ერთდროულად, მწყალობელიც, აღმაფრთოვანებელიც და მბრძანებელიც არის.

ლორკას პოეტური პროზის დუენდეს, სულის გადმოტანას ქართულად ვახუშტი კოტეტიშვილის მგზნებარება დასჭირდა, ხოლო როსტომ ჩხეიძის „დუენდეს“ დაწერას — ამ „ბიოგრაფიული ნატეხების“ ავტორის — დიდოსტატობა და გულწრფელი სიყვარული ვახუშტი კოტეტიშვილისა.

ხოსება სარიონანდია

ეული

სულ მარტოა ამ სამყაროში.

წერილების მიღება უყვარს, მაგრამ საფოსტო ყუთის შესამოწმებლად მისულს, მუდამჟამს ცარიელი ხვდება ხოლმე.

გადაწყვიტა, საკუთარი თავისთვის მიეწერა. წერილი კონვერტში მოათავსა და თავისი მისამართი ორჯერ წააწერა: ერთხელ, როგორც წერილის მიმღებმა, მეორედ კი, როგორც გამგზავნმა.

ცარიელ ქუჩებს დაუყვა სასეირნოდ და გზად ქალაქის ერთ საფოსტო ყუთში ჩააგდო კონვერტი. მას შემდეგ ორი თუ სამი დღეა, ელოდება. ყოველ დილით ამოწმებს საფოსტო ყუთს. წერილი ჯერაც არ მიუღია.

ამ სამყაროში მართლაც რომ ეულად შემორჩენილა.



ხოსება სარიონანდია (1958) თანამედროვე ბასკი მწერალია, რომლის შემოქმედებაც მრავალ პოეტურ თუ პროზაულ ნაწარმოებს აერთიანებს. 80-იანი წლების დასაწყისში სარიონანდია ბასკური სეპარატისტული დაჯგუფების — ეტას წევრი იყო. 1980 წელს ესპანურმა პოლიციამ დააკავა და 22 წელი მიუსაჯა, თუმცა 1985 წლის 7 ივლისს (წმინდა ფერმინის დღესასწაულზე) ციხიდან გაქცევა მოახერხა. წლების მანძილზე მისი საცხოვრებელი ადგილი გასაიდუმლოებული იყო. 2016 წლის ნოემბერში ცნობილი გახდა, რომ მწერალი კუბაზე ცხოვრობს და ჰავანის უნივერსიტეტში ასწავლის.

ბასკი ლიტერატურათმცოდნე მარი ხოსე ოლასირეგი მართებულად შენიშნავს, რომ სარიონანდია „ლიტერატურული სამყაროს დაუღალავი მოგზაური, იდეების ოკეანით განცვიფრებული ძველთაძველი მეზღვაურია“.

„არასდროს გადამიწყვეტია, მწერალი გავმხდარიყავი, — ამბობს ხოსება სარიონანდია, — პირველ ნაბიჯებს რომ ვდგამდი, მწერლობა სამუშაოდ არც შეიძლებოდა ჩათვლილიყო. სტუდენტი ვიყავი და წერა ერთ-ერთი ხელსაყრელი საშუალება გახლდათ პოლიტიკისა და კულტურის სფეროებთან სამარი განწყობილების მისატანად. დღევანდელი გადმოსახედიდან, შესაძლოა, საბრძოლო განწყობილება თავგანწირვად შეფასდეს, მეტიც, წარუმატებელ, უსუსურ მცდელობად, მაგრამ მაშინ ბედნიერად ვცხოვრობდით, როგორც შეყვარებულები, რომელთაც არაფერი ებადათ. შემდეგ ციხეში განვაგრძე წერა, პატიმრად ყოფნა ჩემს პროფესიად იქცა და ვწერდი, რომ არსებული მდგომარეობა როგორმე დამევიწყებინა. მალე თავისუფლება მოვიპოვე, თუ შეიძლება, ასე ითქვას და სხვა გზა არ მქონდა, ამჯერად გაქცევაში მყოფი დამნაშავის პროფესია მხვდა წილად. ამდენად, ჩემს ცხოვრებაში არაფერია ისე ახლოს აწმყოსთან, როგორც წერა...“

განძით სავსე სკივრი

ოდესღაც ძალიან, ძალიან შორს ერთი მოგზაური განძს დაეძებდა. გააფთრებულმა, ოქროთი სავსე სკივრის ძიებაში, წერაქვითა და ნიჩბით მიწის თხრას ოცი წელი შეალია. მომდევნო ოცი წლის მანძილზეც გაუგონარი სიჯიუტით, ოფლის ღვრით ცდილობდა, საწადლისთვის მიეღწია, მაგრამ ამაოდ.

ნაცვლად იმისა, რომ ფარ-ხმალი დაეყარა, ორმოების თხრას კიდევ ოცი წელი დაახარჯა და ბოლოს, როგორც იქნა, მისი წერაქვი სკივრის ბრინჯაოს ჯავშანს წამოედო. მიწიდან მოზრდილი, საუცხოო შესახედაობის, საგულდაგულოდ ჩაკეტილი სკივრი ამოათრია. ბოქლომის გატეხვა მარტივი საქმე არ აღმოჩნდა.

თუმცა, როცა სკივრი გახსნა, შიგნით მხოლოდ ფერფლი დახვდა.

ამოასუფთავა თუ არა, იქვე განუტევა სული!

რამდენადაც თავის ცხოვრებაში არასდროს უშოვია იმდენი ფული, რომ კუბო ან აკლდამა შეეძინა, იმ ვიწრო სკივრში ჩააწვინეს მოკრუნჩხული, ტერფები ლამის პირში ჰქონდა ჩაჩრილი და ისე დამარხეს. არა უშავდა, მთლად უვარგისი ოთხი ფიცარიც არ ხვდომია წილად.

და იქვე დარჩა, ყოველგვარი ქვისა თუ მანიშნებლის გარეშე, მსგავსად ყველა იმ განძისა, რომლის პოვნაც რთულია.

არანჩა იტურბე (1964) თანამედროვე ბასკი ჟურნალისტი და მწერალია. მანამ, სანამ ცხოვრებაში საკუთარ თავს იპოვიდა, ერთი რამ უკვე დანამდვილებით იცოდა — წერა სურდა. მოგვიანებით რადიომ გაიტაცა. ასე გაატარა წლები რადიოგადაცემებში მრავალფეროვანი ისტორიების ზეპირ თხრობაში. ერთხელაც, ჩაწერისას, მეგობარმა გამომცდელად ჰკითხა: „აბა, რაიმეს დაწერაზე რას იტყოდი?“ რეალურად, არანჩა იტურბე ყოველდღე წერილობითი ფორმით წარმოადგენდა იმ ისტორიებს, რომელთა შესახებაც შემდეგ ზეპირად უნდა ესაუბრა, თუმცა ამ ჩანაწერებს მოთხრობის სახე არასდროს მიუღია. ამ დღიდან მოყოლებული კი, მან ნოველების წერა დაიწყო. „უმეტესად ნოველებს ვწერ, — აღნიშნავს ავტორი, — ალბათ, იმიტომ, რომ როცა ამბავს ვყვები, მინდა, სათქმელი ნათელი, სხარტი, უშუალო და ლაკონიური იყოს“.

თავისი ნოველების დიდ ნაწილში იტურბე წყვილთა მარტოსულობის, უთანხმოებისა და ეჭვიანობის ბუნებაზე საუბრობს. მისი წერის სტილი ახლოსაა ხალხურ სიტყვიერ ხელოვნებასთან და კვალდაკვალ მიჰყვება მარტივი და უშუალო ხასიათის მქონე პროზაულ ფორმებს. მწერლის ნოველებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა უკიდურესობამდე მისულ ურთიერთობებს, უსიამოვნო შემთხვევებსა და ბედისწერისა თუ უიღბლობის შედეგებს.

არანჩა იტურბე

წითელი თავშალი

რადგან თავის საფოსტო ყუთში საგადასახადო ქვითრებისა და სარეკლამო ბროშურების გარდა არასდროს არაფერი დახვედრია, ამ ვარდისფერმა კონვერტმა მეტადრე განაცვიფრა. კონვერტის ორივე მხარის საგულდაგულოდ გასინჯვის შემდეგ (რამდენჯერ გამოუცოცხლებია მიღებულ წერილს, თუმცა მალევე მიმხვდარა — ადრესატი ერთ-ერთი მეზობელი გახლდათ) შენიშნა, რომ ზედ არაფერი ეწერა. ვერც სახელს მიაგნებდით სადმე, ვერც — მისამართს, რამაც კიდევ უფრო გააკვირვა. ჯერ ლიფტამდეც არ მიეღწია (ცნობისმოყვარეობა შინ მისვლამდე უნდა დაეკმაყოფილებინა), კონვერტი რომ გახსნა და წერილის კითხვას შეუდგა, გაოცებისგან კი მეტყველების უნარი წაერთვა.

მხოლოდ სამი სიტყვა. დახვეწილი კალიგრაფიით შესრულებული, სათანადოდ აწონ-დაწონილი სიტყვები, პირდაპირ ფურცლის შუაგულში რომ მიეჩინათ ადგილი: „მე თქვენ მიყვარხართ“. არანაირი ხელმოწერა თუ ბეჭედი, აბსოლუტურად არაფერი. ეს სამი სიტყვა, ერთურთს რომ მისწებებოდა, არაერთხელ გადაიკითხა და თან გონებაში გაუელვა, რა იშვიათად მოესმინა მსგავსი რამ. ამ ფიქრით გატაცებულმა, დაასკვნა, ვიღაცას უთუოდ საფოსტო ყუთები აერია და დასაძინებლად დაწვა.

მეორე დღეს გონებაში კვლავ ამოუტივტივდა ეს ამბავი, თუმცა მხოლოდ ის გაიფიქრა, რამდენად იღბლიანი იყო წერილის სავარაუდო მიმღები. აი, მომდევნო ჯერზე თავისსავე საფოსტო ყუთში მეორე წერილი დაუხვდა.

კიდევ ერთი ვარდისფერი კონვერტი. ისევ სახელისა და მისამართის გარეშე. მაგრამ, ამჯერად ოდნავ ვრცელი წერილითურთ: „დღითიდღე უფრო და უფრო მიყვარდებით“.

მეორე წერილი მაინც ვერ აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. ერთი ესპანური ანდაზისა არ იყოს, ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ერთსა და იმავე ქვას ორჯერ წამოჰკრავს ხოლმე ფეხს. სახლისკენ მიმავალმა გაიფიქრა, ალბათ, იდუმალი თაყვანისმცემელი კვლავაც ძველებურად წაბორძიკდაო. თუმცა, სანამ არ ჩათვლიმა, მასზე ფიქრი არ შეუწყვეტია. „რატომაც არა?“ ჩაეკითხა საკუთარ თავს. „ნუთუ, არ შეიძლება, ვინმეს შევუყვარდე?“ სახეზე მოფენილმა ღიმილმა ალაგ-ალაგ დანაოჭებული სახე სულ დაუჭმუჭნა, მაგრამ განთიადის პირველსავე სხივს მაინც ამაღლებული განწყობით შეეგება.

ორი დღის შემდეგ მესამე წერილი მიიღო: „ნუ აღელდებით. იცით, ვინც ვარ. თქვენგან ღიმილსაც კი ვიკმარებ“.

ვაითუ, ეს მართლაც მის თავს ხდებოდა?! ეგებ, სადღაც, ვიღაც მართლაც ეტრფოდა? პატარა მინიშნება მაინც დაეტოვებინა გონებაში მისთვის ნაცნობი ყველა კაცი აღნუსხა, მაგრამ ვერც ერთი ვერ წარმოედგინა ანონიმური წერილების გამომგზავნად. ყასაბი ხუაკინი დადებითად იყო განწყობილი, ნეკნების საყიდლად შესულს ყოველთვის გულისხმიერად ეპყრობოდა ხოლმე, თუმცა ვერაფრით დაიჯერებდა — ხუაკინი და ვარდისფერი კონვერტები?!

მაშ, დონ რამონი? ამის გაფიქრებაც კი!.. ოცდაორი წელია, რაც მისი მდივანია და ამ ხნის მანძილზე ერთი ტკბილი სიტყვაც კი არასდროს დასცდენია — დაშვება იმისა, რომ ასე უნიადაგოდ დაიწყო სისულელის როშვა?! ცხადია, ის არაა! საშინელება იქნებოდა! არა, რა სულელურად ჟღერს!

კვირის ბოლომდე კიდევ ერთი წერილი მიიღო, ამჯერად ფრიად უცნაური პირობითურთ: „თუ ჩემი ვინაობის გაგება გსურთ, მხრებზე წითელი თავშალი მოისხით“. წითელი თავშალი! საიდან უნდა მოეტანა წითელი თავშალი? თავხედობაც ჰყოფნის ამის სათქმელად?! თუმცა, რამდენად ახირებულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, გადაწყვიტა, მხოლოდ ამ ერთხელ — ყოველივე ხომ ისედაც უცნაურად წარმართულიყო — თავშალი თავისი ახალი მეზობელი როზმარისთვის ეთხოვა.

— ბოდიშს გიხდით, ასე უცერემონიოდ რომ გეახელით, მაგრამ, შემთხვევით, წითელი თავშალი ხომ არ გაქვთ, რომ მათხოვოთ?.. ხვალ ერთ შეხვედრაზე უნდა წავიდე.

როზმარიმ დიდი სიხარულით შესთავაზა დახმარება. რასაკვირველია, ათხოვებდა თავშალს, ამით სულ არ წუხდებოდა. და იცით, რა? ათხოვებდა კი არა, აჩუქებდა კიდეც, ჯანდაბას! ისედაც მოჰბეზრებოდა...

— და თუ რაიმე დაგჭირდეთ, ნუ მოგერიდებათ, თქვენ გვერდით მიგულეთ. აბა, მეგობრები რისთვის არსებობენ?

იმ ღამით ძილი არა და არ მიეკარა. წყვდიადში სიზმრების მორევმა ჩაითრია და რამდენჯერმე გულგახეთქილს გამოეღვიძა. საკუთარი თავი წითელ თავშალში ვერც კი წარმოედგინა, თუმცა თუ მხოლოდ ეს კმაროდა იდუმალების საბურველში გახვეულ უსახელო ადრესანტთან შესახვედრად, მაშინ მზად გახლდათ, ამ დათმობაზე წასულიყო.

ასეც მოიქცა. გულდასმით შეარჩია თავშლის შესაფერისი ტანისამოსი და შინიდან გავიდა. თავს მიმზიდველად გრძნობდა. აი, უკან დაბრუნებისას კი... მთელი დღის მანძილზე მის ძებნაში ყველა კუთხეკუნჭული მოიარა. აუღელვებლად დატკეპნა სახლიდან სამსახურისკენ და სამსახურიდან სახლისკენ მიმავალი გზა, თუმცა ამ წინ და უკან ხეტიალში არავინ გამოჩენილა. იმედისმომცემად გათენებული დილა საღამო ჟამს მოძალებულმა უგუნებობამ ჩაანაცვლა.

მომდევნო დღეს მასში მოულოდნელმა მღელვარებამ იფეთქა, როცა შორიდან საფოსტო ყუთში კვლავ ვარდისფერი კონვერტი მოლანდა; მყისვე კითხვას შეუდგა: „რატომ ათხოვეთ თქვენი კოხტა წითელი თავშალი იმ ბებრუხანას? ანუ კატეგორიულ უარს მეუბნებით?!“

მარია და ხოსე

მარიას პირველმა ქმარმა გული გაუტეხა, მეორემ კბილები ჩაულეწა, მესამემ კი ახალთახალი მანქანა დაუმტვრია. ხოსეს პირველი ცოლი მის გულს დაეპატრონა, მეორე კი — ბანკში შენახულ მთელ ფულს.

როცა მარიამ ხოსე გაიცნო, სულიერად დაბეჩავებულს, უკვე აღარაფერი ებადა.

ხოსე რომ მარიას გადაეყარა, ჯიბეგაფხეკილი გახლდათ.

ხოსემ მარიას თხოვნით მიმართა და მარიამაც ღამის გასათევი ადგილი შესთავაზა. მხოლოდ ერთი ღამით.

ერთი თვის შემდეგ უკვე ერთ საწოლში ეძინათ.

ერთმანეთს არ ეუფროსებოდნენ.

არც მომავალზე საუბრით აბეზრებდნენ თავს ერთურთს.

არასდროს უხსენებიათ სიყვარული.

ხოსემ მანქანის ხელოსნად დაიწყო მუშაობა. მარიას სახლში ზეთით მოთხვრილი ხელებით ბრუნდებოდა. მარია სპეციალური საპნით საგულდაგულოდ ჰბანდა ხოლმე — არ უნდოდა, ზეწრები დაელაქავებინა.

ერთხელ ავარიაში დამტვრეული მანქანა ფარეხში შეიყვანეს.

— თუკი შეაკეთებ, შენი იყოს, — უთხრა უფროსმა ხოსეს.

და ხოსეც ყოველდღე დამატებით მუშაობდა, მანამ, სანამ არ შეაკეთა. მარიას არაფერი უკითხავს. არც ხოსეს უთქვამს რამე, მიუხედავად იმისა, რომ შინ დაბრუნებულს ყოველ ჯერზე გაცივებული საადილი ხვდებოდა.

— ნახე, მარია! — მანქანის დაქოქვისთანავე დასჭექა ხოსემ. მარია შეცბუნდა. ხოსე არასდროს ენახა ასეთი ბედნიერი.

— ზღვის სანახავად წაგიყვან, თუ გინდა! — ქუჩიდან გამოსძახა მარიას.

და მარიაც დაჰყაბულდა.

ზღვისკენ მიმავალ გზაზე მარიამ გაიფიქრა, რომ ცხოვრება ისეთ კაცთან, რომელიც არაფერს დაგილეწავს, ბედნიერების ტოლფასია. სანაპიროს მიუახლოვდნენ და ხოსეს თავში გაუელვა — პოვნა ისეთი ქალისა, რომელიც შენს რაღაცებს არ დაესაკუთრება, კმარა ბედნიერებისთვის.

მანქანიდან არ გადმოსულან, კრინტის დაუძვრელად აკოცეს ერთმანეთს.

პირველად.

იბან სალდუა

უხილავი მეგობარი

თანამედროვე ბასკი მწერლის იბან სალდუას (1966) კალამს ეკუთვნის რომანები, კრიტიკული წერილები; მან ძალები მოსინჯა საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურაშიც, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მისმა ნიჭმა ფართო გამოვლინება ნოველისტიკაში პოვა.

იბან სალდუა თავს ნოველისტად მიიჩნევს. „ვერ ვიტყოდი, რომ მოთხრობები და რომანები ერთმანეთს აბსოლუტურად ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ცალსახაა, რომ ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ჟანრთან გვაქვს შეხება“, — შენიშნავს მწერალი, — „ჯონ ჩივერს დავესესხები და ვიტყვი, რომ სიკვდილის ჟამს საკუთარ თავს ნოველას, პატარა მოთხრობას თუ მოვუყვებით; ამ დროს ხომ რომანისთვის არავის სცხელა. ვგონებ, ეს მშვენიერი არგუმენტია იმის ნათელსაყოფად, თუ რამხელა სილრმის მატარებელია ნოველა. თუმცაღა, როგორც აუგუსტო მონტეროსოს უთქვამს, საბედნიეროდ, ნოველის მნიშვნელობას რაიმე საზღვრებს ვერ დავუდგენთ. მიჩნეულია, რომ ნოველის შექმნის ხელოვნება გარკვეულ წესებს ექვემდებარება, მაგრამ ერთადერთი ჭეშმარიტი პრინციპი გახლავთ შემდეგი: წესები იმისთვის არსებობს, რომ დაირღვეს“.

ბიბლიოგრაფია

ტერორიზმში ბრალდებული პირი, რომელიც გუშინწინ დააკავეს, ოთახის შუაგულში ხელფეხშეკრული მოუხერხებლად ზის სკამზე. ცივი ოფლი ასხამს. უცებ თვალებს ზემოთ აზიდავს და მზერას მიაპყრობს პოლიციელს, რომელმაც ნახევარი საათის წინ საშინლად აწამა. ნიღაბში ძლივს თუ გაარჩევთ პოლიციელის სახეს. წიგნს კითხულობს. როგორც ჩანს, პატიმრის გამოღვიძება ვერ შენიშნა, წიგნში აქვს თავი ჩარგული. სავარაუდო დამნაშავეს წიგნის დანახვა აცბუნებს: ისეთივე პრიალა მოცისფრო-მონაცრისფრო ყდა, დიზაინი, იგივე სათაური და ავტორი. არც ისე დიდი ხნის წინ ეს წიგნი თავადაც წაიკითხა. ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა, მისი მწვალებლის ხელში მოხვედრილიყო. ახსოვს, რომ თავადაც ისევე გატაცებული კითხულობდა, როგორც პოლიციელი — გარშემო ვეღარაფერს ამჩნევდა. კითხვის დასრულება აღარ უნდოდა.

ერთი კვირის წინ პოლიციელ 76635-Q-ს მეგობარმა მისცა წიგნი. კითხვა უყვარს, თუმცა საამისოდ საკმარისი დრო არასდროს აქვს. წიგნის სამსახურში დატოვება გადაწყვიტა, რათა ხანდახან დრო ეხელთა და რამდენიმე გვერდი მაინც წაეკითხა. ისეთი დაინტერესებულია! როგორც კი სამუშაო მაგიდის უჯრიდან წიგნს ამოიღებს, თანამშრომლები სიცილს აყრიან ხოლმე. 76635-Q-ს საერთოდ არ ადარდებს. ეს წიგნი განსაკუთრებულია. დასასრულამდე მისვლა არ უნდა. მსგავსი რამ პირველად ხდება მის თავს.

76635-Q-სგან განსხვავებით, ა. ხ. კ. — პოლიციელის მეგობარი — ცოტა უფრო მეტს კითხულობს. მისი სამუშაო გრაფიკი არც ისე გადატვირთულია (ციხეში მუშაობს) და თავისუფლების რამდენიმე საათი მის განკარგულებაშია. უნდოდა, კითხვის ინტერესი 76635-Q-შიც გაეღვივებინა, რადგან თავად წიგნებზე უყვარს საუბარი (ფილმებზეც), მაგრამ ჯერჯერობით დიდად ვერაფერს გახდა. ფაქტობრივად, არც იმაში გახლდათ დარწმუნებული, რომ ამ წიგნით მიზანს მიაღწევდა. არც ახლაა დარწმუნებული. მას შემდეგ, რაც წიგნი მისცა, 76635-Q აღარ უნახავს. სიხარულის გრძნობა დაეუფლება, ხვალ ან ზეგ თუ გადაეყრება და პირველს, რასაც მისგან მოისმენს, წიგნის შესახებ გამოთქმული აზრი იქნება. ა. ხ. კ.-მ წიგნი მეოთხე საპყრობილის კორპუსის შემოწმებისას იპოვა, იმ საკანში, რომელიც თავდაყირა დააყენეს. ამ საკნის ბინადარი პატიმრის არც სახელი ან სახე ახსოვს, არც ის, საბოლოოდ თუ მიაგნეს რამეს. უბრალოდ, თაროზე შემოდებულ წიგნს მოჰკრა თვალი და რადგან მწერლის სახელი ეცნო, წამოღება გადაწყვიტა. არ ნანობს; ეჭვგარეშეა, ეს ხომ ამ მწერლის საუკეთესო ნამუშევარია.

საკანში მყოფი პატიმარი ციხის თანამშრომელ ა. ხ. კ.-ს არ ახსოვს, აი, პედროს (ასე ერქვა) მეხსიერებაში კი ცხადადაა აღბეჭდილი როგორც მაშინდელი, ისე მანამდე ჩატარებული ათასობით საინსპექციო შემოვლა, რომლის ატანაც უწევდა. სიმართლე რომ ითქვას, წიგნი დიდად არ ანაღვლებს. კითხვის დასრულებას ისედაც ვერ მოაბა თავი, უბრალოდ, ფურცლებში თავისი მეგობარი გოგონას ფოტოებს ინახავდა და მათი დაკარგვა აცოფებს — ისეთი მშვენიერი, ფერადი ფოტოები ჰქონდა, ბენიდორმსა და ალიკანტეში გადაღებული. იმ შემოვლის დროს პატარა პორტატიული ტელევიზორიც დაუმტვრიეს.

პედროს ფოტოებში მოღიმარი გოგონა, ალბათ, არ მოისურვებდა, „შეყვარებულად“ მოეხსენიებინათ. დიდი-დიდი, ეღიარებინა, ერთ დროს პედროს ყოფილი შეყვარებული რომ გახლდათ. სარა ფუენტესს ეჯავრება ის თვეები, პედროსთან ერთად რომ ცხოვრობდა. პედროც სძულს, თუ სძულდა, უკვე აღარაა დარწმუნებული, იმდენი დრო გავიდა. ახლა კვლავ მშობლების სახლში ცხოვრობს და ნახევარ განაკვეთზე ყვავილების მაღაზიაში მუშაობს. ჰეროინს აღარ მოიხმარს, და შესაბამისად, მის შესაძენად წვრილმანი ქურდობაც აღარ უწევს. სარას თითქმის გადაავიწყდა, რომ დაშორებისას ბევრ ნივთთან ერთად პედროს ბინაში წიგნიც დატოვა. წიგნი ქალაქის ბიბლიოთეკიდან მოიპარა; სხვათა შორის, 76635-Q ამას ახლაღა მიხვდა, ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში ბიბლიოთეკის ბეჭედი რომ შენიშნა (მოგვიანებით შეამჩნევს, რომ ანალოგიური ბეჭედი 211-ე და 311-ე გვერდებზეცაა დასმული). სარამ რამდენჯერმე სცადა, წიგნი ახალ მოედანზე გახსნილ საკვირაო ბაზრობაზე გაეყიდა, მაგრამ ამაოდ. აი, მაიკლ კრაიტონისა და ვასკეს ფიგეროას წიგნები, რომლებიც კორტე ინგლესიდან მოიპარა, ლამის ხელიდან გამოსტაცეს.

როცა წიგნი ბიბლიოთეკაში მიიტანეს, ალისია ფერნანდეს დე ლარეამ კატალოგში შეიტანა და 111-ე, 211-ე და 311-ე გვერდებზე ბეჭედი დაასვა; პირველ გვერდსაც ესვა ბეჭედი, მაგრამ სანამ გასაყიდად წაიღებდა, სარამ მთლიანად ამოხია ფურცელი. ბეჭდის დასმის პროცესში ალისიამ ამ წიგნის წაკითხვა გადაწყვიტა, რადგან დასაწყისს შეავლო თვალი და მოიხიბლა. თუმცა, დროის არქონის გამო ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოახერხა. ერთ ნაშუადღევს, შინ მანქანით დაბრუნებისას, სამოქალაქო გვარდიის რაზმს, რომელიც მის უკან მოდიოდა, ბომბი აუფეთქეს. სამოქალაქო გვარდია გადარჩა, ალისია კი მძიმედ დაშავდა და ხუთი საათის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ხსენებულ თავდასხმაში მონაწილეობა ერთ-ერთია იმ დანაშაულთაგან, რომლის აღიარებასაც ეჭვმიტანილისგან მოითხოვენ, ახლა რომ მოუხერხებელ სკამზე ზის ხელფეხშეკრული და ცივი ოფლი წურწურით ჩამოსდის. აი, ეჭვმიტანილ ტერორისტს კი სულ გადაავიწყდა გაუთავებლად დასმული შეკითხვები და თავში მხოლოდ ის წიგნი უტრიალებს, პოლიციელი რომ კითხულობს. მაშინ ძალიან მოეწონა ეს რომანი. ახლა ღიმილით იხსენებს, წიგნის შეძენა მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ ავტორი მისი მოგვარე იყო. თანაც, მთელი დილა ხომ კაფეში ვენეციურ ფანჯარასთან მჯდომს უნდა გაეტარებინა. ნამდვილი ანტიდოტია მოწყენილობის დასამარცხებლად.

ამ ფიქრებში გახლდათ გართული, პოლიციელმა 76635-Q-მ რომ წიგნი დახურა და უხალისოდ წამოდგა.

თარგმნა ირინა ნოზაძემ

ვანო ჩხიკვაძე

პატარავ!

ტაძარში კი არ შემოხვალ,
მტრედივით შემოფრინდები,
თვალებციმციმას სანთელი
მოგაქვს პატარა თითებით.

ამაღლდა ჭერი ქაშვეთის,
თითქოს ზეცისკენ აქანდა,
ქართველი ქალი დაგყურებს —
მჯდომი მაცხოვრის აკვანთან.

გაიგებ, როცა თაყვანს სცემ
მარიამს, პირმშვენიერსო,
თუ რაზე გეტიტინება
დედის კალთიდან, იესო!

სურათი

პირში კუნელის კუნწულით
ტოტზე დასკუპულ ბეღურას
საჩრდილობელი ქუდივით
თავზე ფოთოლი ეხურა.

ჭიკჭიკით ფრთები გაშალა,
უნდა დადგე და უყურო —
ტოტს შეატოვა ფოთოლი,
ჩიტი გაფრინდა უქუდოდ.

ნათლობა

სამრეკლოზე ზარებს რეკენ,
მზე მოიხდის ნისლის ფატას,
მოვნათლეთ და მორწმუნე მრევლს
ერთი ბიჭიც შეემატა.

ეფერება კელაპტრების
მოთამაშე ალი ნიავს,
ხატს პირველად ეამბორა —
სამი თითი შუბლთან მიაქვს.

ბრწყინავს დედა-ღვთისმშობელის
ცრემლი წამწამების სიმზე:
— გაეზარდე საქართველოს! —
თოკო-ბიჭი პირჯვარს იწერს.

ფიცი

კვამლის ფიორივით „ჰოე“,
ყალმით მოხატული „ანი“,
„მრავალჟამიერის“ „ბანით“
მოხატული მზის ანბანი.

თებრო ვიდრე დადის წყალზე,
ბიჭი ბიჭობს, ორბი ორბობს,
ჩვენი ვერცხლი მირჩევნია
სხვების დაყვედრებულ ოქროს!

აგარიდებ სუსხს და ავდარს,
ოღონდაც შენ არ იდარდო —
სამამულე ნერგი ვარ და
კაცად უნდა გავიზარდო!

„ანი, ბანი, განი, დონი...“
ყველგან დამხვდნენ, სადაც წაველ —
მერცხლის ფრთებით ათრთოლებენ
დედა-საქართველოს ჰაერს!

რა მოხდება?!

ფუტკარია თუ ხარია,
ყველას რაღაც უხარია!

აბა, ნახეთ მოკრუტუნე
ფისოს ყელის მოღერება
მაშინ, როცა ახალშობილ
თავის ცინდალს ეფერება.

მინდორ-მინდორ მოფარფატე
გაზაფხულის პეპლებია,
მზის ამოსვლა რომ ახარონ,
ყვავილს თავზე ევლებიან.

ბუჩქის ძირას, როცა ია
ლურჯად ამოიღერება,
თქვი, სულს რატომ უხარია
ან გულს რატომ ემღერება?

რა მოხდება,
ჩვენს ახლობელს,
მეგობარს თუ ნათელმირონს,
„ბალახს“ თუკი ვერ მივაწვდით,
გული მაინც არ ვატკინოთ?!

ხმები

ლომი როცა ვახშმობს,
ქუხილის ხმას ახშობს!

თუ არ წაიწუწუნა,
თხილს მიირთმევს წრუწუნა?!
ხვნეშა-ხვნეშის გარეშე
ისადილებს ქუცუნა?

იცის უღრანეთმა და
სოფელმა და ქალაქმა,
თუ არ წაიღრუტუნა,
არ მიირთმევს სალაფავს!

მსხვერპლს აფრთხილებს —
აქა ვარ,
ხე რომ ჩამოატყავა.

ვიდრე ჭიას მიაგნებს,
ცქვიტი და თავკომბალა,
კაკუნით გააყრუებს
შემოგარენს კოდალა.

ვინ არ იცნობს — ცუღლუტი,
საქათმეთა მტერია,
იმის გამოთხრილია,
თუკი სადმე ხვრელია.

ბარკალს როცა მიირთმევს,
ცივია თუ ცხელია,
უყვარს ენის წკლაპუნი
საზღაპრეთელ მელიას!

ყმუის, როცა კბილს გაჰკრავს
ცხვარს და ფარას დაურბენს,
მგელი წვნიანს ლეკვს აჭმევს,
ნაჭერს თუ არ ჩაუფენს?!

სულ მუცელში ჩაუშვებს,
რამე თუ მოაქუჩა —
ბურტყუნებს და ბუზღუნებს
თაფლის მტერი დათუჩა!

მიწის გულში რა ხდება,
იცის ამ ჩუმჩუმელამ,
რას მიირთმევს, ვინ იტყვის,
ან რა ხმაზე — თხუნელა.

უღრანეთში რა უჭირთ,
ბიჭი, ეს ნაბოლარა,
ლუკმასაც არ გაღეჭავს,
ხვეწნით თუ არ მოღალა
ბებია და ტირილით
ცრემლი არ გადმოყარა!

ასე ნეტავ როდემდე
უნდა ყველა გვაწვალოს —
უღრანეთში გავგზავნოთ,
იქნებ ჭამა ასწავლონ!

გაზაფხულის დილა

მიხტუნავს, მიათამაშებს
„ბაღისკენ“ ჩაწნულ კიკინებს,
ეზოში გოგოს კისკისით
თითქოს მინდორი ბიბინებს.

ვიდრე ფანჯრის წინ ჩაირბენს,
გამიღიმებს და იმედად
გულში გოგონა კი არა,
მზისთვალი შემოიხედავს.

იზარდე, ჩემო პატარავ,
მიდი, გზა დამილოცნია,
ალუბლის ფურცლის პეპლები
შენს პატარა მხრებს კოცნიან.

მიკრობი

თუ არ გავანიავებთ,
ვინ არ გამოიცნობს,
„სახლში გამოვიზამთრებ!“ —
უხარია მიკრობს.

სისუფთავე აშინებს
მოძალადე ურდოს,
თუ არ გამოიხეხავ,
პირშიც კარგად ბუდობს!

წვერს იწიწკნის ჯაგრისი —
მომიყვანეს აქ რისთვის?

საყვედურობს საპონიც —
ბესო ხარ თუ მოსე,
გაღვრიჭინდი —
ხელებში
ამაქაფე დროზე!

მეც რომ არ მახსენებენ,
ვერ გავიგე, რას ჰგავს —
ჩხუბობს, ვეღარ აჩერებს
კრემის ენას „პასტა“.

ბესო, რას ელოდები,
მოსე, რაღას ფიქრობ,
სათბური რომ მოუწყვეთ
თავკომბალა მიკრობს?!

სიფრთხილე

ყველს მიაგნო, თაგვი თომა
წრუწუნების იქცა გმირად,
ხან მალაყზე გადავიდა,
ხან გაჭიმა ყველზე ყირა.

მიადგა და ციცქნა, ციცქნა,
ორი დღე და ერთი კვირა,
დღისით-მზისით ინებივრა
მოგუგუნე ბუხრის პირას.

ყველას, თუკი არ იფრთხილებს,
დაუჯდება ბოლოს ძვირად —
თაგვმაც ყველი ციცქნა, ვიდრე
ხაფანგმა არ დაიჭირა.

ცელქი ბიჭი

წამითაც არ ისვენებს,
დახტის, როგორც კალია,
რაც არ ჩაუდენია,
ისიც თოკოს ბრალია!

რიკიმ ლამის დალეწოს
ხარიხა და გალია:
„აგანგალი — განგალი,
ალია და ბალია,
ნეტავ, სეტყვა რომ მოდის
ისიც ბიჭის ბრალია?!“

არ მთავრდება ამბავი,
ეს რა სამართალია,
უფროსების სამსჯავროს
წაეკიდო, შარია —
დააშავა თუ არა,
მაინც დამნაშავეა!

აინუნშიც არ აგდებს,
სუყველა გადარია,
სკამზე განსასჯელისა
როგორ დასვან „კალია“?

ნაკლები რომ იცელქოს,
როგორ შეაგნებინონ,
როცა ენაწყლიანი
თუთიყუში ვექილობს?!

წყვილები

ბალახს როგორ მოთიბავს
ბასრი ცელი უტაროდ.
უნექტაროდ, თაფლუჭას
დაამზადებ, ფუტკარო?!

საჭიროა, სიმინდის
ტარო გამოიკვანწოს,
ხრაშუნა ბატიბუტმა
ტაფაში რომ იბარტყოს.

თუ არ მიეხმარება
თავის ძმა და ქომაგი,
ხორბალს როგორ ჩამოფქვავს
მარტოხელა დოლაბი!

დედამიწა უზეცოდ,
ფეხბურთელი უბურთოდ,
ან წარმოგიდგენია
ქამა-სოკო უქუდოდ?!

რაღა სახლი იქნება
უკარფანჯრო, უჭერო,
სიყვარული იხარებს,
სული რომ არ უბერო?!

დღე და ღამე გაძლებენ
მზის და მთვარის გარეშე?!
ქართლში არ მიდიოდეს
წმინდა ნინოს „გზა ესე?!“

თქვენი მადლით მოსილმა,
ქედი ვის მოვუხარო,
უფალო და სამშობლოვ,
სამშობლოვ და უფალო!

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004